

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

XLI
რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მ ა ს ა ლ ე ბ ი

2021 წლის 26-27 ნოემბერი

ეძღვნება აკადემიკოს ვარლამ თოფურიას დაბადების
120-ე წლისთავს

თბილისი
2021

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება 2021
წლის 26-27 ნოემბერს

რეგლამენტი

მომხსენებელს – 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

რედაქტორი – მერაბ ჩუხუა

სარედაქციო ჯგუფი: მანანა ბუკია
ლელა გიგლემიანი
გიორგი გოგოლაშვილი
ნანა მაჭავარიანი

ტექნიკური რედაქტორი – ლევან ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ა ნ რ ი გ ი

26 ნოემბერი

კონფერენციის გახსნა ****

I სექცია

12:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **ნანა მაჭავარიანი, ვაჟა შენგელია**

გიორგი გოგოლაშვილი – ვარლამ თოფურია და ქართული დიალექტოლოგია

მანანა ბუკია – ვარლამ თოფურიას ღვაწლი ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში

დიანა ახვლედიანი, ნარგიზ ახვლედიანი – „ორთაბათუმი“-ს განმარტებისათვის

მაია ბარამიძე – აღწერითი წარმოებისათვის სამხრულ კილოებში

ეკა დადიანი – ზოგი ფონეტიკური ცვლილებისათვის ტაოურ დიალექტში

II სექცია

15:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **გიორგი გოგოლაშვილი, მამია ფაღავა**

მაია კიკვაძე – ზღვაოსნობა-ნაოსნობასთან დაკავშირებული ლექსიკა „საქართველოს საზღვაო განათლების ილუსტრირებული მატრიანეს მიხედვით“

ლევან კოჭლამაზაშვილი – რსონორის რედუქციის რამდენიმე შემთხვევა ქიზიყურში

ნიკოლოზ ოთინაშვილი – ლეხურის ხეობის ონომასტიკური მასალები (დიდი და პატარა ქოლოთი)

მედეა საღლიანი – ზანურის გზით შეთვისებული რამდენიმე უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულის ადაპტაციისათვის სვანურში

27 ნოემბერი

I სექცია

12:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **მედია ღლონტი, მანანა ბუკია**

მედია საღლიანი – აკადემიკოსი ვარლამ თოფურია როგორც სვანური ენის მკვლევარი

მამია ფაღვა – ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნის ერთი შემთხვევა ტაოურში

ჭაბუკი ქირია – არსებითი სახელის ბრუნების პარადიგმული მოდელები მეგრულში

მედია ღლონტი – საღვთისმეტყველო ლექსიკა ქართულ დიალექტებში II. ხევს. *უფერის* („ავი სული, ეშმაკი“) ენობრივ-დიალექტური არჩევანი

ლუიზა ხაჭაპურიძე – მარხვასთან დაკავშირებული ტერმინებისათვის დასავლეთ საქართველოში

II სექცია

15:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **მერაბ ჩუხუა, ევა დადიანი**

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ჭელიძე – სახელ „ნაჟვი“-ს მნიშვნელობა და მისი ადგილი „მცენარეთა სახელების კრებისთა ლექსიკონში“

რუსუდან რამიშვილი – რამდენიმე შენიშვნა სპარსული გვარ-სახელების ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციასთან დაკავშირებით

სოფიკო ჭაავა – ლინგვისტური კვლევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1923 წლის საარქივო მასალების მიხედვით)

მზია ხახუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე – ზოგი ზმნური ერთეულის თავისებურებანი აჭარულში

მერაბ ჩუხუა – ლაზური *დოლო-* ზმნისწინის მეგრული შესატყვისისათვის

17:00 სთ.

სესიის შეჯამება და დახურვა

დიანა ახვლედიანი, ნარგიზ ახვლედიანი

„ორთაბათუმი“-ს განმარტებისათვის

ენა, როგორც ენის კულტურული კოდი, და, არა მხოლოდ კომუნიკაციისა და შემეცნების იარაღი, მრავალ საიდუმლოს ინახავს. ეს განსაკუთრებით ეხება ენათმეცნიერების ისეთ დარგს, როგორც ონომასტიკაა. გეოგრაფიული სახელწოდების ზუსტი აღწერა და კვლევა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის ისტორიის წარსულის კვლევას.

გულუბრყვილო თქმულებები, ან ცალკეული გადმოცემები ხშირად აღიქმება ამა თუ იმ გეოგრაფიულ სახელთა და ცალკეულ ტოპონიმთა ნამდვილ ახსნად. გეოგრაფიული სახელწოდებანი ხშირად იზიდავს სულ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. ეს უკანასკნელნი კი იყენებენ მათ თავიანთი დებულებების დასამტკიცებლად, მაგრამ ტოპონიმიკის სპეციფიკურობის არცოდნა არ აძლევს მათ საშუალებას სწორი დასკვნების გამოსატანად. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ერთ ძველ ტოპონიმს, რომელიც თანამედროვე ბათუმის აღმოსავლეთით, სულ რაღაც ათიოდე კილომეტრზე მდებარეობს. ეს გახლავთ ტოპონიმი „ორთაბათუმი“.

„როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ხალხში დამკვიდრებული აზრით, „ორთაბათუმი“ თურქული წარმომავლობის სახელწოდებაა. ამიტომაც იყო, რომ რამდენიმე წლის წინ შეუცვალეს მას სახელი და ახლა ჩაისუბნის სახელითაა ცნობილი“ – წერდა 1959 წელს ი. სიხარულიძე (სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმიკის მეორე ტომში (ი. სიხარულიძე, 1959, 92).

ტოპონიმი „ორთაბათუმი“ ჩვენ თურქული წარმომავლობის სახელად არ მიგვაჩნია. ჯერ ერთი: თუ იგი თურქების მიერ შერქმეული სახელია, ეს უნდა მომხდარიყო XVI საუკუნის აქეთ, მას შემდეგ რაც, თურქებმა ეს მიდამოები დაიპყრეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ადგილობრივ მკვიდრთა მესხიერებაში უნდა იყოს დარჩენილი თქმულება-გადმოცემა იმის შესახებ, თუ რატომ ეწოდა ამ სოფელს ორთაბათუმი. დღესდღეობით ასეთისთვის ჩვენ არ მიგვიკვლევიან, რაც ჩვენი აზრით, სოფლის ამ სახელწოდების უფრო ადრინდელი-

ბაზე, მის უძველესობაზე უნდა მიუთითებდეს. მეორეც: დავუშვათ, მართლა თურქების მიერაა შერქმეული ეს სახელი. „Orta“ – თურქულად შუას ნიშნავს (დ. მაგაზანიკი. 1945, 465). სადაური შუა ბათუმი? რატომ უნდა დარქმეოდა მას შუა ბათუმი, მაშინ როდესაც იგი გეოგრაფიულად ბათუმიდან შეიძლება ითქვას უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარეობს. ასე რომ არც ისაა ცნობილი, თუ რატომ დაერქვა სოფელს „ორთაბათუმი“ და არც შერქმეული სახელი ამართლებს შესარქმევი ობიექტისადმი მიკუთვნებას და აზრობრივ-შინაარსობრივ დადასტურებას.

თურქულია თუ ქართული სახელწოდება „ორთაბათუმი“?

ჩვენ გვგონია, რომ იგი თურქული არ არის. სახელწოდება „ორთაბათუმი“, როგორც ვხედავთ კომპოზიციური აგებულებისაა. იგი „ბათუმი“-სა და „ორთა“-ს შეერთების შედეგად არის მიღებული. ბათუმი ჩვენთვის ასე თუ ისე ცნობილია, ყოველი შემთხვევისთვის, ვიცით, რომ იგი უძველესი დროიდან ჰქვია ჩვენს ქალაქს.

რას უნდა ნიშნავდეს „ორთა“?

ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში გვაქვს თუ არა ასეთი ან მიმსგავსებული სიტყვები? – გვაქვს და საკმაოდაც.

ჯერ სულხან-საბასთან ვნახოთ: „ორთავი“ – ზღურბლი. „ორთი“ – ბერძნულია, დღეობასა ჰქვია. ორტაბახი – გრილსა და მხურვალს საშუალი (სულხან-საბა ორბელიანი, 1949, 17).

ახლა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩავიხედოთ:
ორა – (ძვ.) ამოთლილი გობი ქვისა.

ორანა – (კუთხ. კახ) სოფლის ნახირისთვის განკუთვნილი ადგილი.

ორე – 1. ამოთლილი ჭურჭელი.

2. (კუთხ. რაჭ.) პატარა საწნახელი.

ორთავი – (ძვ.) იგივეა რაც ზღურბლი (ქეგლ 1986,6).

გარდა ამისა, ბევრი ადგილის სახელი იძებნება საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, რომელთაც ძალიან ახლო მსგავსება აქვთ ორთაბათუმთან. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს რა შავშეთის მდინარეს და ხევსა, ამბობს: „ხოლო ამ ორთა შავშეთის მდინარეთა ზედა არიან დაბნები შენნი დიდ-მცირენი (ვახუშტი ბატონიშვილი, 1949, 136). მასვე აქვს დასახელებული „ორთაშუა“ [ბოლნისის ხეობა] (იქვე, 1991), „ორხევი“

[ერწო] (იქვე, 201), „ორთაშუა“ [ჭივჭივას ხეობა] (იქვე, 194). მსგავს სახელწოდებებს ვხვდებით, აგრეთვე, მესხეთშიც: ორფოლა, ორწყავი [აწყურის რაიონი, ახალციხის ლივანში], იქვეა მოხსენიებული სოფლები: ორცეფი, და ორხოფია (ს. ჯიქია, 1941, 9-12). ასეთივე სახელწოდების სოფლები გვხვდება, აგრეთვე, აჭარაშიც. ასე, მაგალითად. „ორთავაკე“ – სოფელი წაბლანაში – [ხულოს რაიონი], „ორთახონა“ – სოფელი [კოლოტაური] (ი. სიხარულიძე, 1958,55,101) ორთახევი (ი. სიხარულიძე, 1959,153). XI საუკუნით დათარიღებულ „მცხეთის საბუთში“ წერია: „...ვიყიდე... სოფელი ორთა სამითა აგარათა“ (ნ. ბერძენიშვილი, 1967,283). სოფელ „ორთა“-ს ვხვდებით, აგრეთვე, სხვა ძველ ქართულ საბუთებშიც (ს. კაკაბაძე, 1966,329) და, ბოლოს, საყოველთაოდ ცნობილი „ორთაჭალა“ – ლექსიკოგრაფი ნ. ჩუბინიშვილი ორთაჭალას ასე განმარტავს: „ორთაჭალა“ – მდინარის ორთა ტოტთა შორის მდებარე ჭალა (ნ. ჩუბინიშვილი, 1961,7). ეს საკმარისად გრძელი ჩამონათვალი „ორთა“-თი ნაწარმოებ სახელებისა, იმიტომ მოგაწოდეთ, რომ გვეჩვენებინა მსგავსი რიცხვითი სახელებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, რომელთა შესახებ ჩვენ სულაც არა გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ მათი არაქართული წარმომავლობა. მკვლევარი აზიზ ახვლედიანი ტოპონიმ „ორთაბათუმ“-ს მიიჩნევდა რიცხვითი სახელისაგან; „ორი“ და გეოგრაფიული სახელწოდების – „ბათუმი“-საგან მიღებულ ტოპონიმად, სადაც „თ“ არის მეორე მრავლობითობის (თანიანი) აღმნიშვნელი და, აგრეთვე, ბრუნვის ნიშანიც, რომელსაც ერთვის ემფატიკური ხმოვანი „ა“. მკვლევარ აზ. ახვლედიანის ცნობით, „ორთაბათუმი“ ქართული სახელწოდებაა სოფლისა, რომელსაც ადრე [თურქებამდე] სხვა სახელწოდება არ გააჩნდა (მასალა წარმოდგენილია აზ. ახვლედიანის პირადი არქივიდან). ჩვენი ვარაუდით, იგი მართლაც რიცხვითი სახელისაგან შედგენილი ტოპონიმია, ოღონდ არა „თანიანი“ მრავლობითის „თ“-თი ნაწარმოები, არამედ კომპოზიტის პირველი ნაწილის შემადგენელი კომპონენტი დაკარგული „მ“ თანხმოვანია: „ორ[მ]თა ბათუმი“.

ვფიქრობთ, თურქებმა იმისათვის, რომ საკუთარ ენაზე გასაგები გაეხადათ ორ მთას შორის მდებარე ადგილი, არ არის გამორიცხული, იგი პირდაპირ ეთარგმნათ და ეწოდებინათ თურქული „orta“ (შუა), რომელიც შემდეგ ტოპონიმის შინაარსს მთარგმნა,

ოლონდ რის შუამდებარე, აღარ განსაზღვრეს. დაპყრობილ ტერიტორიებზე, თურქები ხომ ადგილის სახელწოდებებს (და არამართო – გვარებსაც), მათთვის გასაგებ ენაზე, საკუთარი მსოფლგაგებით თარგმნიდნენ, ისევე როგორც მაგალითად, დღევანდელი „მწვანე კონცი“, რომელიც ადრე „წყავნარი კონცი“ იყო (დღეს კი – დაკარგულია), საკუთარი აღქმით გადათარგმნეს და ყურადღება გადაიტანეს ამ ტერიტორიაზე გავრცელებული ენდემური ჯიშის მცენარის ნაყოფზე, რომელიც შავი ფერის, განსაკუთრებული გემოვნების, ერთგვარი ხილი (წყავი) იყო და დაარქვეს „შავი საქმელის კონცი“, რაც შემდგომ მომხდურთა (რუსთა – ხაზგასმა ჩვენია ნ.ა.დ.ა.) მიერ ითარგმნა, როგორც „მწვანე კონცი“. ამჯერად, ყურადღება გადაიტანეს არა ნაყოფზე, არამედ უშუალოდ მარადმწვანე მცენარის ფოთლებზე, ხოლო რაც შეეხება ტოპონიმ „ორთაბათუმი“ ეტიოლოგიას, იგი, შესაძლოა, ორ(მ)თა შუა მდებარე ტოპონიმი იყოს.

ამდენად, გარე ენობრივი კვლევის საფუძველზე, ტოპონიმის სახელდების მოტივაციის გათვალისწინებით, რომელიც ადგილობრივ ინფორმატორთა გადმოცემებითაც მყარდება, დასახელებული ტოპონიმი, გეოგრაფიულად, მართლაც, მთებს შორის მოქცეული ადგილია, იგი ერთი მხრივ – „მტირალა“-ს მთის ძირს წარმოადგენს და მეორე მხრივ – „სკურდა“-ს მთა ესაზღვრება. ამრიგად, ტოპონიმ „ორთაბათუმი“-ს ეტიოლოგიაც და მისი სახელდების მოტივაციაც, ვფიქრობთ, ესაა: იგი – ორ მთას შორის მდებარე ტერიტორია – „ორ[მ]თაბათუმი“ (შდრ.: „წეფთა“, „ოთოლთა“ – ოთოლ[მ]თა, იგივე „სათლელის მთა“).

გამოყენებული ლიტერატურა

- აზ. ახვლედიანი** – პირადი არქივი
- ვახუშტი ბატონიშვილი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1949 წ.
- ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967 წ.
- ს. კაკაბაძე**, ქართული დოკუმენტები, აზიის ხალხთა ინსტიტუტი, 1966 წ.

Д. А. Магазаник, Турецко-Русский словарь, М. 1945

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949 წ.

ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმისტიკა, II, თბ., 1959 წ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960 წ.

ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი ალ. ღლონტის რედაქციით, თბ., 1961 წ.

ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941 წ.

მ ა ი ა ბ ა რ ა მ ი ძ ე

აღწერითი წარმოებისათვის სამხრულ კილოებში

სამხრულ კილოებში, სამხრულ მეტყველებაში იგულისხმება აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური დიალექტები (მ. ფაღავა 2013, 136-141).

მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ქართველებისა და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშების ჩაწერა, მიმოქცევაში შემოვიდა ბევრი ახალი ემპირიული მასალა.

სტატიაში განვიხილავთ სამხრულ კილოებში გავრცელებულ სხვადასხვა სახის აღწერით კონსტრუქციას. ამჯერად საკითხზე ვმსჯელობთ მხოლოდ შავშური, კლარჯული და ტაოური კილოების მასალების მიხედვით.

აღწერითი კონსტრუქციები შედგება სახელადი ნაწილისა და ზმნისაგან. აღნიშნული კონსტრუქციები ძველ ქართულში მონოგრაფიულად შეისწავლა თ. ვაშაკიძემ. მკვლევარი აღწერით წარმოებას უწოდებს ყველა სახის მემველზმნიან ფორმას – ყველა სახის შედგენილ შემასმენელს, ისეთ აღწერით კონსტრუქციას, რომელსაც ეწყობა ორგანული წარმოება ან არ ეწყობა, მაგრამ სახელური და ზმნური კომპონენტები სემანტიკურად ისე მჭიდროდა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ერთ მთლიან ოდენობას წარმოადგენს; აქვე შემო-

აქვს ფრაზეოლოგიური გამოთქმებიც, რადგანაც გრამატიკულად პერიფრასტულ ფორმებს უტოლდება (თ. ვაშაკიძე 1993, 5).

აღწერითი კონსტრუქციები მრავლად გვხვდება სამხრულ კილოებში. არც თუ იშვიათად, ამა თუ იმ მწკრივის ფორმა ნაწარმოებია აღწერილობითად.

პირველ თურმეობითში ორგანული წარმოების ნაცვლად დასტურდება აღწერილობითი: *ქილისე არ დევნახე, ისე, ფოტოში დანახულ ვარ (ელიასხევი)¹; ისე გაგონილი ვართ ჩუნა, რა ბარზე არ ვიცი (ქუაბაგი); მე ა'დომინახია იგი, გაგონილი მაქ (იეთი); ...მე არ დომინახია, ისე გაგონილი მაქვა, ღენჭებ ჭამსა (ფიშნარხევი); მოსული არ ვარ ბათუმში (ობლეკარი); რუ თამარასი მოყვანილი არი (ქუაბაგი); აქედან ბოვრი არიან წესული (ობლეკარი); თამარად გაგონილი გაქვან (მურათლი); დათესილი არ მაქ არაფერი (ბაზგირეთი); გაგონილი გვაქ ბათუმი და ისე არ ვართ მოსული (ბაზგირეთი); მეც გაგონილი მაქ (უსტამისი); დანახული მყავს და მოკლული არ მყავს (ჩაქველთა); ახლა მე ჯარში არ წესული ვარ (ახმედი); ნენეიდან მახსოვს, დანახული არ მაქს, წამოსულიც არ ვარ [საქართველოში] (ხეზა); მე გველი მოკლილი მყავს; ჩემი ნენეიდან გაგნებული მაქ და დაწავლილი არ მაქ (მურათლი); ჩვენ არ ვართ წამოსულები (ჩიხვთა); მოსულები არ ვართ (იფხრეველი).*

წყვეტილი: *მოვლილი ვარ თურქეთის თითქმის ყველა ქალაქი; ქომო ბოსტანში მაკიდონი დავეთესე, სიმინდი, ლობიო, ხაპიცდარგილი მაქ (მურათლი); ადრე მოსული ვარ (კოკბერეთი); იმამ მითხრა, იქიდანა ჩამოსული ვარო (ჩაქველთა); ჰო, იმ ბიჭ სახლი დაჭირული აქ და... (ბაზგირეთი).*

დასახელებულ მაგალითებში ორგანული ფორმების (არ დამინახავს, გამიგონია, არ წამოვსულვარ, მომიკლავს... მოვიარე, დავრგე...) ნაცვლად გამოყენებულია შედგენილი შემასმენლები.

ამ ტიპის წარმოება ხშირია აჭარულშიც: *ქედ-ქედი გადავლილი ვარ.*

¹ მაგალითებს ვიმოწმებთ მონოგრაფიებში – „შავშეთი“ (2011), „კლარჯეთი“ (2016), „ტაო“ (2020) დაბეჭდილი დიალექტური ტექსტებიდან.

სამხრულ მეტყველებაში არც თუ იშვიათად გვხვდება „ყურად-ილო“ ტიპის ფრაზეოლოგიზმები (თ. ვაშაკიძე 1993: 5-6). დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

ყური მიყა მე (ქუაბაგი); ახლა მეც ყური მიყავი (ქუაბაგი); იმა ბევრ ყურ ვუგდეფ, ვსეიროფ (იეთი); მუსაფირი მოვა, ჩუენში ცარი-ელ არ გავაგდეფთ (ქონობანი); მთავრობის ხათრი დამჩა (ხევეკი); არ იჭირავს ერთმანეთი გურჯილარ (ქისქიმი); ჩემ ლაჭუხე შვიდ წელწად თვალი ქონდა ბაჯალას (ხობლევი); რამაზანს ვიჭირავ (მანატბა); ავათ ვიყავ, ვერ დევჭირე რემეზანი (ზაზგირეთი).

გარდა ზემოთ აღნიშნული ფორმებისა, სამხრულ კილოებში საკმაოდ გავრცელებულია ისეთი აღწერითი კონსტრუქციები, რომლებიც შედგება სახელადი ნაწილისა და ზმნისაგან. ასეთ კონსტრუქციებს შ. ნიჟარაძე და ნ. გურგენიძე მიიჩნევენ თურქული ენის კალკებად (შ. ნიჟარაძე 1971, 69-70; ნ. გურგენიძე 1973, 77-84). თურქული ენის კალკებად თვლის მათ შ. ფუტკარაძეც (შ. ფუტკარაძე 1995).

სახელად ნაწილად გვხვდება როგორც ქართული, ასევე თურქული სიტყვები, ხოლო ზმნათაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება **ქმნა**, **იჯება** ზმნები.

დავიმოწმებთ მაგალითებს:

ახლა კამ შეიქნა, ზათენ ბევრი მუშაობა იყო, აბლი ფარა იყო (ქონობანი); შენი კაცი მოკტა? რამდენი შეიქნა? ბევრი შექნილა (წითლეკარი); ორი ძმა ვიყავით, ახლა რაამეთლი შეიქნა (წითლეკარი); აქოვრობა უწინ მუსლიმანი შექნილა, პარხალი წასულა აქედან... უტად ერმენი ყოფილა, მუსლიმანი შექნილა... (ზასლეკარი); უტავი სომეხია, გადატრიალებულან, მუსლიმანი შექნილან (დუგური); ასკრობა ნაქნარი თორი მყავს (ობლეკარი); ...საცერში გავცრიდით, პურ ვიქმოდი (ელისახევი); ამათა ზარხოში გახადეს ჩვენი მუხტარი, ხელი დააკრევიეს, ცალკე სოფელი ქნეს (ელისახევი); ჩემ ბაბომა ასე ვესიათი ქნაო და... (ქუაბაგი); ჩვენი ლაპარიკი გადარეულა, ასიმილე ქნილა (ფიშნარხევი); ჩვენ დაგვბიწყებია, ასიმილე ვქნილვართ (ქუაბაგი); თქვენი ლაპარიკი გადარეულა, ასიმილე ქნილა (ობლეკარი); ...იქ მუსაფირი ქმოდეს, პურ მიართმიდეს, დააწვენდეს (ფიშნარხევი); ფიქვილვი ქნოდით, ბელელში, ხაროში ჩავხყრიდით, ვიხმარდით (ელისახევი); მე დუგუნი ვქენი... იქ სახლი გვქონდა, იქა დუ-

გუნნი ვეენი (ქუაბაგი); დუგუნვი ქმოდით, ხარ დავხკლიდით დუგუნში (მოსლიეთი); სამი ტყუბი იყენეს, დოხტორმა პრობლემა ქნეს (ხევეკი); ...ბურსაში მერი'და იქნას ახლა ფარუქი (ხევეკი); მუუტანიან კაცები, დინგი, ისენი უენიან, მუჭით გუუხრეტთან, დინგი უქნიან, ქერი დუუნაყიან ხელით (ბალხიბარი); იმ დროზე ხალხი გევდოდეს, სარცხელიქმოდეს (ხევეკი); ჰამა ორი სოა არის – ერთ თანეთაგი იქსა, ერთ თანე არ იქსა (ქისქიმი); ცომი'ნა ქნადა... (ქონობანი); მესელა, ქათამ იზგარა იქმენ (ქონობანი); ჩონ ქორიეთმოვნეს, კალაა ქნეს და ... თეშთსწონავს (ხევეკი); შეშიდამ იყო, ახლა ბეთონიდანმევენეფთ (ქუაბაგი); აქობაში ხოჯობა უქნია (ობლეკარი); ...ჰამა ბედვა უქნია იქავრობას (წითლევეკარი); ახლა მოველით და ...ზოა ვეენით (წითლევეკარი); ...წარდაჰკლიდეს, ჰალვა იქმოდეს (ფიშნარხევი); ეთი ვეენი, აღარ დუკრავ! (ფიშნარხევი); უწინ ხოჯობა არ ქნა, ჯამეში იმამობა (ბასლეკარი); დამე შეიქნება, დათვი იღარღალეზს... (ხევეკი); დუა ქნისახელ ასე ვიქთ (ბასლეკარი); ...ყურბან დავჰკლავთ, დუასვიქთ (ბასლეკარი); ორ-სამ დამეს ხალხი შედყრებოდეს... მოსაფირი შეიქნებოდეს (ობლეკარი); ხალხი არი, რაჰათ ვერ იქამ (ხევეკი); სამი ბიჭი ყადობა შეიქნებოდეს (სადიყანა); იმსოა მარანქოზობა უქნიან, იმგერს ახლა ვერ ვიქ (მურათლი); ონ იქი სენე მუხტრობა ქნა (ჩაქველთა); მოვდა, დოსტობა ვენათო (სვირევანი); მე ბვერი საბრი არ მიქნია (შავშეთი); სამ წელწად დედამთილმა რძალს'და უყოს რძლობა, მემრე რძალმა'ნა ქნას რძლობა (იფხრეველი); მე ვენახში ლობიოს ვიქავ (ნურუოსმანიე); ...წეევიდა უქნედან მეგერ პერანგზე და, ...ხუჭი არ მიქნია, ძილი (ბაზგირეთი).

აქ ყურალობა იჯება (ელაიასხევი); ორი წარი თურქი ფულით ეგედეჯე ფული იჯება (ელაიასხევი); ...დუქნები მქონდა, თერძობა ვიჯებოდე (წითლევეკარი); ...ფაბრიკაში შესულან, თერძობას იჯებიან (ქილათი); ედა ჩემი უსეინა ავეჯობას იჯება (ცუცეკარი); კალობა ვიჯებოდით, ქერს ვლეწიდით... (ქუაბაგი); ...ვტეხავთ [ლობიოს] შაჭმელ ვიჯებით, ვჰამთა (ქუაბაგი); დიდი – შოფერობა იჯება (ბალხიბარი); დღეს გვენეს, პიკნიკ იჯებიან (ხევეკი); ერ თანე ფური არი... თათილვიჯები (წითლევეკარი); ზამთარი აქ აღირ იჯებოდა, ზააბა თოვდა (ქონობანი); შაა ყურმნიდან იჯებიან ბეთმეზი (სადიყანა); იმას აადულებენ, სადველ იჯებიან (ხევეკი); ...სარცხელი უჯებიან ზათი (გოდლეკარი). მერაყვიჯები, იქ წევდე'ნა (ჰამიდიე); ავეჯობას

ვიჯეზოდით (ჩაქველთა); ჩვენ აქ გურჯი ვაიზეზ არ ვიჯეზით (ნიო-ლეითი); არ იჯეზიან ლაპარიკ ახლა, არა (ზაგინი); ჩემი შვილი შოფე-რობას იჯეზა (აივაზფინარი); ილაჯებს ვსვამ, ლემს ვიჯეზი ახშამ-დილას (ერენქოა).

ხომ კამ ხეზერი მოგე (ელიასხევი); იქ გზაზე დუქანი ჩემი იყო, ცეცხლი მიცეს, გახრაკეს (წითლეკარი); ...იმა კარგა ჰასილ მისცემ, ონდასონ რა გააპტყელო... (ქონობანი); ...აქ რაცხა იჯეზი, იქა ხეზერ აძლევეს (ხევეკი); ყვავები იქნებიან, იმას ვაძლევე კონსერს [კონ-ტერტს] (ქუაბავი).

ხეზერი არმოსულა... გურჯიჯა ოცდამეექვსე დღე წევდა (ჭი-ლათი).

ტყვილ გიგიკეთებს, წევა, არ მუა, იმა ჩუნ ტალდაჯი ვეტყვით (ფიშნარხევი).

ახლა ფიშმანი ვარო (ელიასხევი); სალამი'ნა ვუთხრა (ცუცკა-რი).

ოჯახში დაჰდებს, დაჯოხავსპაწა-პუწასა, მიცემს ცეცხლსა (ხე-ვეკი);

...ქარჩაზექი მოვდივართ ფარით ეყყანთ (ქისქიმი);

ჩემ დედესაც ასე ვუთხარ – „რა თქმაა არი“? (ზასლეკარი);

ჩუმი ვერ გამოვლე (მარადიდი).

ერთ წინადადებაშია აღწერითი და ორგანული ფორმები:

...აქ თესვა-მესვამ ვიქმოდით, ყანა დავთესვიდით, თესვა ვიქ-მოდით (ქონობანი); ენწინ დავნიშნავთ, ნიშან გავაკეთავთ (ბინათი); იქ გზაზე დუქანი ჩემი იყო, ცეცხლი მიცეს, გახრაკეს... (წითლეკარი);

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზმნათა აღწერითი ფორმები ძველ ქართულში შეისწავლა თ. ვაშაკიძემ. მეცნიერს მიაჩნია, რომ იქმნა' მეშველზმნიანი ფორმები ბუნებრივია ქართული ენისათვის და არ წარმოადგენს უცხო ენათა გავლენის შედეგს (თ. ვაშაკიძე 1993, 155). არქაიზმებად მიიჩნია ანალოგიური ფორმები აჭარულში მ. ცინცაძემ (მ. ცინცაძე 1966, 98-99). აღწერით ფორმებს მ. ფაღავა და მ. ცინცაძე განიხილავდნენ შრომაში „კალკების საკითხისათვის სამხრულ კი-ლოებში“ (2005 წ.) და მიუთითებდნენ, რომ ანალოგიური კონ-სტრუქციები მრავლად დასტურდება როგორც ძველ, ისე საშუალო ქართულში – ორიგინალურსა თუ ნათარგმნ თხზულებებში. დავი-მოწმებთ რამდენიმე მაგალითს დასახელებული სტატიიდან:

გზბრძანე რაძთა ვეზნეთ ხეესი (ლიმ. 28,21); ქმნა გოდებაჲ მამისა თჳსისაჲ შჳდ დღე (შესაქ. 50,10); ავდეგ, ვცნა მათი ამბავი, წარსლვა ვეზენ მითვე წამითა (ვტ. 500,2); ვეზირმა ცოტა ღიმი ქნა (რუსულ. 162); თავრეზელეზერ მანც მშვიდობა მოითხოვა, ჰყოფს ხვეწნასა (არჩ. 514) (მ. ფაღავა, მ. ცინცაძე 2005, 78-79).

მათი ასეთი ფართო გავრცელება ავტორებს აფიქრებინებდა, რომ ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ თურქული ენის კალკებს და აღნიშნულ კონსტრუქციათა საბოლოო კვალიფიკაციისთვის „საჭიროა ქართული მწერლობის ძეგლების, სამხრული მეტყველებისა და საერთოდ ქართული კილოების შესწავლა ამ თვალსაზრისით“ (მ. ფაღავა, მ. ცინცაძე 2005, 79). ვეთანხმებით ავტორებს და ვფიქრობთ, სამხრული მეტყველებიდან (შავშური, კლარჯული, ტაოური) წარმოდგენილი ახალი მასალა ამის დასტურია.

გამოყენებული ლიტერატურა

გურგენიძე 1973 – ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი, 1973

ვაშაკიძე 1993 – თ. ვაშაკიძე, ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში, თბილისი, 1993

ნიჟარაძე 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1971

ფაღავა, 2013 – მ. ფაღავა, მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი: იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2013

ფაღავა, ცინცაძე 2005 – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, კალკების საკითხისათვის სამხრულ კილოებში (წინასწარი შენიშვნები): ბსუ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული IV, ბათუმი, 2005

ფუტკარაძე, 1995 – შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტოკლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადისერტაციო მაცნე, თბილისი, 1995

ცინცაძე 1966 – მ. ცინცაძე, ზოგიერთი ლექსიკურ-გრამატიკული არქაიზმი აჭარულში: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის თეზისები, ბათუმი, 1966

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

ვარლამ თოფურიას ღვაწლი ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში

ვარლამ თოფურიას სამეცნიერო კვლევების სფერო ძალზე ფართოა, ის ეხება ქართველურ ენათა შედარებით ფონეტიკას, გრამატიკას, ლექსიკა-ლექსიკოგრაფიას, ქართულ დიალექტოლოგიას, იბერიულ-კავკასიურ ენებს, სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას, ქართული ენის სწავლების მეთოდიკას. შეუდარებელი ღვაწლი აქვს გაწეული სვანური ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ვ. თოფურია ამა თუ იმ საკითხის განხილვისას არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული მასალით, აანალიზებს ქართველურ ენათა მონაცემებსაც.

დიდია ვარლამ თოფურიას დამსახურება ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შესწავლის საქმეში. მან ამ საკითხს გამოკვლევათა სერია უძღვნა საერთო სახელწოდებით „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“. სტატიებში განხილულია ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა, ბუნებრივი კომპლექსები, ჯ და ხ თანხმოვანთა ბუნება სიბილიანტ-აფრიკატთა მეზობლობაში, ვ სონანტის გადასვლა ღვ, გვ, ქვ-ში... დიდ ადგილს უთმობს რედუქციის მოვლენის შესწავლას. ვ. თოფურიამ დაადგინა, რომ ისტორიულად ქართველურ ენებში მეტ-ნაკლებად ყველა ხმოვანი რედუცირდებოდა; განიხილავს შესატყვისობის კანონზომიერი წესებიდან გადახვევის შემთხვევებს...

ვ. თოფურია ქართველურ ენებში მიმდინარე პროცესებს კომპლექსურად განიხილავს გამოკვლევაში „გრამატიკულ მოვლენათა

ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში“ (თოფურია 1979: 173-184). ნაშრომში წარმოდგენილია ქართულის სხვადასხვა დიალექტებსა და ქართველურ ენებში ერთიანი პროცესით გამოწვეული გრამატიკული მოვლენები და გამოკვლეულია მათი ერთიანი საფუძველი. სხვა საკითხთა შორის მეცნიერი ყურადღებას აქცევს ცალკეულ დიალექტებსა და მეგრულში წარმოდგენილ მოვლენას – გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის შეწყობას მოთხრობით ბრუნვაში (კაცმა წავიდა, მოხუცმა მოკვდა, ბავშვმა ადგა, კოჩქ დოღურ („კაცი მოკვდა“ ზედმ. „კაცმა მოკვდა“); მეგრულში ნო- პრეფიქსიანი თურმეობითის წარმოებას (ნოჭარუე „წერდა თურმე“, ნოკითხირუე „კითხულობდა თურმე“) ადარებს მას სვანურ (ლემმურდ „ნამყოფა“, ლემმმმმნ „ნაშენება“, ლემდიგინ „ნაქრობა) და რაჭულ, იმერულ, ლეჩხუმურ (ნაკითხავა, ნაწერა, ნაყურება, ნაყვარება) ფორმებს; დაწვრილებით განიხილავს სახელთა ბრუნებისას მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს; პირის ნიშანთა განაწილებას ძველ ქართულში, დიალექტებსა და ქართველურ ენებში; მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობას დიაქრონიურ ჭრილში და თანამედროვე ვითარებას.

ქართული ბრუნების პრობლემურ საკითხს ეხება ვ. თოფურია ნაშრომში „წოდებითი ბრუნვისათვის“ (თოფურია 2002: 357-367). მკვლევარი განიხილავს წოდებითი ბრუნვის წარმოშობის ისტორიას, წარმოების თავისებურებას, ფუნქციას, სინტაქსურ ძალას, ადგილს გრამატიკაში. კვლევისას მოაქვს ძალზე საინტერესო მაგალითები მეგრული (resp. ზანური) და სვანური ენებიდან, სადაც წოდებითი ბრუნვა არ არსებობს. ამ ენებში წოდებითი ბრუნვის ფუნქციას ასრულებს სახელობითი სათანადო ინტონაციითა და ზოგჯერ ო ნაწილაკით (მეგრ. ო, დადია!, ო ცირა, ო ჯიმა სესია: სვან. ო გერგო!). ამ წარმოებით ზანურ-სვანური უახლოვდება ძველ ქართულში საკუთარი სახელის მიმართვის ფორმას.

ზანური ბრუნების თავისებურების ანალიზს ეძღვნება ვ. თოფურიას სტატია „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში“. ავტორი განიხილავს ზანურის მიმართულებით, დაწყებით (დაშორებით) და დანიშნულებით ბრუნვებს, ადარებს მათ ხევსურულში, ფშაურში, გურულში, სვანურში არსებულ წარმოებას და ასკვნის – ეს ბრუნვები ზანურში სპეციფიკურია, წარმოშობით მეორადია და ფუძედ ნათესაობითი ბრუნვაა გამოყენებული.

მნიშვნელოვანია ვ. თოფურიას გამოკვლევა „ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში“ (მოხსენებად წაკითხულ იქნა 1940 წელს, დაიბეჭდა 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის მეორე ტომში). არგუმენტირებული მსჯელობის შემდეგ მეცნიერი ასკვნის: „1. ქართველური ენები „ნარევი ტიპის“ ენებია; ნ ფენა ფართოდაა წარმოდგენილი სვანურში, ხოლო ს – ქართულსა და მეგრულულაზურში. ნ ფენით ქართველური ენები უკავშირდება კავკასიურსა და მკვდარ ენებს (ხალდურს, ხეთურს)“ (თოფურია 1979: 143).

არანაკლებ საინტერესოა ვ. თოფურიას სტატია „ენჯ- სუფიქსისათვის მეგრულში“ (თოფურია 2002: 146-149). მეცნიერი განიხილავს მეგრული მიმღეობის აღმნიშვნელ ერთ-ერთ მაწარმოებელს: -ენჯ-, -ონჯ-, -ანჯ-, -ინჯ- სუფიქსებს. მრავალრიცხოვანი ემპირიული მასალის ანალიზით ასკვნის, რომ -ენჯ- მეგრულში მიმღეობათა საწარმოებელი ფორმანტია, ხოლო -ინჯ-, -ანჯ- მის სახეცვლილებას წარმოადგენს. დღეს ის უქმი სუფიქსია, ხმარებიდან განდევნა მისმა მორფოლოგიურმა მონაცვლე -ალ-მა. მას ფონეტიკურად და მორფოლოგიურად შეესატყვისება ქართული -არ ბოლოსართი, რომელთანაც სადაურობის მაწარმოებელ -არ- სუფიქსს კავშირი არა აქვს. უკანასკნელი შესულია მეგრულიდან და მის ეკვივალენტად ქართულში გვევლინება -ელ ფორმანტი.

ვ. თოფურიამ სხვადასხვა დროს რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა ქართველური ენების სიტყვაწარმოების საკითხებს. თავის მოხსენებებსა თუ სტატიებში ის განიხილავდა ნე-, ნი-, ნა- (1938 წ.), -ედ, -ურ, რ- (1940), -ენ, მა- - -არ, სე-, -აქა (1940) აფიქსებით ნაწარმოებ, ხმოვანთავსართიან (1947), კნინობით სახელებს (1946), კომპოზიტებს (1948).

ნაშრომებში გამოკვლეულია თითოეული ფორმანტის წარმომავლობა, სემანტიკა, შეპირისპირებულია ქართველურ ენათა სიტყვაწარმოების საშუალებები, გამოკვეთილია მსგავსება და განსხვავება, ყველა სტატიას ერთვის ამომწურავი დასკვნითი დებულებები.

ქართველური რიცხვითი სახელის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანია ვ. თოფურიას ნაშრომი „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში“. მოხსენება წაკითხულ იქნა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე (1925 წ.), შემდგომ დაიბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის მოამბის მეექვსე ტომში (1926

წ.). ავტორი ერთმანეთს ადარებს ძველი ქართული ოცობითი რიცხვითი სახელის -მე- ფორმანტს (ომ-მე-ოცი, სამ-მე-ოცი, ოთხ-მე-ოცი), მეგრულ-ლაზურის -ონ- /-ენ- ს (მეგრ. სუმ-ონ-ეჩი / სუმ-ენ-ეჩი „სამოცი“, ოთხ-ონ-ეჩი „ოთხმოცი“, ლაზ. ჟურ-ენ-ეჩი / ჟურ-ნ-ეჩი „ორმოცი“, სუმ-ენ-ეჩი „სამოცი...“), სვანურის (ლენტ. ბალსქვ.) -ინ- (ურ-ინ ერჷემდ „ორმოცი“, სუმ-ინ-ერჷემდ „სამოცი“) და ადგენს, რომ ძველი ქართულის -მე- და მეგრულ-ლაზურ -ონ-/-ენ-ს ისეთივე ფუნქცია აქვთ, როგორც სვანურში არსებულ -ინ-ს. თავის დებულებას ამაგრებს აფხაზური, ბაცბური, ქისტური შესაბამისი მასალით.

ქართველური ლექსიკა განხილულია ვრცელ სტატიაში „მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში. წინასწარი მოხსენება“ (თოფურია 1979: 241-262). მოხსენება წაკითხულ იქნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-16 სამეცნიერო სესიაზე 1958 წელს. მოხსენების სრული ტექსტი დაიბეჭდა ვ. თოფურიას შრომების მესამე ტომში. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეხება მცენარეთა ქართული ნომენკლატურის მიმოხილვას. მათ გვერდით მოხმობილია შესაბამისი მეგრულ-ლაზური და სვანური საერთო, ნასესხები თუ სინონიმური ფორმები: ქართ. ბრინჯი ≈ მეგრ. ორზა // ორიზა; ქართ. წიწაკა ≈ მეგრ. ზაფანა ≈ ლაზ. პიპეი ≈ სვან. პიპილაა; ქართ. ღვარძლი ≈ მეგრ. ღვანძილა; ქართ. (კახ.) ძაღლნიორა ≈ მეგრ. ჯოლორიმ ნიორი; ქართ. ღვედკეცი ≈ მეგრ. ჯაშქვიდუ; ქართ. რცხილა ≈ ლაზ. ცხემური ≈ მეგრ. ცხიმური ≈ სვან. ცხვირა; ქართ. ძახველი ≈ მეგრ. ძარწუფა ≈ სვან. სანწოფ, წინწოფ; ქართ. ძმერხლი ≈ მეგრ. ზორმეხი ≈ ლაზ. ზერმეხი.

ნაშრომში განხილულია ქართველურ მცენარეთა სახელდების მოტივაცია, წარმოების თავისებურებანი, დადგენილია ცალკეულ ტერმინთა ეტიმოლოგია, შეთვისებული ლექსიკა, თავად ქართველურ ენებში სიტყვათა სესხების მიმართულება, ადაპტაციის წესები.

ჩვენს მცირე მიმოხილვას დავამთავრებთ სიმონ ყაუხჩიშვილი სიტყვებით, რომელიც ასე იგონებს კოლეგას: „რომელი ერთი დაასახელოს კაცმა! რასაც ვ. თოფურიამ მოჰკიდა ხელი, მისმა მადლიანმა კალამმა ქართული და ქართველური ენების სხვადასხვა მოვლენის განვითარების ნათელი სურათები გადაშალა, სურათები, რომლებითაც პირადი კეთილშობილება გადაჯაჭვული იყო მეცნიერულ სიწმინდესთან და ჭეშმარიტების ძიებასთან“ (თოფურია 2012: 55).

გამოყენებული ლიტერატურა

- თოფურია 1979 – ვ. თოფურია, შრომები, III, თბილისი
თოფურია 2002 – ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი
თოფურია 2012 – ვ. თოფურია, ხსოვნის წიგნი, თბილისი

გიორგი გოგოლაშვილი

ვარლამ თოფურია და ქართული დიალექტოლოგია

1926 წლის 2 თებერვალს პროფესორებმა აკაკი შანიძემ და გიორგი ახვლედიანმა თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტს მიმართეს შუამდგომლობით:

„ამით პატივი გვაქვს ვსთხოვოთ ფაკულტეტს, რომ მოწვეულ იქნეს ვარლამ თოფურია მასწავლებლად შემდეგ საგნებში:

1. ქართული დიალექტოლოგია და
2. ენათმეცნიერების შესავალი“.

ამ თხოვნას მოსდევს დახასიათება ახალგაზრდა ლექტორისა; პროფესორები აღნიშნავენ, „სხვა რომ არა იყოს, „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში“ მის მიერ წაკითხული მოხსენებებიც საკმარისია იმისათვის, რომ იგი საკმაოდ მომზადებულ პირად ვიცნოთ და უყოყმანოდ მივანდოთ საუნივერსიტეტო ლექციების კითხვა ზემორე აღნიშნულ საგნებში. ქართულ დიალექტებზე მას ბევრი უმუშავია და ზოგი რამ დაბეჭდილიც აქვს (მაგ., ქართლის კილოს შესახებ). უკანასკნელ ხანებში ის სპეციალურად სვანური ენის ბალსზემოურ კილოს იკვლევდა“ (კიზირია, ქალდანი, 1968)... როცა ეს შუამდგომლობა იწერებოდა, ვ. თოფურია 25 წლის ახალგაზრდა იყო; ამ დროისათვის მას პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილებაც ჰქონია: „იგი ამ საგანს (ენათმეცნიერების შესავალს – გ.გ.) კიდევაც ასწავლის, – აგერ სამი წელიწადია, – პედაგოგიურ ინსტიტუტში“ (იქვე)...

ცხადია, ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებელთა შუამდგომლობა დააკმაყოფილეს და იმ დროიდან მოყოლებული, რო-

გორც პროფესორი დედა უნივერსიტეტისა და, 1945 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, როგორც ახალი ქართული ენის კათედრის გამგე, უნივერსიტეტში უძღვებოდა ქართული დიალექტოლოგიის კურსს (მოგვიანებით პროფ. ივანე ქავთარაძეს გადააბარა) და ხელმძღვანელობდა დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას...

შემდგომ ენათმეცნიერების ინსტიტუტი: დღიდან ამ ინსტიტუტის დაარსებისა (1941 წ.) 1961 წლამდე (როცა კანონმდებლობით აიკრძალა თანამდებობრივი შეთავსებები) ვ. თოფურია ხელმძღვანელობდა ქართველურ ენათა განყოფილებას (1943 – 1949 წლები ინსტიტუტის დირექტორი იყო) და ამ ინსტიტუტში განხორციელებულ დიალექტოლოგიურ საქმიანობას ედგა სათავეში... ვინც იცნობს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაობას, დამეთანხმება: ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით გაწეული ქართველური დიალექტოლოგიური საქმიანობა რაოდენ ნაყოფიერი და შთამბეჭდავი იყო...

ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში შეიქმნა რამდენიმე პედაგოგიური ინსტიტუტი (ქუთაისში, თელავში, გორში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში). ვ. თოფურია ამ ინსტიტუტების პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში ზოგან უშუალოდ (როგორც ლექტორი), ხოლო ზოგან მხოლოდ იდეურად იღებდა მონაწილეობას და ხელმძღვანელობდა ინსტიტუტების თანამშრომელთა სამეცნიერო მუშაობას; ფაქტობრივ ამ სასწავლებლებში სამეცნიერო კვლევა-ძიება ძირითადად დიალექტოლოგიური თემატიკისა იყო...

ასე რომ, არსებითად, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე ვარლამ თოფურია იყო ქართული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების წარმმართველი საქართველოში...

ქართული დიალექტების მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო. 1911 წელს გამოქვეყნდა ნიკო მარის მიერ „სანიმუშოდ ჩაწერილი იმერხეული (კლარჯული) ტექსტები და მისი მოკლე ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვა“ (თოფურია 1963, 168)... და ამას შემდგომ მოჰყვა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი (ვ. ბერიძისა, მ. ჯანაშვილისა).. „1913 და 1915 წელს აკაკი შანიძემ თავის „მოგზაურობის ანგარიშსა“ და „კილოები მთაში“ გააშუქა ქართული დია-

ლექტოლოგიის არსებითი მნიშვნელობის საკითხები... ამით ჩაეყარა საფუძველი ქართულ დიალექტოლოგიას“ (თოფურია 1963, 168)...

და სწორედ აკაკი შანიძემ ქართული უნივერსიტეტის პირველი თაობის სტუდენტთაგან ჩამოაყალიბა უძლიერესი გუნდი და ქართულ დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას მისცა ფართო გზა... 20-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ სტუდენტების – არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას – მიერ შეიქმნა უმნიშვნელოვანესი დიალექტოლოგიური გამოკვლევები... 1926 წელს, როცა ზემოხსენებული შუამდგომლობა დაიწერა, ვ. თოფურიას „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში“ წაკითხული ჰქონდა ხუთი მოხსენება (სამწუხაროდ, 1925 წლის „საზოგადოების“ სხდომის ოქმები ვერ მოვიძიეთ...):

1. გომარულის მორფოლოგია (1923 წ. 18 მარტი);
2. ორმაგი უარყოფა ქართულში (1923 წ. 4 დეკემბერი);
3. ერთ-ერთი სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართულში (1924 წ. 1 აპრილი);
4. ქართლური ფონეტიკა, მორფოლოგია (1924 წ. 23 დეკემბერი);
5. ქართლური, მორფოლოგია (1924წ. 30 დეკემბერი)... – (წელიწადეული 1923 – 1924);

ამ ნაშრომებს კარგად იცნობს ჩვენი საენათმეცნიერო საზოგადოება; ისინი ფასეულია დღესაც. ასე რომ, როცა ზემოხსენებული შუამდგომლობა იწერება, ვარლამ თოფურია უკვე ცნობილი მკვლევარია ქართული დიალექტებისა... ჩვენ არ შევეხებით მის სამეცნიერო საქმიანობას სვანური ენისა და მისი დიალექტების, ქართველური ენათმეცნიერების სფეროში (ამის შესახებ ამ კონფერენციაზე სხვები ისაუბრებენ), ჩვენი თემა ქართული დიალექტოლოგიაა...

როგორც იტყვიან, ქართული დიალექტების შესწავლის საქმეში ესტაფეტა დიდი მასწავლებლისაგან საიმედო მოსწავლის ხელში აღმოჩნდა.

იმ დროისათვის, როცა ვ. თოფურია იწყებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, ქართული ენათმეცნიერება უკვე მყარ ნიადაგზე დგას (უპირველესად ვ. თოფურიას მასწავლებელთა წყალობით); მაგრამ მაინც, განსაკუთრებით ტერმინოლოგიური თვალსაზრისით,

ბევრი რამ მოსაწესრიგებელი (გასარკვევი) იყო. XIX საუკუნიდან მოყოლებული, ქართულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში გამოიყენებოდა ტერმინები: კილო, კილო-კავი, დიალექტი; პროვინციული მეტყველება, ხალხური, („გლეხურიც“ კი)... ვერ ვიტყვით, რომ ეს პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილია დღესაც...

დიალექტის რაობის, დიალექტის გამოყოფის პრინციპებისა, ენისა და დიალექტის გამიჯვნის შესახებ, ვფიქრობთ, სახელმძღვანელოდ უნდა მივიღოთ ვ. თოფურიას თვალსაზრისი: სინონიმურ ტერმინებს „შემოაქვს გაურკვეველობა. სინამდვილეში დიალექტი უპირისპირდება ენას, იგი ენის ყველა სახის განშტოების აღმნიშვნელია, დიალექტი ზოგადი და ფართო ცნებაა და მოიცავს ყველა მის დანაწევრებას – კილოს, კილოკავს, თქმასა და ქცევას (ნარეჩიე, პოდნარეჩიე, გოვორ, პოდგოვორ). ამდენად, ენაც შეიძლება იყოფოდეს დიალექტებად (მაგ. ქართული, რუსული და სხვ.) და თავის მხრივ კილოც იშლებოდეს დიალექტებად (მაგ. მეგრული კილო, ჭანური კილო და სხვ.). ჩვენც დიალექტს ფართო გაგებით ვხმარობთ კილოს, კილოკავის, თქმისა და ქცევის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად“ (იქვე, 162)... ფაქტობრივ, ზეპირმეტყველება, არალიტერატურული მეტყველება დიალექტურია, განურჩევლად მის „დიალექტური ნაირსახეობის“... ეს თვალსაზრისი იმდენად არის საგულისხმო, რამდენადაც დიალექტთა (კილოს, კილო-კავის, ქცევისა თუ თქმის) გამოყოფის პირობითობა დღესაც ბევრ პრობლემას ქმნის...

როცა ვარლამ თოფურიამ იტვირთა საქართველოში დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების თავკაცობა, მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა ამ კვლევა-ძიების მიზნები და ამოცანები; ძირითადი პრინციპები. ეს ყოველივე მის მეცნიერულ მომზადებასა და პირად გამოცდილებას ეფუძნებოდა. მან მოგვიანებით ხუთ ძირითად პუნქტად ჩამოაყალიბა ქართული დიალექტოლოგიის მთავარი პრინციპები/ამოცანები, რაც ფაქტობრივ სახელმძღვანელო პრინციპებად დღესაც:

1. ვ. თოფურიას მიაჩნდა, რომ უპირველესად დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს არა ფრაგმენტულად, არამედ მონოგრაფიული შესწავლის გზით; „მონოგრაფიული შესწავლა გულისხმობს არა მარტო დიალექტის ფონეტიკურ და გრამატიკულ

მოვლენათა აღწერას, არამედ მათ ისტორიულ ასპექტში გაშუქებასაც, ლექსიკის კვლევას, ტექსტების შეკრებასა და გაანალიზებას, დიალექტისთვის ადგილის მიჩენას სხვა კილოთა შორის, მის გამოყენებას მწერლობაში და ისტორიულ წყაროებში და, რაც მთავარია, განხილვას მის მატარებელთა ისტორიასთან კავშირში“ (თოფურია 1963).

ეს არის ინსტრუქცია, პროგრამა, გეგმა, თუ როგორ უნდა იქნეს შესწავლილი ცალკეული დიალექტი. ასე იკვლევდა თავად ვ. თოფურია ქართულსა თუ მთარაჭულს, აგრეთვე სვანური ენის დიალექტებს... ასე იკვლევდნენ ქართულ დიალექტებს მისივე ხელმძღვანელობით მისი მოწაფეები... ამის შედეგი არის ის, რომ ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი სადისერტაციო ნაშრომი, მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით გამოვიდა არაერთი მონოგრაფია თუ დიალექტური ლექსიკონი...

2. დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას ახლავს შინაგანი წინააღმდეგობანი; რადგან ცალკეულ დიალექტში თუ დიალექტთა ჯგუფში გავრცელებული „მეტყველების ნაირსახეობათა ამპლიტუდა შესაძლოა არსებითი ხასიათის სხვაობას გვიმოწმებდეს“ (ჯორბენაძე 1989, 61); სწორედ ამიტომაც გახდა აუცილებელი ლინგვისტური გეოგრაფიის ჩამოყალიბება XX საუკუნის დასაწყისში. საუბრობდნენ იმის თაობაზეც, რომ დიალექტური კვლევა-ძიება უნდა ჩაენაცვლებინა ლინგვისტურ გეოგრაფიას. ლოგიკურია და დამაჯერებელი ვ. თოფურიას მსჯელობა, რამაც ფაქტობრივ განსაზღვრა ჩვენში წარმატებით დაწყებული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება: „დიალექტთა მონოგრაფიული გამოკვლევები საფუძველს წარმოადგენენ ლინგვისტური გეოგრაფიისათვის. ქართული ენა იმდენ ხელშესახებ მასალას, ფონეტიკურს თუ გრამატიკულს, არ იძლევა, რომ კარტოგრაფია უპირველეს და უაღრეს მნიშვნელოვან ამოცანად დავსახოთ. დღემდე შეკრებილი და შემჩნეული ნიმუშების მიხედვით შეიძლება შედგეს რამდენიმე რუკა. სამაგიეროდ მდიდარია და მრავალფეროვანი ლექსიკა და კარტოგრაფიისათვის საკმაოდ სამკალი ჩანს. საჭიროა ამ მხრივ ძიება და მასალების გამორჩევა გაგრძელდეს და რამდენადაც შეიძლება ატლასი დამუშავდეს. ეს მეორე გადაუდებელი ამოცანაა“... (თოფურია 1963).

გარდა ამისა, ვ. თოფურია მთავარ ამოცანებდ მიიჩნევს დიალექტთა ფონეტიკისა და გრამატიკის შედარებით შესწავლას (3); ზოგადი ენამეცნიერების პრობლემების გარკვევას (სუბსტრატი, დიალექტთა გენეზისი, განვითარება...) (4); და დიალექტური ლექსიკონების შედგენას (5)...(თოფურია 1963).

ამ ხუთი მთავარი ამოცანის შესასრულებლად, ვ. თოფურიას აზრით, აუცილებელი იყო პროფესიონალ „დიალექტოლოგთა ძალების მობილიზაცია“ და „დიალექტოლოგიური მუშაობის კოორდინაცია საქართველოში“ (თოფურია 1963).

სწორედ ამ მიზნით 1960 წლის 20-21 ოქტომბერს ვ. თოფურიას ინიციატივითა და ორგანიზებით ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩატარდა „საკოორდინაციო თათბირი ქართველურ ენათა დიალექტოლოგიის საკითხების შესახებ“ (მომხსენებლები: ვ. თოფურია, ნ. ნათაძე, ქ. მოწინიძე, რ. ღამბაშიძე, პ. ხუბუტია). ამ თათბირზე წარმოადგინა მოხსენებად „ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები“ (რომელიც 1963 წელს დაიბეჭდა მისივე დაარსებულ გამოცემაში „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. III)... სამწუხაროდ, ვ. თოფურიას ხანგრძლივი ავადმყოფობისა და 1966 წელს მისი გარდაცვალების გამო ეს საჭირო წამოწყება შეწყდა. მოგვიანებით, 1980 წელს ქეთევან ლომთათიძის ინიციატივით ამ იდეას გაგრძელება მიეცა: სათავე დაედო რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიებს (1980 წლის 20-21 ოქტომბერსგაიმართა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში) და დიალექტოლოგთა ამ ფორუმს ეწოდა მეორე დიალექტოლოგიური სესია: პირველ სესიად იქნა მიჩნეული 1960 გამართული საკოორდინაციო თათბირი... 2021 წელს 41-ედ ვიკრიბებით; იმედია, ასევე წარმატებით გაგრძელდება... 2016 წელს გამოვეცით „დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების ბიბლიოგრაფია (I-XXXV)“ (ბიბლიოგრაფია 2016); ამ წიგნის გადათვალთვალებითაც შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი ვ. თოფურია და როგორ ღირსეულად განაგრძეს ეს საქმე მისმა მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა...

კიდევ ერთი სურვილი ვ. თოფურიასი: დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების წარმატებისათვის აუცილებელია „ორი პერიოდული გამოცემა – კრებული: ერთი – მასალების (ტექსტების, სალექსიკონო მასალების) და მეორე – გამოკვლევების გამოსაქვეყნებლად“ (თოფუ-

რია 1963). ენათმეცნიერების ინსტიტუტმა კლასიკოსის ეს იდეაც განახორციელა: დიალექტოლოგიური სესიის მასალები უკვე მოხსენებათა კრებულად იქცა (წინამდებარე კრებული რიგით მესამეა) და ორ წელიწადში ერთხელ ინსტიტუტი გამოსცემს დიალექტოლოგიურ კრებულს, რომელშიც ძირითადად იბეჭდება მასალები (ლექსიკა, ტექსტები, ბიბლიოგრაფიული ცნობები; თუმცა გამოკვლევებსაც ვბეჭდავთ ამ კრებულში)... ვფიქრობთ, ვ. თოფურიას ეს იდეაც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება...

როცა ვ. თოფურია საუბრობს მასალების გამოცემის აუცილებლობაზე, აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ქართული დიალექტოლოგია“ (ტ. I., 1961; ი. გიგინეიშვილისა და ი. ქავთარაძის თანაავტორობით) ლექსიკონითურთ. ესაა სანიმუშოდ გამოცემული ქრესტომათია სანდოობის უმაღლესი ხარისხით... ფაქტობრივ ეს ქრესტომათია არის დღემდე დამხმარე სახელმძღვანელო „ქართული დიალექტოლოგიის“ საუნივერსიტეტო კურსისათვის... და ასევე ჩვენს მოკლე მოხსენებაში გვინდა გავიხსენოთ ვ. თოფურიას ერთ-ერთი გვიანდელ პუბლიკაცია – „მთარაჭულის დახასიათებისათვის“ (თოფურია 1961). ნაშრომის პირველივე წინადადებაში ავტორი გვაფრთხილებს: „სტატია უფრო წინასწარი ცნობაა, ვიდრე მიმოხილვა-გამოკვლევა“, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ესაა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვიკვლიოთ დიალექტი; ფაქტობრივ, ესაა თეზისები მონოგრაფიული კვლევისა... ამ გამოკვლევას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ რაჭული დიალექტი (კერძოდ, მთარაჭული კილოკავი) ფაქტობრივ ამ გამოკვლევით შემოდის ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში...

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ვ. თოფურიას კიდევ ერთ მნიშვნელოვან თვალსაზრისზე: მოგეხსენებათ, დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების გარიჟრაჟზე ერთსა და იმავე პირს უხდებოდა რამდენიმე დიალექტზე მუშაობა: მაგალითად, ვ. თოფურია იკვლევდა ქართლურს, რაჭულს, სვანურს (და ლაკურ ენასაც); არნ. ჩიქობავა იკვლევდა გარეკახურს, ქიზიყურს, მთიულურს, ფერეიდნულს (და ხუნძურ ენასაც)... და სხვა... იმ ეტაპზე ეს სხვაგვარად ვერ მოხერხდებოდა; თუმცა 1963 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ვ. თოფურია თვლის, რომ ქართულმა ენათმეცნიერებამ ეს ეტაპი გაიარა; რომ „საჭიროა დიალექტის შესწავლაში განსაკუთრებით კი დიალექტური

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობას იღებდეს კილოს მატარებელი ენათმეცნიერი; გარდა ამისა, ამა თუ იმ კილოს მკვლევარი კარგად უნდა იცნობდეს მეზობელ დიალექტებს და ენებს. ინგილოურის თავისებურებათა მართებული კვალიფიკაცია შეუძლებელია, თუ ვერ ვერკვევით აზერბაიჯანული და ხუნძური ენების სტრუქტურასა და ლექსიკაში; ასევე, ბაცბური ენის მონაცემთა გაუთვალისწინებლად ვერ ავხსნით თუშურის მკვეთრ თავისებურებებს“ (თოფურია 1963)....

ქართული ენის დიალექტების კვლევის მომავლისათვის ეს შეგონებაც უმნიშვნელოვანესია. სწორედ ამას ითვალისწინებდა ბ. ჯორბენამე, როცა გასული საუკუნის 80-იან წლებში დიალექტოლოგიურ მუშაობას გეგმავდა ინსტიტუტში (ჯერ როგორც ქართველურ ენათა განყოფილების გამგე და შემდეგ როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი); ამ ნიშნით განაწილდა სადისერტაციო თემები; იკვლევდნენ: მესხურს (მ. ბერიძე), მთიულურს (მ. კობაიძე), ლეჩხუმურს (ვ. კაკიტაძე), რაჭულს (რ. ლანდია), ინგილოურს (ვ. კუზიბაბაშვილი), მოხეურს (მ. კობიაშვილი), აჭარულს (ნ. სურმავა)... სწორედ ეს გავითვალისწინეთ, როცა „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ მე-2 ტომისათვის დიალექტთა პარადიგმების დანართს ვამზადებდით (გოგოლაშვილი 2016)...

ამ მოკლე მოხსენებაში ვერ ვისაუბრებთ ვ. თოფურიას დიალექტოლოგიური კვლევის შედეგებზე; შევეცადეთ უფრო წარმოგეჩინა, როგორც დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების ორგანიზატორი... აქედანაც კარგად ჩანს, რომ „ვარლამ თოფურია და ქართული დიალექტოლოგია“ მონოგრაფიული შრომის თემაა...

გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლიოგრაფია 2016 – დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების ბიბლიოგრაფია (I-XXXV), თბ., 2016;

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961;

გოგოლაშვილი 2016 – გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ. 2016)

თოფურია 1961 – ვ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961;

თოფურია 1963 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963;

კიზირია, ქალდანი, 1968 – ა. კიზირია, მ. ქალდანი, ვარლამ თოფურია (ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა), თბ., 1968;

წელიწდეული 1923-1924 – საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924 თბილისი;

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1989.

ეკა და დიანი

ზოგი ფონეტიკური ცვლილებისათვის ტაოურ დიალექტში

ქართული ენის ტაოური დიალექტი მრავალფეროვანი ფონეტიკური პროცესებით ხასიათდება. თურქული ენის ძლიერი გავლენის მიუხედავად, ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციები უმთავრესად საერთოქართულია.

ტაოურში საკმაოდ ხშირია **ა-ვ-ა > უ-ა** ცვლილება, რომელიც ძირითადად ვითარდება ზმნურ ფორმებში, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს შემდეგი კომბინაცია: **ა** ხმოვნის შემცველი ზმნისწინი¹ + პირველი პირის **ვ-** პრეფიქსი + **ა-** ხმოვანპრეფიქსი. საილუსტრაციო ნიმუშები ცალკეული ზმნისწინების მიხედვით:²

¹ შდრ.: **ა-** ზმნისწინიან ფორმებში ფონეტიკური ცვლილება არ დასტურდება: მე **ავაყუდებ** სარეფთა; კედე **ავადუღეფთ**; საჭმელათ **ავარჩეფთ...** (ექსპედ. მასალა)

² ნიმუშები მოგვყავს ჩვენ მიერ ტაოში 2009-2019 წლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული დიალექტოლოგიური ექსპედიციის პერიოდში ჩაწერილი მასალიდან.

ა) და-ვ-ა > დუ-ა: დიდი ცულით შეშა **დუაპოფთ** (=დავაპობთ); ზედან ცხელ წყალ **დუასხამთ** (დავასხამთ); მეიხარშვის საჭმელი, **დუარიგეფთ** (დავარიგებთ); შეშა აქო მოვჭრავთ, **დუაგორეფთ** (დავაგორებთ); ართუხ ჭრელ **დუაწკარებ** (დავაწკარებ „დავაწყობ“); თოკით **დუაბი** (დავაბი) ჭალაში; ერთი ადგილ სახელი **დუათქვამთ** (დავათქვამთ „დავარქმევთ“); ცეცხლ **დუანთებდით** (დავანთებდით); **დუახოვთ** (დავახვევთ) თივასა; ისე **დუაბრუნეფთ** (დავაბრუნებთ); დერმანი გუშინ ჩაველ, **დუაწერინე** (დავაწერინე); ანა-ნა **დუანახვინო** (დავანახვინო „დავანახო“).

ბ) გადა-ვა > გუ-დუ-ა: ერთანე მოვკალით, **გუდუაგდეთ** (გადავაგდეთ) ქომოთკე; იმა ზანდ **გუდუაკრავთ** (გადავაკრავთ).

გ) გა-ვ-ა > გუ-ა: ლავაშ **გუაპტყელეფთ** (გავაპტყელეფებთ); ზედან ერბო **გუადნოფთ** (გავადნობთ); ართუხ ბექმეზ **გუაზაებ** (გავაზაებ); კოფო **გუაცხელეფ** (გავაცხელეფ); იმა **გუარჩეფდით** (გავარჩეფდით); არ მომცემს, **გუაქცევ** (გავაქცევ), **გუაქცევ** თაბი, რატო არ-ნა **გუაქციო?** ზგანებ, გოგოები **გუათხოვე** (გავათხოვე); **გუათეთრეფთ** (გავათეთრებთ) ამას; გოფში **გუასუქეფთ** (გავასუქეფებთ); იმ ბუქ **გუანიავეფთ** (გავანიავეფებთ); კიბილები მაქლა. **გუ-აკეთე** (გავაკეთე) და; ერთი ხიძირეღამ დავდგე, კილო **გუათენო** (გავათენო); ბიჭ უთქვია ქი, მე ეთი ამაზღამ ე **დუაბერო** (დავაბერო), **გუახარო** (გავახარო); ერთი კიდე ფეხი **გუადგი** (=გავადგი) ქი, რა გაადგამ; ერთანე უნივერსთე **გუათაებინე** (გავათაებინე)...

დ) ჩა-ვ-ა > ჩუ-ა: შიგან ი მოშლილ **ჩუაყრით** (ჩავაყრით); ზედანსაც ლაზუდი ფქვილ **ჩუაყრით** (ჩავაყრით); კინი მუხ **ჩუასოფთ** (ჩავასობთ); სამ-სამი თანე **ჩუაწყოფთ** (ჩავაწყობთ); შიგან **ჩუასხამთ** (ჩავასხამთ) ერბოსა; იმ ცომებ შიგან **ჩუასხმიდით** (ჩავასხამდით); ერთ ქოქ ქი **ჩუაგდებდით** (ჩავაგდებდით), ხუთი დეყე ქლა ახრაკუნებდა შიგან...

ე) წა-ვ-ა > წუ-ა: შარშან ფეხით **წუასხით** (წავასხით); ემევიქამთ, **წუაქცევთ** (წავაქცევთ)...

მსგავსი ფორმები განხილულია ახლახან გამოცემულ ერთობლივ კვლევაში „ტაო“. დაფიქსირებულია ისეთი ფორმები, სადაც ვ-პრეფიქსი დაცულია. მაგ.:

ამასაც **დუვასობთ** მიწაში (ფაღავა... 2020: 1159); ამასაც ასე **დუვახოვთ**, თირფან (1091); იმა ტოლმა **გუვაკეთებთ** (1080); ამასა დავსცემთ, **გუვაპობთ** (1091); ერბო ტაფაში **ჩუვაგდებ**, მოშლილ

ყველს **ჩუვაგდებთ** შიგა (1080); ზამთარში ქომო, ბალხიბარ **ჩუვალთ** (1083); მერე სიმინდის ფქული **ჩუვაყარო** (1093)...

გარკვეულ შემთხვევებში პროცესი შორს არის წასული: **ღუა > დღა**:

მოვა, მოვა ურვანაჲ, **დღაყენო**, არ **დღაყენო**, შდრ. დავაყენო; ნაცარი **დღაყარო** მეჭეჭი თავზე, შდრ. დავაყარო; იმა ფურუნში შუაგდებთ, პუტურა წყალი **დღასახამთ**, შდრ. დავასახამთ; ახშამ **დღალბოფ**, შდრ. დავალბოფ... (იქვე: 685).

აღნიშნულია, რომ **ჩუვაყარო**, **დღაყარო** რიგის ფორმები მხოლოდ ტაოურში დასტურდება (იქვე: 685, 707).

შდრ. დასახელებული ზმნები მონოგრაფიაში შეტანილ ტაოურ ტექსტებში -**ღუა** ვარიანტიტაა წარმოდგენილი: მოვა, მოვა ურვანაჲ, **ღუაყენო**, არ **ღუაყენო**? (914); ნაცარი **ღუაყარო** მეჭეჭი თავზე (იქვე); პუტურო წყალ **ღუასახამთ** (1018); ახშამ **ღუალბოფ** (1022).

სხვა ნიმუშები: აკვან **ღუარწებდით** (1053); მე ორი ბიჭი მყავს, დიდი **ღუაქორწილე** (1081); დუქანი **ღუანგრიე** (1089)...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტაოურში მსგავსი ცვლილება ვითარდება მაშინაც, როცა ა ხმოვნისა და ხმოვნის წინ ვა-თი დაწყებულ ფუძეს დაერთვის. მაგ.:

ბუქ მივცემთ, დენი **ჩუარდება** (ჩავარდება); იმ ხევში **ჩუარდა** (ჩავარდა); იმან ჩუმი არ გამომცა, ი **გუდუარდა** (გადავარდა); ბგანო ისე დაბეჩებულა, დეფნიდან **გუდუანილა** (გადავარდნილა) (ექსპედ. მასალა).

ზოგადად, ტაოურ დიალექტში სახეცვლილ ვარიანტებთან ერთად უცვლელი ფორმებიც გვხვდება:

ველარ **ჩავაწევ** ჩემს სოფელშიც (შ. ფუტკარაძე, 1993: 176); **ჩავაფლოთო** მოკდარი (177); ზედან მარქვალ **დავაყრით** (ფაღავა... 2020: 1018); ჩემ დიდი ბიჭი კი **დავაქორწილეთ** (1085); ქორწილი ჩვენ **გავაკეთავთ** (993); რუსები ჩვენ, თურქებმა **გავაქციეთ** (992); ზაფხულში აილაზე **წავასხამდი** [ძროხას] (1045); **გავაგდე**, აღარ ვიკითხე; სანდული **გავაკეთე** ასე (ექსპედ. მასალა).

ა-ვ-ა > უ-ა პროცესი, გარდა ტაოურისა, შენიშნულია ინგილოურში. მაგ.:

ჩუაგდით (ჩავაგდეთ), **გუაქეთებ** (გავაკეთებ), **გუაპირით** (გავაპირეთ), **წუალდით** (იმნაიშვილი, 1966: 57).

ტაოური და ინგილოური ნიმუშების გვერდით შეიძლება განვიხილოთ **მეგრულის** მონაცემებიც. მაგ.:

ირფელს **ღუასუფთენთ** „ყველაფერს დავასუფთავებთ“ (დადიანი 2015: 387); **ღუამზადენტ** პროდუქტის „დავამზადებთ პროდუქტს“ (291); თავი **გუათე** ჟენჩდოვითომქვით წანა „აქ გავათავე ორმოცდათექვსმეტი წელი“ (42); ათეთ **ღუამთავრენთ** „ამით დავამთავრებთ“ (292); ასე კამპანიას **გუაკეთენთ** ჩქი „ახლა ქორწილს გავაკეთებთ ჩვენ“ (261); **გუაცილენთ** ოხმამემა „გავაცილებთ სასაფლაომდე“ (292); ონჯუაშა **გუაჩემენქი** „სადამომდე გავაჩერებ“ (383)...

მუჰო მოკო-მაქ ჩხუპიქ ქიდიჭყას, ნამდა **ღუამტკიცე**... „როგორ მიწა-მეთქი ჩხუბი (=ომი) დაიწყოს, რომ დავამტკიცო“... (ლომია... 2012: 158); თენა **ღუამტკიცკონ**... „ეს რომ დამემტკიცებინა“... (იქვე).

მეგრულ ტექსტებშიც დასტურდება ისეთი ვარიანტები, სადაც **ვ-** პრეფიქსი სახეზეა:

ესხი მუ **გუვაგრძელა** (ყიფშიძე 1914: 83) „ამდენი რა გავაგრძელო“; ესხი მუ **გუვაგინძორა** (103) „ამდენი რა გავაგრძელო“; ჩქიმი ძღაბეფი ოკო ართი დღასგ **გუვათხუე** „ჩემი ქალიშვილები ერთ დღეს უნდა გავათხოვო“ (91);

ნდი **ღუვადორათია** (ხუბუა 1937: 4) „დევი მოვატყუეთო“; ეშმაკენც ვა **ღუვანებენქია** (ვადავანებენქია) ფაშატის (179) „ეშმაკებს არ დავანებებო ფაშატს“; მუ **ღუვაშე** (დავაშე) ფერია (361) „რა დავაშავე ასეთიო“; ხოლოთ სადილი **გუვაკეთათ** (გავაკეთათ) (221) „მხოლოდ სადილი გავაკეთოთ“; მუა-ჩქიმიშ ქონება **გუვათეა** (გავათევა) (204) „მამაჩემის ქონება გავათავეო“; **გუვათელენქია** (გავათელენქია) კინი (193) „გავამთელეზო კვლავ“.

გუვაგრძელი შარა „გავაგრძელე გზა“ (ლომია... 2012: 182); მარა მუთუნს **ღუვამარგინექო?!** „მაგრამ რამე დამაკავებს?!“ (184); **გვვაგრძელი** შარა „გავაგრძელე გზა“ (იქვე).

შდრ. ფონეტიკურად უცვლელი ფორმები (აღრე გამოქვეყნებულ ტექსტებში შედარებით ხშირია):

შხვასი აწი **გავაკეთე** (ყიფშიძე 1914: 16) „სხვას აწი გავაკეთებ“; ჩქიმი არიკი **გავათეე** (62) „ჩემი არაკი დავამთავრე (გავათავე)“; ექიმც დუდი **დავანებე** (3) „ექიმს თავი დავანებო“... სადილს ხვალე **გავაკეთენთია** (ხუბუა 1937: 192) „სადილს მარტო გავაკეთებთო“; მუ

გავაგრძელა (222) „რა გავაგრძელო“; მა ეს **გავათელენქია** (124) „მე ამას გავამთელელო“... ჯღემ სიმინდ **გავათეთ** (დადიანი 2015: 177) „ძველი სიმინდი გავათავეთ“; მა **გავაფთხილ** ასე ბოშეფ (226) „მე გავაფრთხილე ახლა ბიჭები“.

როგორ შეიძლება აიხსნას ა-ვ-ა -> უ-ა ტრანსფორმაცია ტაოურში, ინგილოურსა და მეგრულში?

გრ. იმნიშვილი ინგილოურში (კაკურში) **ჩუაგდით, გუაქეთებ...** ფორმათა ანალიზისას აღნიშნავს, რომ S₁ პირის ვ- პრეფიქსი იმსგავსებს პრევერბისეულ ხმოვანს, შემდეგ კი იკარგება (იმნაიშვილი 1966: 56-57).

ბ. ჯორბენაძის აზრით, ინგილოურში ვ- პრეფიქსის გავლენით ხდება ხმოვნის ლაბიალიზაცია, მისი დაკარგვის შემდეგ კი დისიმილაციის პროცესი ვითარდება: **დავაგდე** → ***დოაგდი** → **დუაგდი** (ჯორბენაძე 1998: 155). იგულისხმება: ა-ვ-ა > ო-ვ-ა > ო-ა > უ-ა.

ტაოურში **ჩუვაყარო** ტიპის ფორმები დისიმილაციით აიხსნება (ფაღავა... 2020: 707). შდრ. **დმაყენო...** რიგის ფორმები ავ > მ ბერათკომპლექსის გარდაქმნის შედეგია (იქვე: 685).

ვფიქრობთ, განხილულ მორფონოლოგიურ ცვლილებას ტაოურში, ინგილოურსა და მეგრულში საერთო საფუძველი აქვს და ქართველურ ქვესისტემებში მიმდინარე საერთო ფონეტიკურ კანონზომიერებას გვიჩვენებს.

ტაოური **გუვაკეთებ** და მეგრული **გუვაკეთათ** რიგის ფორმათა საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი ფონეტიკური პროცესი: ა-ვ-ა > ო-ვ-ა > უ-ვ-ა > უ-ა. ტაოურში უ-ა > მ-ა, რაც შედარებით იშვიათია.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

დადიანი 2015 – დადიანი ე., მეგრული ტექსტები, ქუთაისი, 2015.

იმნაიშვილი 1966 – იმნაიშვილი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.

ლომია... 2012 – ლომია მ., გერსამია რ., მეგრული ტექსტები, ნაწილი 2, თბილისი, 2012.

ფაღავა... 2020 – ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., ხალვაში მ., ჩხვიმიანი ჯ., კარალიძე ჯ., ტაო (მონოგრაფია), ბათუმი, 2020.

ფუტკარაძე 1993 – ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993.

ყიფშიძე 1914 – Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914: თხზულებანი, თბილისი, 1994.

ხუბუა 1937 – ხუბუა მ., მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

ჯორბენაძე 1998 – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II. თბილისი, 1998.

ექსპედ. მასალა – სტატიის ავტორის მიერ 2008-2019 წლებში ტაოს სოფლებში ჩაწერილი დიალექტური მასალა. ინახება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

მ ა ი ა კ ი კ ვ ა ძ ე

ზღვასნობა-ნაოსნობასთან დაკავშირებული ლექსიკა „საქართველოს საზღვაო განათლების ილუსტრირებული მატიანეს მიხედვით“

2021 წლის ივნისში, მეზღვაურის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით საზღვაო დარგის წარმომადგენლები, გაეცნენ ერთ მეტად მნიშვნელოვან სიახლეს – **„საქართველოს საზღვაო განათლების ილუსტრირებულ მატიანეს“** – ნაწილი პირველი (შემდგენელი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორი ზურაბ ბეჟანოვი). მათიანე დაინტერესებულ მკითხველს აცნობს საქართველოში საზღვაო განათლებისა და წვრთნის საგანმანათლებლო ტრადიციის დამკვიდრებისა და განვითარების 70 წლიან პერიოდს (1876-1946 წწ.) ორ საზღვაო ქალაქში – ფოთსა და ბათუმში.

როგორც ილუსტრირებული მატრიანეს წინასიტყვაობაშია აღ-
ნიშნული, „გამოცემის მიზანს წარმოადგენს განხორციელებული
კვლევის პირველი ეტაპის შედეგების წარდგენით, მეცხრამეტე საუ-
კუნის ბოლოს საქართველოში საზღვაო განათლების დამკვიდრების
და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მისი განვითარების, საფეხუ-
რების და სახეობების აქამდე ნაკლებად ცნობილი ხელშეწყობი მო-
ვლენების, პირობებისა და პირების გამოვლენა. შესაბამისად, კვლევა
ეყრდნობა რუსეთის იმპერიის, საქართველოს დემოკრატიული რეს-
პუბლიკის, საქართველოს სსრ-ის და საბჭოთა კავშირის დადგენი-
ლებების, განკარგულებების, ბრძანებების, პერიოდული გამოცემე-
ბისა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოტოარქივის
შესწავლას და ანალიზს“ (ზ. ბეჟანოვი 2021, 3-4).


ცნობილია, საქართველო საზღვაო ქვეყანაა და შესაბამისად,
საზღვაო-სანაოსნო საქმიანობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. „ზღვის,
ტბისა და დიდი მდინარის ათვისება სამეურნეოდ თუ სანაოსნოდ
მხოლოდ ნავით იყო შესაძლებელი. ამიტომ, ნაოსნობა მეტად შორე-
ულ ხანაში, კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე ჩაისახა და მასთან
ერთად ვითარდებოდა“ (ზ. კუტალიეშვილი 1987, 3).

„საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოში ნავმშენებ-
ლობისა და ნაოსნობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფი-
აჲ“. ასე რომ, საქართველოში ძველთაგანვე ჩამოყალიბდა ხის მუშა-
კობის საგანგებო დარგი – ნავმშენებლობა, რაშიც განსაკუთრებით
დაწინაურდნენ ლაზ-მეგრელები და აჭარლები“ (ზ. კუტალიეშვილი
1987, 17).

ცნობილია, რომ ჭოროხისპირა მოსახლეობა, ქვემო და ზემო
მარადიდი, მისდევდა მენავეობას. მარადიდელები ნავის აგების ოს-
ტატები იყვნენ, ბორჩხელები და კირნათლები კი აჭარაში განთქმულ
მენავეებად ითვლებოდნენ. ნავის უსაფრთხოდ ტარების თვითნას-
წავლი პრაქტიკული გამოცდილება აქაურებს ოჯახური ტრადიციე-
ბიდან მოსდგამდათ და ასე გადაეცემოდა თაობიდან თაობებს. შე-
მდგომ აუცილებელი გახდა, სერიოზულად ეფიქრათ საქართველო-
ში საზღვაო განათლების დამკვიდრებასა და განვითარებაზე. სწო-
რედ ამ მიზანს ემსახურება „**საქართველოს საზღვაო განათლების
ილუსტრირებული მატრიანე**“ (ნაწილი პირველი), რომელიც, სხვა ღი-
რებულებებთან ერთად, საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით.

საქართველოში საზღვაო განათლების დამკვიდრებისა და განვითარების შესახებ ინფორმაციები და სიახლეები იბეჭდებოდა „დროებაში“, „სამუსლიმანო საქართველოში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“ და სხვ.

1880 წლის ნოემბერში ფოთში გაიხსნა **მენავეობის კლასი**.



ამის შესახებ იუწყება თეოფანე ლეხნიცკი გაზეთ „დროების“ 1880 წლის 10 ოქტომბრის ნომერში:

მენავეობის კლასის მოსწავლეები **შაგირდების** სახელითაა მოხსენიებული: „სწავლა გაგრძელდება ზამთრის ოთხს თვეს და დანარჩენ დროს **შაგირდები** ვალდებულნი იქნებიან აფრის და ორთქლის გემებზე შეეჩვიონ ნავოსნობას“ (ზ. ბეჟანოვი 2021, 5).

მოგვიანებით საქართველოს ხელისუფლების, სამინისტროების მხარდაჭერით ფოთში იხსნება საზღვაოსნო კლასები. საინტერესოა, რომ ილუსტრირებული მატეიანეს დოკუმენტებში ტერმინები განსხვავებულია: ხან **საზღვაოსნო კლასებია** დასახელებული, ხან **ზღვაოსანთა სასწავლებლები**.



საზღვაო დარგის ლექსიკის დიდი ნაწილი ნასესხებ სიტყვებზე მოდის, რომლებშიც ჭარბობს ევროპული ენებიდან მომდინარე ტერმინები. ილუსტრირებულ მატრიანეში უცხოური ტერმინების გვერდით ქართული საზღვაო ლექსიკაც დასტურდება, განსხვავებული სტრუქტურული ტიპებით. გვხვდება:

1. ერთსიტყვიანი მარტივი და დერივაციული ტერმინები:

ახლადგახსნილი ფოთის მენავეობის კლასის მიზანი იმთავითვე იყონავტურების და მესაჭეთა მომზადება. მატრიანეს მიხედვით, **ნავტურები** იგივეა, რაც **шкиперь**, ხოლო **მესაჭე – штурмань**. იხ. იქვე **მესაჭისა (შტურმანისა)**; შდრ. **ნავტური** ნავის მოხელე ძველ საქართველოში (კუტალიეშვილი) (საბასთან „კატარღის მნე“); შდრ. **Шкиперь – შკიპერი; მესაჭე – рулевой** (ბარათაშვილი). შდრ. **მესაჭე-ნავის მავლინებელთა შორის ყველაზე მთავარი ფიგურა, იგივე მენავეთმოდღარი (კუტალიეშვილი); შტურმანი – შდრ. Штурман შტურმანი** (ბარათაშვილი). შდრ. **მესაჭე, საჭეთმპყრობელი, საჭეთმხერვალი, მენიჩბე-გემის, ნავის წამყვანი** (ზ. სარჯველაძე 2001, 192);

მენავეობა – შდრ. მენავეობა იხ. **მენავე**, ნავის უბრალო წევრი, ზოგჯერ ნავის თავიც, კაპიტანი, მენავეთმოდღარი (კუტალიეშვილი);

ნავოსნობა – შდრ. **ნავიგაცია (კუტალიეშვილი); შდრ. ნავიგაცია судоходство / парходство** (ბარათაშვილი).

2. კომპოზიტები:

რთული სიტყვების მოდელეებიდან მატრიანეში ყურადღებას იპყრობს შემდეგი ტიპის კომპოზიტები:

ნავთ-სადღური: „სავაჭრო ნავთ-სადღურის მმართველობასთან იხსნება საზღვაოსნო კლასები; **ორთქლ-მავალი:** „**ორთქლ-მავალ** იალქნიან გემზედ“;

3. ორ და სამსიტყვიან შესიტყვებებს, ტერმინოლოგიურ გამოთქმებს ქმნის ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელი საზღვრულთან:

საზღვაოსნო სკოლა; საზღვაოსნო კლასები; სანაღმე უბე. შდრ. „უბე ნავთა“ (X საუკუნის ხელნაწერში, შატბერდის კრებულშია მოხსენიებული), შდრ. უბე ზღვისა (ზ. სარჯველაძე 2001, 208).

გემის უფროსი (კაპიტანი);

აფრის გემი; ორთქლის გემი;

მენავეობის კლასი / ნაოსნობის კლასი;

მცირე მანძილის კაპიტანი;

ორთქლმავალი სავაჭრო გემი; იალქნიანი სავაჭრო გემი.

სამსიტყვიანი ტერმინების ნაწილი ადამიანის საკუთარი სახელებით შედგენილი სტრუქტურული ერთეულებია. ასეთებია: **მიხეილის საზღვაოსნო კლასი**.

საინტერესოა საზღვაო ტრანსპორტის, გემებისა და „მატორების“ (სტილი დაცულია) **სახელწოდებები**, რომელთაგან ზოგი ქალაქების, ზოგი ცნობილი საკუთარი სახელების მიხედვითაა შერქმეული, ზოგიც ჩვეულებრივი, მეტნაკლებად მოტივირებული ტერმინებია. საქართველოს კონსულის ჩინიჯიშვილის ცნობით ფოთიდან ბათუმში შესულ პირველ ქართულ გემს „ტფილისი“ რქმევია.





დასახელებულია ასევე: გემი „**ბათომი**“, „**პატარა კახი**“ – გამანადგურებელი, გამანადგურებელი „**ფრიდონი**“, **შეიარაღებული კატარღა – „პატარა კახი“**, გემი „**სინათლე**“, „**ობოლი**“ – დიდი მოტორიანი ნავი.

„სამუსლიმანო საქართველოს“ 1921 წლის პირველი იანვრის ნომრით საზოგადოება იგებს ინფორმაციას გააქტიურებული საზღვაო მოძრაობის შესახებ და აქვე დასახელებულია რამდენიმე გემი და „მატორი“: „მოვიდნენ: გემი „**იუნო**“ კონსტანტინეპოლიდან; მატორი „**ანაიდა**: ფოთიდან; მატორი „**წმინდა ნიკოლოზი**“ პულევიდან; მატორი „**გულჯემალი**“ ტრაპიზონიდან; მატორი „**ქუთაისი**“ ფოთიდან; ორთქლმავალი „**ბათომი**“ (ბათუმის ნავსადგურისა) ფოთიდან“ (ზ. ბეჟანოვი 2021, 13).

ფოთის საზღვაოსნო სასწავლებლის სასწავლო გემს „თეთრი გიორგი“ რქმევია.

1919 წლის 3 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციით ზღვაში ჩასაშვებად გაამზადეს ქართული სამხედრო გემი „ტარიელი“. ზ. კუტალიეშვილის გამოკვლევაში – „ნაოსნობა საქართველოში“ შესულია – ტარიელი, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი.



ფლოტილის ზღვაოსანთა შემადგენლობის თანამდებობათა სახელწოდებები:

უფროსი – ზღვის ობ. ოფიცერი; ფლოტილის უფროსი (უფროსი ლეიტენანტი);

ფლაგ ოფიცერი (მიჩმანი); ბოცმანი;

უფროსი მემოტორე/უმცროსი მემოტორე; მოტორისტი – მემანქანე;

გადამწერი; მორბედი; მესანქანა გუნდი.

საანალიზო წყაროებში დასტურდება ბარბარიზმები: ეგზამენი: „ამ ცენზით გამოსაცდელს კომისიაში ეგზამენს გარდაიხდიან“;

ტამოყნა: „მოელაპარაკოს ტამოყნას, რომ სახლი ქალაქმა სკოლისთვის შეიძინოს“.

შუა საუკუნეებამდე საზღვაო ლექსიკაში ჭარბობდა ქართული ტერმინები. XVIII საუკუნიდან იგი განდევნა უცხოურმა და მისი ადგილი დაიჭირა. „საქართველოს საზღვაო განათლების ილუსტრირებული მატეიანე“ მასალების მიხედვით ზღვაოსნობა-ნაოსნობის ლექსიკა შერეულია. ქართული ტერმინების გვერდით დასტურდება ნასესხები ლექსიკაც.

გამოყენებული ლიტერატურა

Бараташвили 1985 – В.В. Бараташвили, Морская Терминология русско-грузинская и грузинско-русская, Издательство „Ганатлеба“, Тбилиси. 1985.

ბეჟანოვი 2021 – ზ. ბეჟანოვი, „საქართველოს საზღვაო განათლების ილუსტრირებული მატეიანე“, ნაწილი პირველი, ბათუმი, 2021.

კუტალიეშვილი 1987 – ზ. კუტალიეშვილი, „ნაოსნობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987.

სარჯველამე 2001 – ზ. სარჯველამე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001.

ლ ე ვ ა ნ კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

რ ს ო ნ ო რ ის რ ე დ უ ქ ც ი ის რ ა მ დ ე ნ ი მ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ქ ი ზ ი ყ უ რ შ ი

ქიზიყური ქართულ კილო-თქმათა იმ წყებას განეკუთვნება, რომელიც ფონოლოგიური ინვენტარით სამწერლობო ენისაგან განსხვავდება: აქ ფონემად გვევლინება ზოგიერთი ის ბგერა, რომლის დეფონოლოგიზებაც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ნაწილია.

ერთ-ერთი ამ ძველ ფონემათაგანია **ღ**, რომელიც რეალიზების მაღალი სიხშირით გამოირჩევა. ამას, ნაწილობრივ, ხელს უწყობს მისი ერთ-ერთი მორფოლოგიური ფუნქცია: ცნობილია, რომ იგი ქიზიყურში S_2 და O_3 პირთა გამომხატველი ზმნური თავსართია¹. განვიხილოთ სათანადო მაგალითები²:

ა) S_2 -ის ფორმები:

1. ნათელ, მოადა შენ ძალღ დაჟივლე, არ მეცეღ. 2. რა კოხტათ *აყლაპამ-კე*. 3. იწგე რო *ღღნაღღი*, ფული აღარააო, პენსიი დღეა დღეღ. 4. ემაგრე არ *ღაღრჩე*, სატკივარო! 5. მა ორსაათიან ვერ *ღამაღ-ყეცი*, ეგრე ღამეულა რო არ გეველო? 6. ჰად დედასა! ზროჯად *ღვეღლაღ* თუ სახლ აშენებ, რით ვეღარ *ღაღრჩი*? 7. ნეტა ემაღ ქოშებ ტყუილა არ *ღცვეთაღღღ*, რითვინღა *ღაღღიღარ* სკოლაში, აჯამო?! 8. ვიშქა, რატო-ემაგრე *ღაღზრღიღღარ*, შვილო!

ბ) O_3 -ის ფორმები:

1. ძაღღმა იგეთი *ღაღკმინა*, კანჩალა ამაღცალა. 2. თავი ანაგელ მარკად მესიჯებსა *ღწერაღს* და ღამეებ იმითვინ ათენებს. 3. მიშკო ძაღღან ყოჩაღი გამოიღა; ეგე ღორ ყელ *ღამაღჭრის* და *ღამაღკიღამს*, როგორც პური. 4. იგრე მეშინია, აბუეტი ქეთო აქ არ მოიღეღ და ბაღღ კორონა არ *ღაღაღღღ*, ქვეყნიერებაღ უვღის ეგ კიღენა. 5. ქეთო ძაღღოღ ერთი შავი კატა *ღყვანღა*. 6. მაწონ თავ რო *ღბღის*, იგრე უნა აგღებღეღ? 7. ჩემი ნათქვამი თავი სიღედღრ *ღაღაღცა*.

ქიზიყურის ზოგიერთ თქმაში რამდენჯერმე შევნიშნეთ ზმნის ამგვარ ფორმათა ფონეტიკური გარდასახვა: ვგულისხმობ რ სონორით დაწყებულ ძირ-ფუძეებს, რომელთაც უშუალოდ ემეზობლება **ღ**- თავსართი და მოსაზღვრე მორფემები ფონეტიკურად ურთიერთშეუთავსებელი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ **ღ** ბგერის ფონეტიკური სიღბოს ხარისხი საკმაოდ მაღალია, რის გამოც მისი ბგერადობა მკაფიოდ გამოირჩევა სიტყვაში³. ბგერათშეერთებისას მისი სიღბოს ეფექტი მარცვალზე ვრცელდება.

¹ იხ. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II (რედ. გ. გოგოლაშვილი), 2016, 482-506.

² მეტყველების ნიმუშები შეკრებილია ჩემ მიერ 2007-14 და 2020-21 წწ. ქიზიყში ჩატარებული ექსპედიციების დროს.

³ შდრ. გ. ახვლედიანი 1949, 64-65.

ზოგიერთ თქმაში შეინიშნება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **რ** სონორით დაწყებულ ზმნურ ძირს **ა-** თავსართი უშუალოდ ემეზობლება და ამ უკანასკნელის სილბო ასუსტებს მის ვიზრაციას, რის გამოც ქრება სიტყვიდან. მოვიშველიოთ სათანადო ნიმუშები ბოღბური თქმიდან:

1. **დააჩი** (< დაარჩი): ლალივ, დეიდაათან რო იყავ, ვერ დააჩი-კე?

2. **დააბიხარ** (< დაარბიხარ): ბასაანთ ბაღლო, რატოიმაგრე დააბიხარ, დეეცემი-მჯო.

3. **მააჩები** (< მაარჩები): საქმედ რო მააჩები, მოიდა პური ვჭამოთ.

4. **გადაათო** (< გამაართო): ბაღლ უთხარ-კე და არკი გადაათო, ერთი უყურე-ო!

5. **მააწყე** (< მაარწყე): მააწყე დილაჲ ჩითილები?

6. **წააჭმოდა** (< წაარჭმოდა): თოხლ მანა იგრე წააჭმოდა, სისხლი ადოდა.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მორფემათა შეერთებით წარმოქმნილი თანხმოვანთკომპლექსები გამარტივებისაკენ მიიღტვიან:

არჩ > აჩ არბ > აბ ართ > ათ არწყ > აწყ არჭ > აჭ

სახეცვლილ ფორმებში შეინიშნება იმ თანხმოვანთა გემინაცია, რომლებიც **რ** სონორის ჰაპლოლოგიის შედეგად უშუალოდ აღმოჩნდა **ა-**ს მომდევნო პოზიციაში. სავარაუდოდ, ეს ერთგვარი ფონეტიკური კომპენსაციაა, რაც ზმნური ძირიდან თავკიდური სონორის დაკარგვის შედეგად იქნა მიღებული¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი ყველა მაგალითი თანაარსებობს სახეუცვლელ ფორმასთან (ე. ი. სადაც შენარჩუნებულია **რ** სონორი) და შესაძლოა ერთი მთქმელის ფარგლებშივე დამოწმდეს, ამდენად ამ მოვლენას სპორადული ხასიათი აქვს და მხოლოდ ამგვარი ბგერათმომდევრობისთვისაა მახასიათებელი. სხვა კომბინაციაში **რ** თანხმოვნის ფონეტიკური პოზიცია მყარია და სხვაობას არ ავლენს არც სამწერლობო ენასთან და არც სხვა კილოთქმებთან.

¹ ცხადია, აქ არ დაისმის საკითხი გემინირებულ თანხმოვანთა ფონემურობის საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II (რედ. გ. გოგოლაშვილი), თბილისი, 2016.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ლექსურის ხეობის ონომასტიკური მასალები (დიდი და პატარა ქოლოთი)

სოფელი ქოლოთი აწ უკვე ნასოფლარი მდებარეობს მდინარე ლექსურის ზემო წელზე, ცხრაწყაროს მთის მასივის სამხრეთ კალთაზე. დასახლება შედიოდა ახალგორის რაიონში, ზახორის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში. სოფელი დასახელებულია როგორც მოსახლე რამდენიმე ისტორიულ წყაროში. აღნიშნულია, როგორც ცალკე, ისე ძველი დასახლება ქვითკირთან ერთად. ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ წერს: „...ამ მთას გასდის სამხრით რეხულა, მას ციხეს ქვეით ქოლოთქვითკირი“...¹

„არს რეხის ხეობა ხილიან-ვენახიანი ამას ზეით ქოლოთქვითკირითურთ“² ვახუშტის შრომას დართული სოფლების სიაში დასახელებულია სოფელი (დაბა) ქოლოთი³.

ვახუშტის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე მდინარის სათავეებში მარჯვენა მხარეს აღნიშნულია ჯვრის ნიშნით ქოლოთი, ხოლო ამავე ნიშნით მარცხენა მხარეს ქვითკირი.⁴

იოანე ბაგრატიონის შრომაში „ქართლ-კახეთის აღწერა“, სათაურით „ქსნის ნაწილი, რომელიც მეფის ძეს ბაგრატს თვის ეყიდა სოფლები „ქოლოთს მოსახლენი“.¹

¹ ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 71-72.

² იქვე, გვ. 75.

³ იქვე, გვ. 206.

⁴ ვახუშტი, რუკები, 1745.

აწ უკვე ნასოფლარი ქვითკირი წყაროებში მოხსენებულია, როგორც ქვითკირითი. „სოფელი შედიოდა სამთავნელის საწმყოში მისი ბეგარა მღვდლებსა და მამასახლისებს უნდა მოერთმიათ სამთავნელისათვის“.² „ქვითკირთა შედიოდა სამთავნელის საწმყოში, მართებდა სამთავისისათვის გამოსაღები“.³

ქოლოთი, როგორც ისტორიული დასახლება, მოხსენებულია XIII-XIV საუკუნეების ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში „ძეგლი ერისთავთა“. მემატიანე წერს: „და დაწუნეს და მოაოხრნეს ყოველი ცხრაზმის ხევი, გარეშე ციხეთა და ციხეთა ჰბრძოდეს ქუენიფნევეს, ქარჩოხს, ქოლოთს და ისროლს და შვიდ წელს გაგრძელდა ჰომი მათი“.⁴

XIX საუკუნის 70-იან წლებში, როგორც დოკუმენტები მოგვითხრობენ, უკვე დაწყებულია მიგრაცია მთიდან ბარში. აღნიშნული სოფლიდან უკვე დაბლა ჩამოდის მოსახლეობა და ადგილებს იკავებს. კერძოდ „1774 წლის ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერაში“ აღნიშნულია, რომ სოფელ ქოლოთიდან უკვე სოფელ მეჯვრისხევში ჩანს იქაური გვარები, რომელთა მაწარმოებელი არის სადაურობის - ელ სუფიქსი. სათაურით „მეჯვრისხევიდამ“ ვეცნობით:

ქოლოთელი ხარხელი კომლი ა, თავი ა, თავი ბ, ლეკვია და ბერუა.

ქოლოთელი სარაული კომლი ა, თავი ა, იოსება.

ქოლოთელი სარაული, თავი ა, ზურაბა.

ქოლოთელი სარაული, კომლი ა, თავი ა, იოსება.

ქოლოთელი სარაული, კომლი ა, თავი ბ, ქიტუა და გოგია.

ქოლოთელი სარაული, კომლი ა, თავი ბ, ესტატე და პეტრე.

ქოლოთელი სარაული, კომლი ა, თავი ა, კაცია.

ქოლოთელი სარაული, კომლი ა, თავი ა, ივანე.

ქოლოთელი ხომიზური, კომლი ა, თავი ბ, შიო და დათუნა.

ქოლოთელი კეკელას შვილი, კომლი ა, თავი ა, მანძულა.

¹ ი. ბაგრატიოი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 37.

² მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), თბ., 1964, გვ. 225.

³ იქვე, გვ. 226.

⁴ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30, გვ. 347.

ქოლოთელი ხარხელი, კომლი ა, თავი ა, ნინია.

ქოლოთელი ლოთეს შვილი, კომლი ა, თავი ა, ბერუა.¹

როგორც ინფორმატორები გადმოგვცემენ მეჯუდის ხეობის მთიან ნაწილში მცხოვრები ქართველები, რომლებიც თავიანთ თავს მთიულებს დღესაც უწოდებენ ორგან ცხოვრებით ანუ ორბინადრობით გამოირჩეოდნენ. მათ შორის იყვნენ ზემოაღნიშნული ორი სოფლის ქოლოთების მცხოვრებნიც. მათ ბაღი, ბოსტანი, ვენახები დაბლა ზონაში, ამ შემთხვევაში მეჯვრისხევში და მის გარშემო უბნებში ჰქონდათ და სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ. მთაში ჰყავდათ საქონელი, რომელიც ძირითადად იყო შემოსავლის წყარო და ხშირ შემთხვევაში არ უჭირდათ ბარში მამულის ყიდვაც. ყოველივე ეს კი დაფიქსირებულია ისტორიულ დოკუმენტებში. სოფელი მეჯვრისხევი იყო ის ადგილი, სადაც იმერეთიდან, რაჭიდან, მესხეთიდან თუ სხვა ადგილებიდან მოდიოდა მოსახლეობა და ხელსაყრელ ადგილზე სახლდებოდა, ეყმოდა ადგილობრივ თავად-აზნაურებს და ასე გაშენდა ეს ადგილები, რომელთა შესახებ საჭიროა ზემოხსენებული მასალების გამოვლენა და სამეცნიერო სფეროში ჩართვა. გვხვდება - ებ სუფიქსიანი ტოპონიმები, რომელთაც საფუძვლად უძევთ ამა თუ იმ საგნის სახელი, რაც ნაკვეთის სიდიდეზე მიუთითებს. ასეთი ფორმები: სანდროაანთ ველები სამი ჰექტარი, რომელიც ხარხელების მამული იყო და იხვნოდა, თესავდნენ პურსა და ქერს.

ლუკმავების ქედი, დასავლეთით, სოფ. ვილდისკენ.

ვერხვნარები, სამოვარი დასავლეთით.

თელეები, სამოვარი ჩრდილო-დასავლეთით.

ნასახლარები, პატარა ქოლოთში, სადაც სარაულები და ხომი-ზურები ცხოვრობდნენ.

ჩირდილები, მდინარე ტორტლას მარჯვენა მხარეს, სამოვრები, ბუჩქნარი.

კეროვანები, ველები, მდინარე ტორტლას მარჯვენა მხარეს.

დოლაბები, ახო პატარა ქოლოთის ნასახლარებთან.

ნაფუზრები, პატარა ქოლოთში, არის ნასახლარებიც, ცხოვრობდნენ კეკელაშვილები.

¹ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, თბ., 1967, გვ. 224-225.

შუშურები, სათიბები დიდი ქოლოთის აღმოსავლეთით.

ტბითები, ჭაობიანი ადგილი დიდი ქოლოთის სამხრეთით, არის ახლები.

გომთები, დიდი ქოლოთის აღმოსავლეთით, არის ნასახლარები.

ქოხები, დიდი ქოლოთის აღმოსავლეთით, 2 ჰექტარი, აქვე ახლოს ეყენათ საქონელი ზაფხულში.

ჭარხალათები, ორი ჰექტარი, იყო სახნავი, რომელიც საბოსტნე ადგილი იყო.

არშანთები, სახნავი, შემდეგ სამოვარი ხუთი ჰა. დიდი სოფლის სამხრეთით, სახელი დარქმეულია ხარხელების შტოგვარის მიხედვით.

კოტავრები, სამოვარი დიდი ქოლოთის აღმოსავლეთით, 2 ჰა.

გელაზეები, ხუთი ჰა, მინდორი და სამოვარი დიდი სოფლის ჩრდილოეთით.

ბოსელაურები, 2 ჰა, ხილის ბაღი, დასავლეთით.

ჩიტკარები, ნასახლარები დიდი ქოლოთის აღმოსავლეთით, არის ნიში ამავე სახელწოდებით.

ქოლოთების გარშემო სამხრეთის გარდა სიმაღლეებია, რომელიც ძირითადად სამეურნეოდ იყო გამოყენებული. ისინი სხვადასხვა დროს ემსახურებოდა სოფელს თავისი სახელები ჰქონდა მიკუთვნებული. ტერმინი მთა მეორე კომპონენტად არის წარმოდგენილი, მაგალითად: ქოლოთის მთა – ჩრდილოეთით, ცხრაწყაროს მთა – ჩრდილო-აღმოსავლეთით, ციხემთა – აღმოსავლეთით, სადაო მთა – აღმოსავლეთით, ზეზაყური – დასავლეთით, ცოცხების მთა – ჩრდილოეთით, სამოვარი მთა – ჩრდილოეთით და სხვა.

სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინი მთა განმარტებულია როგორც „ბუნებრივი ამაღლება ხმელეთის მეტ-ნაკლებად მოვაკებულ ზედაპირზე. რელიეფის ამობურცული ფორმა, ამაღლებული ადგილი, რომელიც თავის სიმაღლით თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს“.¹

¹ ხარაძე კობა, ძველი ქართული გეოგრაფიული ტერმინების ლექსიკონი, თბ., 2021, გვ. 28.

ტერმინი ქედი განმარტებულია „რომელსაც აქვე ურთიერთსა-
წინააღმდეგოდ მიმართული ფერდობები, წაგრძელებული მთა, სე-
რი, მთაგრეხილი“¹. ქედებიდან აღსანიშნავია:

ასახედი, ლუკმავების ქედი აღმოსავლეთით სამოვარი.

საქორე ქედი, ტორტლას მარჯვენა მხარეს.

სამხთო ქედი, ჩრდილოეთით.

ნარაანთ ქედი, აღმოსავლეთით არის ქედის ძირში ნასახლარე-
ბი.

ყელისა ქედი, ტორტლას მარჯვენა ნაპირზე.

ლაჭების ქედი, ჩრდილოეთით.

კომპოზიტურო წყობის ტოპონიმებში პირველი კომპონენტი
დგას ნათესაობით ან მიცემით ბრუნვებში და განსაზღვრავს თუ ვი-
სი კუთვნილებაა ესა თუ ის ერთეული:

ჯახას მიწა ეკუთვნოდა ჯახა ხარხელს.

გორას ახო, ადგილი გორა კეკელაშვილის საკუთრება იყო.

მათეს ველი, ხომიზურის სათივე ადგილი სოფლის სამხრე-
თით.

დათას ნალობიარი, ხარხელის საკუთრება 1 ჰა.

ზურას ადგილი, ეკუთვნოდა გვარად მესტუმრიშვილს, 2 ჰა.

პანტიანის კორონები უნდა იყოს კორომები, არის გარეული
ჯიშის მსხლეები და ძველი ნასახლარები.

იორამი(ს) ჭალა, სოფლის აღმოსავლეთით, ლეხურის აღმო-
სავლეთ ნაპირზე, ტოპონიმი მიღებულია საკუთარი სახელიდან.

სარაულების უბანი, მიღებულია გვარ სარაულების დასახლე-
ბიდან, რომელიც ამჟამად ნასოფლარია.

კორმის ნიში, წმინდა გიორგის სალოცავი ტორტლას მარჯვენა
მხარეს.

ნაბარდდი(ს) ველი, ტორტლას მარჯვენა მხარეს, პატარა ქო-
ლოთი.

ქოლოთის კოშკი, დიდ ქოლოთში დგას.

ქოლოთის ციხე, მდინარე ლეხურას მარჯვენა მხარეს.

ხომიზურის წისკვილი, მდინარე ტორტლაზე ეკუთვნოდა ტა-
ტე ხომიზურს.

¹ იქვე, გვ. 138.

შუაველის ხატი, არის მუხის კორომი და პატარა ნიში წმინდა გიორგისა.

დიალექტში -ან სუფიქსი აღნიშნავს კრებითობას, ხოლო -ანთ საკუთრებას, მაგალითად:

კეკელაანთ ნაფუძრები, არის ნასახლარები პატარა ქოლოთში.

კეკელაანთ ახობები, სამხრეთით ტყეში, ეკუთვნოდათ კეკელაშვილებს.

სანდროაანთ ველები, იყო ხარხელების საკუთრება, 3 პა.

ჩატაურაანთ ველი, ხომიჭურების საკუთრება ტორტლას მარჯვენა ნაპირზე.

ბასილაანთ ახო, კეკელაშვილების ერთ-ერთი წარმომადგენლის ახო ტყეში.

ჩახიაანთ ახო, კეკელაშვილების შტოგვარის მიხედვით არის დარქმეული.

სალუაანთ კარი, ტორტლას მარჯვენა მხარეს კეკელაშვილების შტოგვარის მიხედვით არის დარქმეული.

შოთაანთ ნაყვერი, არის ახობები ტყეში, რომელიც ხარხელების ერთ-ერთი შტოს, კერძოდ ვინმე შოთას კუთვნილებაიყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებში დაიწყო მთიდან ბარში მიგრაცია, სადაც ასევე ჩართულები იყვნენ ქოლოთის მცხოვრებნიც. ისინი ორ ბინადრობას ეწოდნენ და როგორც სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრები ადამიანებისგან ჩავიწერეთ მათი წინაპრები ადრეც და შემდგომაც მთას თავს არ ანებებდნენ და მათი შთამომავლები დღესაც იხსენებენ თუ როგორ იყო მათი მამულები და ვისი სახელი ეწოდებოდა. ასე მივიღეთ:

მანძულაანთ უბანი, სახელი დარქმეულია კეკელაშვილის სახელის მიხედვით, რომელიც დღესაც არის პატარა ქოლოთში.

ნინია ახო, სახელი დარქმეულია ძველი წინაპრის ნინია ხარხელის მიხედვით, რომელიც ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა მთიდან ბარში.

ხომიჭურთ ვაკე, ვრცელი მინდორი, რომელიც ამ გვარის კაცს და მათ შთამომავლებს ეკუთვნოდათ, იყო 3 ჰექტარი სათიბი ველი.

კაციაანთ ახო, ეკუთვნოდათ სარაულ კაციას და მათ შთამომავლებს.

ასევე შენახულია ასეთი ტიპის ტოპონიმებში იოსებას, ქიტუას, ტატეს, დათუნას, ბერიასა და სხვა სახელები, რომელთა ამაგი შთამომავლობას დღესაც არ დაუკარგავს.

წარმოქმნის თვალსაზრისით ჰიდრონიმები ტოპონიმებისგან ჩვეულებრივ არ განსხვავდებიან. გვხვდება მარტივი, წარმოქმნილი და სიტყვათშეერთების გზით მიღებული ჰიდრონიმები.

მარტივფუძიანი ჰიდრონიმებია: გუბე, სადაც საქონელი შუადლით მიდიოდა და წყალთან ისვენებდა, ადგილს ეწოდება ასევე გუბეები.

კოდა, კლდეში გამოსული წყარო, მიდგმულია ხის გეჯა, სადაც ასევე საქონელი დასარწყულებლად მიუდიოდათ.

წყარო, ანუ მჟავე წყალი ტორტლას ნაპირზე, რომელსაც ასევე ნადირ-ფრინველი ეტანებოდა.

წარმოქმნილი ჰიდრონიმებიდან აღსანიშნავია -ა სუფიქსით ნაწარმოები ტორტლა, შიმშილა, ღურბელა უნდა იყოს დიალექტური ფორმით ღრუბელა, რომელიც ტორტლას მარჯვენა შენაკადია.

ჰიდრონიმთა მეორე კომპონენტად გვხვდება წყარო, ხევი, დელი:

ხომიზურის წყარო, პატარა ქოლოთში (გვარის მიხედვით არის დარქმული).

ქოთანა წყარო, გამოდის ჩრდილოეთის მხარეს, ჩაღრმავებულ ადგილას.

თამარა წყარო, სახელი დარქმეულია თამარ ხარხელის სახელის მიხედვით.

სადაო წყარო, მდებარეობს ორ – დიდსა და პატარა ქოლოთს შორის, დავა იწყებოდა ძირითადად ზაფხულის ცხელ დღეებში, ნაკადული რომ სარწყავად გამოეყენებინათ.

აკლდამების წყარო, აღმოსავლეთით.

გოგირდის წყარო, დაჰკრავს თავისებური სუნით.

მჟავე წყალი, ჩრდილოეთით.

თეთრი წყლები, ჩრდილოეთით.

შირიმის წყალი, აღმოსავლეთის მხარეს, ლეხურას მარჯვენა შენაკადი.

ველების ხევი, ლეხურას მარჯვენა შენაკადი.

წყაროანთ ხევი, დიდ ნასოფლარში.

ნაფუძრების ხევი, გამოდის ქოლოთის მთიდან.
კორმის ხევი, ტორტლას მარჯვენა მხარეს.
დიდხევი, არ შრება ზაფხულშიც, ჩადის ტორტლაში.
მლაშე ხევი, პატარა ქოლოთში.

სიტყვათწარმოების საშუალებებს შორის გარკვეული ადგილი უჭირავს ტოპონიმთა ოდენპრეფიქსულ წარმოებას. ძირითადად გვხვდება წინავითარების გამომხატველი ნა- და დანიშნულების სა- თავსართები: ნაკაფი (სათიბი, პატარა ქოლოთი), ნაჩეხი (სათიბი, პატარა ქოლოთი), ნაფუძარი (პატარა ქოლოთი), ნასაყდრი (პატარა ქოლოთი), ნაპურალი (პატარა ქოლოთი).

ნაკომკარი (დიდი ქოლოთი), ნალოზიარი, ნასიმინდარი, ნაფეტვარი, ნაბანაკევი, ნაგერალი, ნადგომი, ნაზორევი, ნატეხი, ნაქერალი, მინატეხი, ნაგლეჯი...

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის განმარტებული ასეთი ტოპონიმები სამეურნეო ხასიათისანი არიან და დამოწმებულია ს. საბასთან, მაგალითად:

ნაბანაკევი, ბანაკათ სადგომი ადგილი.¹

ნაგერალი, დაუთესველად მოსული.²

ნატეხი, მინატეხი.³

სანახევრო ეწოდება ორ სოფელს შორის მამულებს, რომელიც საერთო კოლმეურნეობაში იყო გაერთიანებული და მერე გაინაწილეს.

სარევი, იყო სანადირო ადგილები, ჩრდილოეთის მხარეს.

საფრინავი ღელე, აღმოსავლეთით.

საფლობი, არის ტალახიანი ადგილი, არის წყაროც.

საკარტოფილე, საღანძილე, სანიორე, რომლებიც ასევე სამეურნეო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული.

ეკლესიონიმებიდან აღსანიშნავია ლომისას ნიში, რომელიც სოფელ დიდი ქოლოთის ჩრდილოეთით არის და აღინიშნებოდა გაზაფხულზე ლომისობა.

ამ ორ უბანს შორის არის ეკლესია ღვთისმშობელი, ბაზილიკა, ერთნავიანი, რომელიც კარგად არის შემონახული. დღეობა აღინიშ-

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993, გვ. 556.

² იქვე, გვ. 557.

³ იქვე, გვ. 579.

ნებოდა გაზაფხულზე და შემოდგომით ღვთისმშობლობას 21 სექტემბერს. აქ იკრიბებოდა ის ხალხი, რომლებიც ბარად იყვნენ წასულები და მშობლიურ ადგილებში ორ-სამ დღეს რჩებოდნენ.

გზის წმინდა გიორგი პატარა ქოლოთში არის მუხის კორომი, სადაც ხომიზურები და კეკელაშვილები აღნიშნავდნენ წმინდა გიორგობას.

ხატის საბძანი იყო დიდი ქოლოთის ჩრდილოეთით, სადაც ძირითადად ჩხიტაურები გადიოდნენ სალოცავად. აქვე იყო შეწირული ძვირფასი ნივთები, რომლებიც დღეს დაკარგულია.

ეკლესია სამხთო არის ზედაველაში, აღინიშნებოდა დღეობა გაზაფხულზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაგრატიონი 1997 – ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, მეცნიერება, თბილისი, 1997.

ბაგრატიონი 1745 – ბაგრატიონი ვ., რუკები, 1745.

ბაგრატიონი 1986 – ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), თბ., 1964.

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954.

ჯავახიშვილი 1967 – ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, 1967.

ხარაძე 2021 – ხარაძე კ., ძველი ქართული გეოგრაფიული ტერმინების ლექსიკონი, 2021.

ორბელიანი 1993 – ორბელიანი ს.საბა, ლექსიკონი ქართული, II, 1993.

რუსუდან რამიშვილი

რამდენიმე შენიშვნა სპარსული გვარ-სახელების ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციასთან დაკავშირებით

ქართულ-სპარსული ენობრივი კავშირები საუკუნეებს ითვლის. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ირანსა და საქართველოს შორის არსებულმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ურთიერთობებმა ორ ქვეყანას და, შესაბამისად, ქართულსა და სპარსულ ენებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გააღრმავა. მას შემდეგ, რაც ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, ბევრი ირანელი ჩამოვიდა საქართველოში, დააარსა კომპანიები და დაფუძნდა საცხოვრებლად. ამ კომპანიებში დაასაქმეს (უმეტეს წილად) ისევ ირანის მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს ქართული ბინადრობის მოწმობები. ჩვენი დღევანდელი მოხსენება შეეხება ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების გვარ-სახელების ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციაში დაშვებულ არაერთ შეცდომას. კონკრეტულად განვიხილავთ ირანული გვარ-სახელების ქართულად გადმოტანისას დაშვებულ რამდენიმე უზუსტობას.

1. სპარსული **ġ**-ის გადმოცემა ქართული ტრანსლიტერაციით.

არაერთგვაროვნებაა სპარსული **ġ**-ის ქართულად გადმოტანისას. ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეთა ქართულ ბინადრობის მოწმობებში სპარსული სპარსული **ġ** ქართულში ტრადიციულად **ღ** თანხმოვნით გადმოიცემოდა, მაგ.: სპ. arma**ġ**ān „მოგზაურობიდან ჩამოტანილი საჩუქარი“ → ქართ. **არმაღანი**; სპ. bā**ġ** „ბალი“ – ქართ. **ბალი** „წალკოტი“, „ბალი“; სპ. dā**ġ** „ნიშანი“, „დამღა“ – ქართ. **დაღი**; სპ. Pay**ġ**āmbār – „წინასწარმეტყველი“ – ქართ. **ფელამბერი**; სპ. ar**ġ**avāni – „წითელი“, „მეწამული“ – ქართ. **არღავანი**.

ახალ სპარსულში **ġ** -ის (**ღეინის**) წარმოთქმის საკითხს ეხება მ. ანდრონიკაშვილი წიგნში „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“, ტომი II, ნაწილი I, გვ. 41). მ. ანდრონიკაშ-

ვილი აღნიშნავს, რომ „ახალ სპარსულ სალიტერატურო წარმო-
თქმაში უმრავლესობა სპეციალისტების აზრით, q(γ) ერთ ფონემას
წარმოადგენს. ზოგის აზრით, იგი მჟღერი უვეულარული თანხმო-
ვანია (მაგ. ბერტელსი, კრამსკი, რასტორგუევა, სოკოლოვა და სხვა).
ი. მარი და ჯ. გიუნაშვილი მას ყრუ თანხმოვნად მიიჩნევენ, რომე-
ლიც აკუსტიკურად ქართულ ყ-ს უახლოვდება და ე.წ. ტრანსლარინ-
გალურ ბგერას წარმოადგენს.“

ჯ. გიუნაშვილის აზრით, სტატისტიკური მონაცემების მიხედ-
ვით, q-ს შემცველი სპარსული სიტყვების 60% არაბული ან არაბიზი-
რებული სიტყვებია და q-ს შემცველი სიტყვების რაოდენობა იმდე-
ნად დიდი იყო, რომ სპარსულ ლიტერატურულ ენაში მოხდა შერ-
წყმა ნასესხები [q]-სი მკვიდრ [ღ]-სთან ერთ ფონემად (ჯ. გიუ-
ნაშვილი, q-ს წარმოთქმის საკითხისათვის თანამედროვე სპარ-
სულში, თსუ შრომები, 91, 1961, გვ. 72).

სპარსული **ġ-ის (ღეინის)** ყრუ-ხშულ ყ-დ წარმოთმის თვალ-
საზრისს იზიარებენ სპარსულ-ქართული და ქართულ-სპარსული
ორენოვანი თემატურ- გამოყენებითი ლექსიკონის ავტორ-შემდ-
გენლები ამირ. მ. მოჰამადი და ქეთევან მეგრელიშვილი. ლექსიკო-
ნის წინათქმა I -ის მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „სპარსული
ანბანის ასო-ბგერა **ღეინი** ქართულში გამოითქმის არა როგორც
უკანა სასისმიერი მჟღერი **ღ**, არამედ ემსგავსება ხახისმიერ ყრუ-
ხშულ ყ-ს“. ეს თვალსაზრისი სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება,
რადგანაც ლექსიკონის რედაქტორია ჯ. გიუნაშვილი, რომელიც
სწორედ ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს.

სპარსული **ġ -ის (ღეინის)** ყ თანხმოვნით გადმოცემას უჭერენ
მხარს საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტები,
რომლებმაც შეიმუშავეს „სპარსული ენის ბგერითი სისტემის ქარ-
თულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესე-
ბი“. „სპარსულ ენაში ყ და ღ თანხმოვნები არის ერთი ფონემა ყ-ს
ალოფონები. ტრადიციულად, იგი ქართულში ღ თანხმოვნით გად-
მოიცემოდა, მაგრამ თანამედროვე სპარსულიდან სიტყვები, მათ
შორის, საკუთარი სახელები,

უნდა გადმოიცეს ყ თანხმოვნით“ – მითითებულია საქართვე-
ლოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ „სპარსუ-

ლი ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესებში“.

ამ საკითხთან დაკავშირებით მივმართე საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტს და ვთხოვე დასაბუთება, რატომ უნდა გადმოიცეს სპარსული **ġ** ქართულში **ყ** თანხმოვნით, როცა ტრადიციულად **ღ** თანხმოვნით გადმოიცემოდა“. ენის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილ პასუხში ვკითხულობთ: „ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხს შეიცავს ენის სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტი (გვ. 64, შენიშვნა N6), სადაც აღნიშნულია, რომ „ტრადიციულად, იგი [**ġ**] ქართულში **ღ** თანხმოვნით გადმოიცემოდა, მაგრამ **თანამედროვე სპარსულიდან სიტყვები**, მათ შორის, საკუთარი სახელები, უნდა გადმოიცეს **ყ** თანხმოვნით“. როგორც ვხედავთ, საუბარია არა ზოგადად ახალი სპარსულიდან ნასესხებ და ქართულში ძველადვე დამკვიდრებულ ლექსიკაზე, არამედ, კერძოდ, თანამედროვე ენიდან შემოსულ სიტყვებზე. ასეთები კი, ძირითადად, ანთროპონიმები, პატრონიმები და გეოგრაფიული სახელებია – აქ ყველგან მართებულია დედნისეული ვითარების ქართულში ისე გადმოტანა, როგორც ენის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაადგინა. დავძენთ, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის ენისა და ლიტერატურის აკადემიის მიერ გამოცემული „სპარსული მართლწერის წესების“ მიხედვითაც, ორ გრაფემას **ġ**-სადა **ق**-სერთი ბგერა -**ყ** შეესაბამება (იხ. <https://apll.ir/wp-content/uploads/2018/10/D-1394.pdf> გვ. 11)“.

აღნიშნული პასუხის მიღების შემდეგ, ცხადია, შევეცადეთ დაგვედასტურებინა თანამედროვე სპარსული ენიდან სპარსული **ġ**-ის **ღ** თანხმოვნით გადმოცემის შემთხვევები. სპარსული **ġ** (**ღეინი**) ქართულში **ღ** თანხმოვნით გადმოიცემა საკუთარ სახელებში, მაგ.:

აშრაფ ღანი აჰმადზაი (محمد اشرف غني احمدزی; დ. **19 მაისი, 1949**), ავღანელი პოლიტიკოსი, ეკონომისტი და ანთროპოლოგი.

ზარიფა ლაფარი, ავღანეთის ახალგაზრდა მერი და აქტივისტი. (**ظریفه غفاری**).

ღაზნევიდები – **თურქული** წარმოშობის დინასტია, რომელიც მართავდა ღაზნეველთა სახელმწიფოს (**X-XII** სს.). სახელწოდება მომდინარეობს ქალაქ **ღაზნიდან**, რომელიც მდებარეობს **ავღანეთის** სამხრეთ აღმოსავლეთში. დინასტია დააარსა **962** წელს **სამანიდ-**

მა მხედართმთავარმა ალი-თეგინიმ, რომელმაც ქალაქ ლაზნის დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა თავი. განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია მაჰმუდ ლაზნევის მმართველობისას (998-1030), როდესაც სახელმწიფო მოიცავდა თანამედროვე აღლანეთის, ირანის, ცენტრალური აზიის და ინდოეთის მთელ რიგ რეგიონებს. მისი მმართველები ახალისებდნენ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას – სამეფო კარზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ცნობილი პოეტები და მეცნიერები: ალ-ბირუნი, ფირდოუსი და სხვები.

„თარიხ-ე ჯაჰან-არა“-ს („ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის“) ავტორი **ყაზი აჰმედ ლაფარი** (1515-1568) დაიბადა ჰიჯრის 920 წ. (1515 წ.) თეირანში, ცნობილი შიიტი კანონმდებლის აბდ ალ-ლაფარი ალ-ყაზვინის ოჯახში.

იაღმა ჯანდაყი მირზა აბუ ლ-ჰასან (1782-1860) – حنفی یغماي

როგორც ვხედავთ, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტებმა სპარსული **Ġ** -ის (**ღეინის**) ქართულში **ყ** თანხმოვნით გადმოცემის გადაწყვეტილება მიიღეს ირანის ისლამური რესპუბლიკის ენისა და ლიტერატურის აკადემიის მიერ გამოცემული „სპარსული მართლწერის წესების“ მიხედვით, რადგანაც ორ გრაფემას Ġ-სადა ġ-ს ერთი ბგერა -ყ შეესაბამება (იხ. <https://apll.ir/wp-content/uploads/2018/10/D-1394.pdf> გვ. 11)“. იმავე გვერდზე სქოლიოში მითითებულია, რომ ამ ბგერების წარმოთქმა თეირანული მეტყველების მიხედვითაა და ირანის სხვადასხვა კუთხეში ზოგიერთი ბგერა სხვაგვარად წარმოითქმის.

ეს საკითხი სამსჯელოდ გამოვიტანეთ ენათმეცნიერთა ფართო აუდიტორიის წინაშე, რადგანაც მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რამდენად მყარი არგუმენტია ჩვენთვის, რომ უგულვებელყოფილ იქნეს ღეინის ქართულ ენაში გადმოტანის ტრადიცია და შეიცვალოს „სპარსული მართლწერის წესების“ მიხედვით.

2. ირანის მოქალაქეთა ქართულ ბინადრობის მოწმობებში უზუსტობა გვხვდება **ზადე** კომპონენტის შემცველი სპარსული გვარების ქართულად გადმოტანისას. ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეთა ქართულ ბინადრობის მოწმობებში სპარსული **آز (ზადე)** არცთუ იშვიათად გადმოტანილია არასწორად, **ზადეჰ** ფორმით. სპარსულ ჰაიჰავაზზე (მუნჯ ჰ-ზე) დაბოლოებული სიტ-

ყვები ქართულში გადმოდიოდა **ჰ**-ს გარეშე, მაგრამ დღეს უკვე ქართულ ბინადრობის მოწმობებში ხშირად შევხვდებით სპარსული მუნჯი **ჰ**-ს გადმოტანას ქართულში. ეს უზუსტობა გამოწვეულია იმით, რომ ირანული პასპორტები ინგლისური ენიდან არის თარგმნილი. ინგლისურად **ზადე** კომპონენტი გვხვდება შემდეგი სახით: **zadeh**. ამიტომაც **აყაზადე**-ს ნაცვლად ვიღებთ **აყაზადეჰ**-ს, **ჰასანზადე**-ს ნაცვლად – **ჰასანზადეჰ**-ს, **მოჰამადზადე**-ს ნაცვლად – **მოჰამადზადეჰ**-ს. ასე რომ, მართებულია: **აყაზადე, ჰასანზადე, მოჰამადზადე...** იმავე პრობლემას ვაწყდებით სპარსულ ჰაიკავაზზე დაბოლოებულ სხვა სახელებშიც. გარდა იმისა, რომ არამართებულია ქართულად **ფათემეჰ, აზადეჰ, ჰასანზადეჰ...** ფორმებით გადმოტანა, ეს შეცდომა დიდ პრობლემას ქმნის წარმოთქმის დროსაც.

3. უზუსტობას ვხვდებით სპარსული **ჭ (ყ)**-ს გადმოცემისას ქართულში. ეს შეცდომაც გამოწვეულია იმით, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების პასპორტების დიდი ნაწილი ინგლისურიდან არის თარგმნილი. ინგლისურად **ჭ (ყ)** გადმოიცემა **gh**-ით.მაგ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის გვარი **آغزاده** (ინგლ. **Aghazadeh**) ქართულად გადმოაქვთ, როგორც **აგჰაზადეჰ**, მართებულია **აყაზადე** (ამ შემთხვევაში ორი უზუსტობაა: **გჰ** – ნაცვლად **ყ** თანხმოვნისა და **ჰ** დაბოლოება)...

4. შეცდომით არის გადმოტანილი ქართულად სპარსული **კ** და **ჟ** თანხმოვნებიც. არცთუ იშვიათად სპარსულიდან **კ** თანხმოდანი გადმოტანილია, როგორც **კ**, და **ჟ** გადმოტანილია, როგორც **პ**, მაშინ, როცა ახალ სპარსულ ენაში არ არის არც **კ** და არც **პ** ბგერები.

5. მცდარი ფორმით არის გადმოტანილი ქართულად სპარსულ გვარ-სახელებში არსებული **გაორმაგებული თანხმოვნებიც**. მაგ.: სპ.**Mohammad** ქართულად ხშირ შემთხვევაში გადმოაქვთ, როგორც **მოჰამად**, მართებული ფორმაა **მოჰამად**, რადგანაც ქართულში გაორმაგებული თანხმოვნები არ გადმოდის. გარდა ამისა, ქართულში ტრადიციულად გვაქვს **მუჰამედი**, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართულად გადმოტანისას უმჯობესია დავტოვოთ **მოჰამადი**, რადგან ქართულ ბინადრობის მოწმობასა და ირანულ პასპორტებს

შორის (იგულისხმება პასპორტის ინგლისური ვარიანტი) განსხვავება ისეც გარკვეულ პრობლემებს უქმნის ირანის მოქალაქეებს.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოჩამოთვლილი უზუსტობა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების პასპორტების გარკვეული ნაწილი თარგმნილია სპარსულიდან ქართულად, უდიდესი ნაწილი კი ქართულად თარგმნილია ინგლისური ენიდან და მთარგმნელს, ცხადია, გვარ-სახელები გადმოაქვს ინგლისური ტრანსლიტერაციით. ამის დასტურია ის შემთხვევა, როდესაც ძმებს განსხვავებული გვარები იმის გამო აღმოაჩნდათ, რომ ერთი ძმის დოკუმენტი სპარსული ენიდან ითარგმნა, მეორე ძმისა კი – ინგლისურიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში, გარდა სპარსული ღ-ის ქართულად გადმოტანისა, ჩვენ ვეთანხმებით ენის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მიღებულ „სპარსული ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესებს.“

გამოყენებული ლიტერატურა

მ. ანდრონიკაშვილი წიგნში ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტომი II, ნაწილი I;

ჯ. გიუნაშვილი, 4-ს წარმოთქმის საკითხისათვის თანამედროვე სპარსულში, თსუ შრომები, 91, 1961;

ამირ მ. მოჰამადი, ქეთევან მეგრელიშვილი, ორენოვანი თემატურ-გამოყენებითი ლექსიკონი;

ირანის ისლამური რესპუბლიკის ენისა და ლიტერატურის აკადემიის მიერ გამოცემული „სპარსული მართლწერის წესები“;

ენის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სპარსული ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

ზანურის გზით შეთვისებული რამდენიმე

უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულის

ადაპტაციისათვის სვანურში¹

სვანურ ნასესხებ ლექსიკაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში დიდი რაოდენობით დასტურდება ზანურიდან (უშუალოდ თუ შუალობით) შეთვისებული მასალა. ამ მასალის უმეტესი ნაწილი, ბუნებრივია, დღესაც პროდუქტიულია მეგრულ-ლაზურში, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად განიხილავენ ისეთ ზანიზმებსაც, რომლებიც მეგრულ-ჭანურ მეტყველებას დღეს არ ახასიათებს და როგორც ოდინდელი ნასესხობა შემორჩენილია სვანურში (ჩუხუა 2003:111).

ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ, ზანურიდან სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში შეთვისებული მასალა დაგვეყო ორ ნაწილად:

1. უშუალოდ ზანურიდან (მეგრულ-ლაზურიდან) შეთვისებული ლექსიკური ერთეულები და

2. ზანურის (მეგრულ-ლაზურის) გზით შეთვისებული უცხოენოვანი (*ბერძნული, რუსული, თურქული, არაბული, აფხაზური...*) ლექსიკური ერთეულები, სადაც სესხების შუალედური რგოლი ძირითადად მეგრულია.

ცხადია, სვანურში გამოვავლინეთ მეგრულ-ლაზურში გამქრალი ისეთი ზანიზმებიც, რომელთა შესახებ მსჯელობა დღემდე არ ყოფილა სპეციალურ ლიტერატურაში.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა გზით ზანურიდან (შუალობით) სვანურში შეთვისებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და შეძლებისდაგვარად ქრონოლო-

¹ მოხსენება მომზადდა 2019 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)“ ფარგლებში.

გიის დადგენა წარმოადგენს, რაც, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა სვანური ენის ფონოლოგიური და ლექსიკური სისტემების განვითარების ზოგადი სურათის წარმოსაჩენად.

სტატიაში წარმოდგენილია შემდეგი ლექსიკური ერთეულების ანალიზი:

1. **აბარწა** (ბქ.) / **ჰაბარწა** (ჩბხ.) „აივანი, წინკარი“ < მეგრ. აბარწა (მდრ., ასევე, ლაბარწა / აბარწა) < აფხაზ. **ა-ბღრწა** „აივანი, დერეფანი, პირმალი/პარმალი, წინკარი“.

ბალსქვემოურში დადასტურებული საანალიზო ლექსიკური ერთეული **აბარწა** შეთვისებული ჩანს მეგრულიდან ფონეტიკურად უცვლელი სახით, თუმცა ბალსქვემოური დიალექტის ჩუბეხურ მეტყველებაში პარალელურად ფშვინვიერშემართვიანი **ჰაბარწა** დასტურდება. როგორც ცნობილია, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ძირითადად ზემოსვანური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი, რომელსაც ქვემოსვანურში შესატყვისად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის (ჟღენტი 1949:123-125). ჩუბეხურ ფორმაში სესხებისას სწორედ ეს ფონეტიკური პროცესი არის განხორციელებული.

2. **ზაპ** (ზს., ქს.)/**ჰაპ** (ბქ.) „მღვდელი, სასულიერო პირი“ < ზან. (მეგრ.-ლაზ.) ჰაპ-უ „ზაბუა, პაპა; მოხუცი, ბერიკაცი“ < ბერძნ. **Παπας** „კათოლიკური ეკლესიის მეთაური“.

სპეციალურ ლიტერატურაში (ჭარაია 1918:287-289, 619; ჩიქობავა 1938:14-15; კლიმოვი 1964:152) ქართ. **ჰაპ- ჰაპ-ი; ჰაპ-ა** : ზან. (მეგრ.) **ჰაპ- ჰაპ-უ** „პაპა“ : ლაზ. **ჰაპ- ჰაპ-ულ-ი/ჰაპ-უ** „პაპა“; **ჰაპ-ულ-ეფ-ე** „წინაპრები; მამა-პაპა“ ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია ***ჰაპალ-**არქეტიპი, სვანურში კი ის მეგრულიდან ნასესხებად ითვლება ანლაუტის მკვეთრი ზგერის გამჟღერების საფუძველზე.

3. **ბჰსკჰნტ** (ბზ.)/**ბუწკანტ/ბუწყანტ/ბჰწკანტ** (ლშხ.) „პატარა გარმონი“, მდრ. ჩოლ. ლი-**ბუწკანტ**-ი „უხეიროდ, გამაღიზიანებლად საკრავის დაკვრა (ზედმიწ. – ***ბუწკანტ-ობ-ა**)“ < მეგრ. **ბუწკანტ**-ი „ჯიბის გარმონი“ < რუს. **Музыкант** „მუსიკოსი, მემუსიკე, მესაკრავე, დამკვრელი“ (< **ბერძ.** **μουσική** musike „მუსიკა“).

ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტიდან სვანურ პუბლიკაციებში მხოლოდ ლაშხური **ბუწკანტ/ბუწყანტ** დასტურდება (იხ. კ. დონდუას „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“, 2001 წ., გვ. 51), თუმცა, სავსე პირობებში მოძიებული მასალების მიხედვით, აღნიშნულ ფორმათა პარალელურად ლაშხური დიალექტისათვის რედუცირებული **ბმწკანტ** ფორმაც ფიქსირდება, ბალსზემოურში კი – **ბმსკმნტ**, რომელსაც სესხების პროცესში სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები (*რედუქცია, ბგერათსუბსტიტუცია, უმლაუტი*) უნდა გაეკვლო. იმავე ძირის შემცველი უარყოფითი კონოტაციის მქონე მასდარული ფორმა **ლი-ბუწკანტ**-ი „უხეიროდ, გამაღიზიანებლად საკრავის დაკვრა“ გვხვდება ჩოლურულ მეტყველებაში. სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში დამატებითი მასალა საკვლევ ძირფუძესთან დაკავშირებით ვერც სვანურ პუბლიკაციებში და ვერც ველზე მოპოვებულ მასალებში ვერ მოვიძიეთ.

სვანურ დიალექტოლოგიურ ფორმათა წარმომავლობის გასარკვევად, ბუნებრივია, გასათვალისწინებელია სხვა ქართველურ ენათა შესაბამისი მონაცემებიც.

საინტერესო და ყურადსაღები აღმოჩნდა ზანურის (კერძოდ, მეგრულის) მონაცემები: ერთი მხრივ, {ჯიბის} გარმონის მნიშვნელობით დადასტურებული **ბუწკანტი** და, მეორე მხრივ, **ბიწკანტია** ფორმა, რომელსაც აქვს შემდეგი განმარტება: „ცერული ცეკვა“, „დანით თამაშის ერთ-ერთი სახეობა“ (შდრ. მეგრ. **ბიწკი** „ფეხის წვერი, ცერი“, „ფეხის წვერზე სიარული, ფრთხილად სიარული“). საანალიზო ზანური ძირ-ფუძეების შესახებ მსჯელობა წარმოდგენილია კ. გეჯუას სადისერტაციო ნაშრომში – „მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი“ (2020:172), სადაც ავტორი **ბუწკანტ** ფორმაში სავარაუდოდ გამოყოფს **ბუწკ-** ძირს, **-ანტ**ს კი რთულ სუფიქსად მიიჩნევს, რომელიც „მის ფორმაზე მიუთითებს, როგორც პატარა ჯიბის საკრავზე“. მიუხედავად ამ ვარაუდისა, ვფიქრობთ, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს რუსული **Музыкант** სიტყვისაგან (ანლაუტში **მ/ბ** თანხმოვანთმონაცვლეობით) მომდინარე მეგრული **ბუწკანტი** და საკუთრივ მეგრული **ბიწკანტია**, რომელიც, მართალია, სტრუქტურულ-სემანტიკურ სიახლოვეს აჩენს საანალიზო ძირ-ფუძეებთან, თუმცა, როგორც სამეცნიერო ლი-

ტერატურიდან ჩანს, მეგრულ ბიწკ-ის „წვერი (ფეხის)“ შესატყვისები ემბენება ქართველურ ენებში (იხ. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილო-თა შედარებითი ლექსიკონი“, 2000-2003, გვ. 352), რაც ჩვენს ვარაუდს საკვლევ ფორმათა გამოიჯენასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მეტად ამყარებს.

მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო ლექსიკური ერთეული (**ბუზიკა** „პატარა ქართული გარმონი“), რომელიც ქართული ენის ფშაურ დიალექტშიც დაფიქსირდა და, რომელიც, ასევე, სავარაუდოდ, რუსული *Музыка*-დან (< ბერძ. *μουσική* *musike*) „მუსიკა“ უნდა მომდინარეობდეს, მას კავშირი არ უნდა ჰქონდეს ზანურ-სვანურ ფორმებთან. რუსულიდან სესხება ზანურში ქართულისაგან დამოუკიდებლად უნდა წარმართულიყო, სვანურმა კი ექვგარეშეა ზანურიდან შეითვისა როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით (შდრ. ლშხ. **ბუწკანტ** < მეგრ. **ბუწკანტ**-ი), ისე სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა {მაგ., *ბგერათა სუბსტიტუციისა* (შდრ. ლშხ. **ბუწკანტ** < მეგრ. **ბუწკანტ**-ი) და *რედუქციის* (შდრ. ლშხ. **ბმწკანტ** < მეგრ. **ბუწკანტ**-ი)} გავლით. ასევე სესხებისას სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები (*რედუქცია*, *ხმოვანთსუბსტიტუცია*, *უმლაუტი*) უნდა განვითარებულიყო ბალსზემოურ **ბმსკანტ** ფორმაშიც, თუმცა დამაფიქრებელია ინლაუტისეული **ს** ბგერის არსებობა, რომელიც, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მერმინდელი გაჩენილი ჩანს თანამედროვე ქართველურ ენებში გავრცელებული *მუსიკ*-ის ანალოგიით.

4. **ბერეკეთ** (ბქ.) „ხვავი, ყუათი, ბარაქა“ < ზან. (მეგრ.) ბერეკეთ-ი „ბარაქა, ბარაქიანი“ (შდრ., ასევე, მეგრ. ბერეკ-ი/ბერეკეთ-იანი) < თურქ. (< არაბ.) **bereket** „სიკეთე, სიუხვე, უხვი მოსავალი“ (შდრ. ბზ., ქს. **ბარაქ**, ზს. **ბარქ** „ხვავი, ყუათი“ < ქართ. ბარაქა < არაბ. **baraq**; უშგ. **ბარაქელ შორისდ.** < ქართ. ბარაქალა „მოწონების, წაქეზების შემახილი, – ყოჩაღ! აფერუმ! ვაშა!“ < არაბ. **baraq**; ზს., ლნტ. **ბარაქქუნ**, ბზ. **ბმრქქუნ**, ლშხ., ჩოლ. **ბარაქიან/ბარქიან** < ქართ. ბარაქიან-ი < არაბ. **baraq**).

სვანურში, კერძოდ ბალსქვემოურში, ქართულიდან ნასესხები **ბარაქ** (ბზ., ქს.)/ბარქ (ზს.)/მარაქ¹ (ბზ.) „ხვავი, ბარაქა“ ფორმათა პა-

¹ **მარაქ**, რომელიც მომდინარეობს ქართული ბარაქა სიტყვისაგან აულსლაუტისეული ხმოვნის მოკვეციითა და ანლაუტისეული **მ/მ** თანხმოვანთა მონაცვ-

რალეულურად დალოცვის ფორმულებში დასტურდება ზანურიდან შეთვისებული ბერეკეთ „ბარაქა“ [მაგ., ეჩქას ტოლიბშქ იმზჳრქლი: „ბჳრბოლს ესერ ძღჳერ ი ბერეკეთ ესეროლ ლოჳოდა მინე ლასჳქრდ!“ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957, 80:23-24) „მაშინ თამადა სადღეგრძელოს ამბობს: „წმინდა ბარბაღემ ყუათი და ბარაქა მისცესო ჩვენს სათემო გაერთიანებას (ზედმიწ. – მაშინ სტოლუმბაშ-ი ლოცულობს: „წმინდა ბარბაღე-ს-ო ძღვენ-ი და ბერეკეთ-ი-მც-ა-ო მიუცია მათ სადღეობო გაერთიანებად!“)]¹ ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე, რომელიც ზანურშიც ფონეტიკურად უცვლელი სახით ჩანს შეთვისებული თურქულიდან.

5. დიმიტილ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/დიმეტილ (ლნტ.), შდრ. ზს., ქს. დედამთილ < ზან. (მეგრ.) დია-ნთილ-ი/დია-ნთირ-ი (შდრ. ლაზ. და-მთირ-ე) < ქართ. დედა-მთილ-ი (შდრ. ზს., ქს. გიგა).

სპეციალური ლიტერატურის (Климов 1964:72; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:170) მიხედვით, სვან. დიმიტილ- მეგრულიდან ნასესხებად არის მიჩნეული, თუმცა სესხების მიმართულებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები მაინც ჩნდება, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სესხებისას სვანურს ზანურიდან ნ სონორის შემცველი ფორმა (*დინთილ) უნდა შეეთვისებინა და არა მ სონორისა (დიმთილ), რომელიც ქართულ დედამთილ-ში დასტურდება. და თუკი სვანურმა ზანურიდან მ სონორის შემცველი სავარაუდო ფორმა *დინთილ ისესხა, რომელიც დღეს სვანური ენის არცერთ დიალექტში არ დასტურდება, მაშინ შესაძლოა დავუშვათ ვარაუდი, რომ სონორთა (მ/ნ) მონაცვლეობის პროცესი გვიან განხორციელდა სალიტერატურო ქართული ენის გავლენით.

ასევე, ძალზედ საგულისხმოა ლენტეხური ფუძის ინლაუტში ჩართული ე ხმოვანი (შდრ. ასევე ლნტ. მუმეტილ¹), რომელიც არც

ლობით, დადასტურდა „სვანური ქრესტომათის“ ბალსზემოურ ნაწილში [მაგ., ლამშრია ბედს ი მარაქსუ აბჳქე ისგჳს კიბდონშრისგა ი ლაშდღჳლჳლუ ჯჳრხ დმსგ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:31) „წმინდა მარიამმა ხვაი და ბარაქა გააქროს თქვენს კიღობნებში და მალე გასვენებისთვის გექცეთ (ზედმიწ. – წმინდა მარიამ-ი ზედ-ს და ბარაქა-ს-მცა ა-ზუქ-ებ-ს თქვენს კიღობნ-ებ-ში და ადრე სამარხავიმცა გაქვთ!)!“], სვანური ენის სხვა დიალექტებში ანლაუტისეულ თანხმოვანთა მონაცვლეობას ადგილი არა აქვს.

¹ მსჯელობა იხ. ქვემოთ!

სვანური ენის დანარჩენ დიალექტებში და არც სხვა ქართველურ ენათა სათანადო მასალებში არ ფიქსირდება.

6. **კამთჷრ** (ბქ.)/**კანთჷრ** (ლხმ.) „ლიფი, აზღუდი“ < ზან. (მეგრ.) კანთარი/ყანთარი „ლიფი, ქალის ზედა სამოსი“ < თურქ. **entari** „ქალის კაბა (სახელოებიანი), ღამის პერანგი“ < არაბ. **entari/antari/antar** „ლიფი, კორსეტი; ქალის პერანგი“ (შდრ. ბქ. **კანთჷრ**{ილ} „ჭილეტი“ < ქართ. (რაჭ.) კანთარ-ი „უსახელო, მამაკაცის ჩასაცმელი ჭილეტი“ < მეგრ. კანთარი/ყანთარი „ლიფი, ქალის ზედა სამოსი“).

მეგრული **ყანთარი** (შდრ., ასევე, აფხ. **ა-ყანთარ** „ქალის ზედა უსახელო სამოსი“, რომელიც მეგრულიდან უნდა შეეთვისებინა აფხაზურს), სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ნასესხები ჩანს არაბულიდან (ბუკია 2012:28; ავალიანი, დადიანი 2012:28), სვანურში კი, სავარაუდოდ, მეგრულიდან, მსგავსად მისი ომონიმური წყვილისა **ყანთარი** (< არაბ. **kantar** „სამხრინი სასწორი“) „ლოღარიკი, ცალსასწორი“ (ბუკია, იქვე). სესხების შუალედურ რგოლად ივარაუდება თურქული **kantar**’ი „სასწორი“ (მაგაზანიკი 1945: 312).

როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, ნასესხებმა სიტყვამ მეგრულში ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილება თითქმის არ განიცადა, სვანურში კი სონორ თანხმოვანთა მონაცვლეობითა და პალატალური უმლაუტის (სახელობითი ბრუნვის ნიშნის მოკვეცის შედეგად) საშუალებით მივიღეთ **კამთჷრ/კანთჷრ** ფორმები, რომლებიც სვანური ენის დანარჩენ დიალექტ-კილოკავებში ვერ დავადასტურეთ.

7. **კუბეც** (ბქ.) „მდიდარი, შემლებული, დოვლათიანი (ოჯახი)“ < ზან. (მეგრ.) კუბეცი-ი „ხელმომჭირნე მდიდარი კაცი“ < რუს. **купец** „ვაჭარი, სოვდაგარი“.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მეგრული კუბეც შეთვისებული ჩანს რუსული **купец** „ვაჭარი, სოვდაგარი“ ფორმისაგან დისიმილაციური გამჟღერებითა (**ჰ/ზ**) და სემანტიკური გადააზრინებით (ჯანჯღავა 2018:219). ჩვენი აზრით, სწორედ ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით უნდა შეეთვისებინა ბალსქვემოურს მეგრულისაგან **კუბეც** ლექსემა, თუმცა ჩოლურულ მეტყველებაში

დადასტურებული **კუპეწ** სავარაუდოდ გვიანდელი შემოსული ჩანს რუსული ენიდან, სადაც წინამავალ მკვეთრ თანხმოვანთა (კ და პ) გავლენით განხორციელდა ასიმილაციის პროცესი (რუს. **п** > ჩოლ. **წ** : **კუპეწ**).

8. **კვარწუხ** (ზს.) < ზან. (მეგრ.) კვარწახი „ტყემლის საწებელი (წვენი), – კვარწახი, წო, წუა“ (შდრ., ასევე, კვარწახალა „გაცხარება“, კვარწახულ-ი „მკვახე ნათქვამი“) < ქართ. (იმერ.) კვარწახ-ი „მოთუთული მწიფე ტყემლის წვენი, შესანახად ნადუდი, – წუა“ ფორმისაგან სონორი რ'ს ჩართვით.

სვანურში აუსლაუტისეული ხმოვნის უმლაუტი, როგორც წესი, გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვით. სესხებისას სხვა მნიშვნელოვანი ფონეტიკური პროცესები არ განხორციელებულა.

9. **კინტჳრი** (ზს.)/**კინტჳრი** (ბქ.)/**კინტრ** (ქს.)/**კინტირ** (უშგ.), შდრ. ბზ., ქს. **კიტრ ბოტ.** < ზან. (მეგრ.) კინტირ-ი/კინტჳრი-ი/კინტჳრი-ი¹საგან *ხმოვანთა რედუქციითა* და *თანხმოვნის ჩართვით*, საკუთრივ ზანური ფორმები კი < ქართ. კიტრ-ი „ერთწლოვანი ბოსტნეული მცენარე (გოგრისებრთა ოჯახისა)“ სიტყვისაგან ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესის – *რედუქციის* საშუალებით (შდრ. ქართ. დიალ. კინტრ-ი).

ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი ლექსემის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებიდან ყურადსაღებია ბალსქვემოური **კინტჳრი**, სადაც აუსლაუტისეული ი ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშანია. სვანურ სახელებს კი, როგორც ეს არაერთგზის თქმულა (შანიძე 1957:364; თოფურია 1927:285), წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არავითარი ფორმალური ელემენტი არ გააჩნიათ, ორივე ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც ქართული ენის ხევსურულსა და ინგილოურ დიალექტებში) და, ამდენად, სახელთა უმრავლესობა თანხმოვნისანი ფუძეებით გვხვდება. ცხადია, ბალსქვემოური **კინტჳრი**, მსგავსად ბალსქვემოური **ბურთი** „ბურთი“, **აორი** „ორი“, **სემი** „სამი“, **ზჳმ** „წელიწადი“ და ა. შ. ლექსემებისა (იხ. სალიანი 2005:16), გამოწვევის წარმოდგენს.

შენიშვნა: ბალსზემოური და ქვემოსვანური კიტრ შედარებით ახალი ნასესხები ჩანს ქართულიდან.

10. **ლებია** (ბქ.), შდრ. ბზ., ქს. **ლობიო**, ლშხ. **ლობჳო** < მეგრ. ლებია < ქართ. ლობიო < სომხ. **լոբի** < თურქ. **lobja**.

არ გამოვრიცხავთ ბალსქვემოური სიტყვის მეგრულიდან სესხებას, რაც შეეხება ბალსზემოურ და ქვემოსვანურ ფორმებს, ისინი უდავოდ ქართულიდანაა შეთვისებული.

11. **ლი-პრისდ-ი/ე** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ლი-პრისტ-ე** (ლნტ., ჩოლ.) „მონათვლა“; **ლი-პრისდ-ჴლ/ლი-პრისტ-ჴლ** (ბზ.)/**ლი-პრისდ-ალ/ლი-პრისდ-ჴლ** (ბქ.)/**ლი-პრისდ-ჴლ** (ლშხ., ჩოლ.)/**ლი-პრისტ-ჴლ** (ლნტ.) „ნათლობა“; **ლე-პრისდ-ე** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ლე-პრისდ-ი** (ბქ.)/**ლე-პრისტ-ე** (ლნტ., ჩოლ.) „მოსანათლი“; **ლჴ-პრისდ-ე** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ლჴ-პრისტ-ე** (ლნტ., ჩოლ.) „ნათლული“; **მჴ-პრისდ-ე** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**მჴ-პრისტ-ე** (ლნტ., ჩოლ.) „ნათლული“; **უ-პრისდ-ა** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**უ-პრისტ-ა** (ლნტ., ჩოლ.) „მოუნათლავი“ < ბერძნ. **πρῑοστῑυ** „მეთაურობა, ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა, ზრუნვა, დაცვა...“, შდრ., ასევე, გერმ. **prister** „მღვდელი; ქურუმი“ და ინგლ. **priest** 1. „მღვდელი, ეკლესიის მსახური“, 2. „ქურუმი“. რაც შეეხება **პრისდჴჴ** (ბზ.)/**პრისდაჴ** (ქს.)/**პრისტჴჴ** (ლხმ.) ფორმებს, ისინი < ქართ. პრისტავ-ი < რუს. **пристав** „ბოქაული; ზედამხედველი“.

ჩვენი ვარაუდით, **პრისდჴჴ/პრისდაჴ/პრისტჴჴ** ქართულიდან უნდა ესესხა სვანურს (სადლიანი 2005:120), მაგრამ სვანურში საყოველთაოდ გავრცელებული მონათვლის აღმნიშვნელი ომონიმური ტერმინები – **ლი-პრისდ-ი/ლე-პრისდ-ე/მჴ-პრისდ-ე/უ-პრისდ-ა...**, ელ. გაზდელიანის მოსაზრების თანახმად, შესაძლოა უკავშირდებოდეს ბერძნულ სიტყვას **πρῑοστῑυ** – „მეთაურობა, ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა, ზრუნვა, დაცვა...“. მისთვის საყურადღებოა აგრეთვე გერმ. **Priester** – მღვდელი; ქურუმი და ინგლ. **Priest** – 1. მღვდელი, ეკლესიის მსახური, 2. ქურუმი (1988:70). აღნიშნული სიტყვის ანალიზი მოცემული აქვს მ. ჩუხუასაც. მისი აზრით, „აქ უნდა ჩანდეს ქართულ-მეგრული (← ბერძნ.) **პრისეღ-ი/პირჴსეღ-ი** „ნათლია (**кум**)“ სიტყვა (2000-2003:26). ცხადია, ორივე თვალსაზრისი ყურადსაღებია, თუმცა

კითხვის ნიშნები მაინც რჩება სესხების სავარაუდო რგოლთან დაკავშირებით (!).

12. **მაღაზა** (ბქ.) < ზან. (მეგრ.) მაღაზა „ბელელი, სასიმიინდე, ნალია“ (< ქართ. მაღაზია < რუს. **Магазин** < ბერძ. **μαγαζί**) ფონეტიკურად უცვლელი სახით, ხოლო ზს., ქს. **მაღაზია**, ლნტ. **მაღაძია/მაღაძი** < ქართ. მაღაზია (< რუს. **Магазин** < ბერძ. **μαγαζί**).

13. **მიმთილ** (ზს.)/**მუმთილ** (ლშხ., ჩოლ.)/**მუმეთილ** (ლნტ.) < მეგრ. მუა-ნთილ-ი/მუა-ნთირ-ი/მოა-ნთილ-ი/მოა-ნთირ-ი < ქართ. მამა-მთილ-ი^{საგან} (შდრ. ზს. **ბიძი**) გ. კლიმოვის მიხედვით (Климов 1964:63), ჩვენი თვალსაზრისით კი ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები ერთი მარცვლის რედუქციით. ცხადია, ლენტეხური ფორმა აქაც (**დიმეთილ** ფორმის მსგავსად, იხ. ზემოთ!) ყურადღებას იქცევს სწორედ ინლაუტში ჩართული ე ხმოვნით, რომელიც არც სვანური ენის სხვა დიალექტებში და არც სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

14. **მირცხლ** (ბქ.) „მისხალი, მცირედი; ნატამალი“ < ზან. (მეგრ.) მირცხალი < ძვ. ქართ. მისხალი „წონის ერთეული, – დრამ-ნახევარი“, *გადატ.* „ძალიან მცირე, სულ ცოტა“.

მეგრული *მირცხალ-ი* ქართულიდან ჩანს შეთვისებული დე-ზაფრიკატიზაციის (**ც > ს**) საფუძველზე, **რ** ბგერა კი აშკარად ფონეტიკური დანართია. სვანურმა სწორედ დეზაფრიკატიზებული **მირცხლ** ფორმა შეითვისა ზანურიდან, სადაც აუსლაუტისეული ხმოვნის უმლაუტი სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგია (საღლიანი 2016:424).

15. **მმურთაგა** (ლხმ.) < ზან. (მეგრ.) **მურთაგა/მურთაქა** < ქართ. მურთაქა < არაბ. **mutakā'u**.

ლახამულური საანალიზო ლექსიკური ერთეული, სავარაუდოდ, მეგრული **მურთაგა**^{საგან} უნდა მომდინარეობდეს ხმოვანთა რედუქციით (შდრ., ასევე, მეგრ. **მურთაქა**), რაც შეეხება **მურთაქა** (ზს., ქს.), **მმურთაქა** (ლნტ.) ფორმებს, ისინი < ქართ. მურთაქა < არაბ. **mutakā'u**.

16. **საფტინ** (ზს., ქს.)/**სამტინ** (ბქ.)/**საბტინ** (უშგ.)¹ „შაბათი“ < ზან. (მეგრ.) საბატონ-ი/საბატუნ-ი სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით (*გაფშვინვიერებით – ზ → ფ, ზ/მ თანხმოვან-თმონაცვლეობითა და ხმოვანთა რედუქციით*), რაც შეეხება ზანურ საბატონ-ი/საბატუნ-ის, იგი < ბერძ. **σαββατον**.

17. **ფიტლჲ** (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ფიტლი-ი < ქართ. ფითილა „ბამბის წნული თოფისათვის“ (საბა), – ბამბის პატრუქი < რუს. **Фитиль** „პატრუქი“ < არაბ. **pātilā**, ხოლო ბზ. **ფინთილჲ/ფითილჲ**, ბქ. **ფითილჲ**, ლშხ. **ფინთილაჲ**, ლნტ. **ფინთილჲ**, ლნტ., ჩოლ. **ფითილ** < ქართ. ფითილა²საგან სვანურისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების (*უმლაუტის, ბგერათა ჩართვა-დაკარგვის*) გავლით.

ბალსქვემოურ-მეგრულ ფორმათა დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს, ვინაიდან სვანური ენის დიალექტებიდან მეგრულის გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობა ბალსქვემოურ დიალექტზე, განსაკუთრებით კი ლახამულურზე, როგორც სამეგრელოსთან მოსაზღვრე კილოკავზე.

18. **ჩაჩამეტ** (ზს.) 1. „სახელდახელოდ გამომცხვარი ულამაზო პური“, 2. ბქ. **გადატ**. „უშნო და მეტისმეტი მსუქანი ქალი“ < ზან. (მეგრ.) ჩაჩამუტა/ჩეჩამუტა „თიხის მომცრო კეცი; კეცზე გამომცხვარი ერბო-პური; ლობიანი ჭადი“; **გადატ**. „უნიათო კაცი“ (ო. ქაჯაია, ა. ქობალია) < აფხაზ. **ა-ჩაჩამეტა** „ბლინი (ერბო-პური), ფასალი“ (ბ. ჯანაშია), **а-чачамыта** „ცხვრის ცხიმში გამომცხვარი ბლინები“ (ვ. კასლანძია).

19. **ძაფანჲ** (ბზ., ჩოლ.)/**ძაფანა** (ბქ.)/**ძალფანაჲ** (ლშხ.)/**ძაფანჲ** (ლნტ., ფარ.) „წიწკა“ **ბოტ**. < ზან. (მეგრ.) ძაფანა < ქართ. ზაფრანა 1. „კულტურული მცენარე ზამბახისებრთა ოჯახისა/ნარინჯისფერი სულნელ-სანელებელი“, 2. „ფართოდ გავრცელებული სახელწოდება რამდენიმე ყვითელყვავილიანი მცენარისა, რომელთაც საჭმლის სანელებლად იყენებენ“ < არაბ.-სპარს. **za'farān** (შდრ., ასევე, სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული **ძაფანა** ძირის შემცველი შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ლჲ-**ძფჲნ** (ბქ.)/ლჲ-**ძაფჲნ**

¹ უმგულურში, როგორც ჩანს, უფრო ძველი ფორმაა შემონახული.

(ლნტ.) „წიწაკიანი (ზედმიწ. – ზაფრან-იან-ი)“; ლი-**ძფუნ**-ი (ბქ.)/ლი-**ძაფრან**-ე (ლმზ.) „წიწაკით შეკმაზვა შეჭამანდისა“...).

სესხების პროცესში სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები განხორციელებულა, კერძოდ: ბალსზემოურში გვაქვს უმლაუტი სახელობითი ბრუნვის მორფემის -**ა** ალოფონის წინ, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში დასტურდება უმლაუტი აუსლაუტის ღია მარცვალში, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ამ დიალექტებისათვის; ლაშხურ **ძალფანაა**-ში კი ადგილი აქვს ლ სონორის ჩართვას.

შენიშვნა: რაც შეეხება **ძაფრანჴ** (ბზ.)/**ძაფრანა** (ბქ., ლმზ.)/**ზაფრანა** (ბქ.) ფორმებს, ისინი < ქართ. ზაფრანა/საგან, ასევე, სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით.

20. **ხუნწურა** (ბზ.)/**ხუნწურ** (ბქ.) „სერი, საქონლის გამოსაცნობად ყურზე შეჭრილი ნიშანი“ < ზან. (მეგრ.) ხინწირა/ხუნწურა/ხუნწრა „ცხვარ-თხის სერის ერთ-ერთი სახეობა (ყურზე), – ნიშანი, დაღი, სერი“; **ხუნწურა** „ნიშნის დასმა საქონელზე (ცხენზე)“ < აფხაზ. **а-хуара** „სერი საქონლის ყურზე“ (გვანცელაძე 2019:100; ბუკია 2006:225), შდრ. მეგრ. ჩხოტი, კაკი, სირი, ხვირი...

ბალსზემოური **ხუნწურა** (ფონეტიკურად უცვლელი სახით) და ბალსქვემოური **ხუნწურ** (აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეციტ) შეთვისებული ჩანს მეგრულიდან, მეგრულს კი, როგორც სპეციალური ლიტერატურულიდანაა ცნობილი, ნასესხები აქვს აფხაზურ **а-хуара**-დან, რომელშიც გამოყოფენ ორ ფუძეს: **а-ხ** „თავი“, (**ა**)**წარა** „დასმა“¹ (ბჟანია 1962:75) და მისთ.²

ამრიგად, ზანურის გზით სვანურში შეთვისებული უცხოენოვანი (*ბერძნული, რუსული, თურქული, არაბული, აფხაზური...*) ლექსიკური ერთეულები, სადაც სესხების შუალედური რგოლი ძირითადად მეგრულია, ძალზე საინტერესო აღმოჩნდა როგორც ფონეტიკურ-ფონოლოგიური, ისე სემანტიკური თვალსაზრისითაც. ბუნებრივია, ზოგიერთ საკვლევ ძირ-ფუძესთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები ჩნდება, განსაკუთრებით მათი ამა თუ იმ ენიდან მო-

¹ შდრ. **ა-დამჴა ა-წარა** „დაღის დასმა“.

² საკითხზე მუშაობა გრძელდება!

მდინარეობის შესახებ, თუმცა ძირითადი მასალის შემოსვლის გზები მეტნაკლებად გარკვეულია. ამასთანავე, ნაშრომში შეძლებისდაგვარადაა გათვალისწინებული თითოეულ საანალიზო სიტყვასთან დაკავშირებული ყველა ის მოსაზრება, რაც სპეციალურ ლიტერატურაშია გამოთქმული ქართველ თუ უცხოელ კომპარატივისტთა მიერ.

მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ზანურის (მეგრულ-ლაზურის) გზით სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში შეთვისებული მასალის მეტი წილი ფონეტიკურ-სემანტიკურად სახეცვლილია; ადგილი აქვს შემდეგ ფონეტიკურ პროცესებს: *უმლაუტს*, *ხმოვანთა სიგრძეს*, *რედუქციას*, *გამჟღერებას*, *ბგერათსუბსტიტუციას* და ა. შ., თუმცა პარალელურად ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით ნასესხები ლექსიკური ერთეულებიც საკმაოდ ხელშესახებია.

გამოყენებული ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

ავალიანი, დადიანი 2012 – ლ. ავალიანი, ე. დადიანი, რამდენიმე არაბული ლექსიკური ნასესხობისათვის მეგრულ-ჭანურში, ქართველური მემკვიდრეობა, XVI, ქუთაისი, 2012

ბჟანია 1962 – Ц. Н. Бжания. Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми, 1962

ბუკია 2006 – მ. ბუკია, მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში, თბილისი, 2006

ბუკია 2012 – მ. ბუკია, ქართველურ-ავხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან – V. სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XL, თბილისი, 2012

გაზდელიანი 1988 – ე. გაზდელიანი, ზოგი სვანური რელიგიური ტერმინის წარმომავლობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1988

გეჯუა 2020 – ვ. გეჯუა, მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2020

თოფურია 1927 – ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი, 1927

ჟღენტი 1949 – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2005

საღლიანი 2016 – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 2016

შანიძე 1957 – ა. შანიძე, უძველესი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957

ჩუხუა 2003 – მ. ჩუხუა, ზანიზმები სვანურში, ქართველოლოგიური კრებული, II, თბილისი, 2003

ჭარაია 1918 – ჭარაია, ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ხელნაწერი, ტფილისი, 1918

ჯანჯღავა 2018 – ც. ჯანჯღავა, ნასესხები სიტყვების სემანტიკის ცვლილებათა შესახებ მეგრულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 46, თბილისი, 2018.

ბ) ლექსიკონები

გვანცელაძე 2019 – თ. გვანცელაძე, ქართულ-აფხაზური ლექსიკონი, თბილისი, 2019

დონდუა 2001 – კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

კასლანძია 2005 – В. А. Касландзия, Абхазско-русский словарь, т. II, Сухуми, 2005

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964

ლიპარტელიანი 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოღურული კილო), თბილისი, 1994

მაგაზანიკი 1945 – Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь. Москва, 1945

ნიჟარაძე 2007 – ბ. ნიჟარაძე, ქართულულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

გ) წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

სვან. ენის ქრესტ. 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

აკადემიკოსი ვარლამ თოფურია როგორც სვანური ენის მკვლევარი

„სვანურში დაცული ძველი ყოფისა და წარმართობის ამსახველი უძველესი ლექსიკა და გამოთქმები, არქაული გრამატიკული წყობის გადმონაშთები და მდიდარი ფოლკლორი შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ ქართველ ტომთა ღრმა აზროვნებასა და მაღალ კულტურაზე, ეგევე საფუძველს ქმნის იბერიულ-კავკასიურ და ძველადმოსავლურ ენათა გენეტიური ურთიერთობის საკვანძო საკითხთა გადასაჭრელად. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელიც სვანურის ყოველმხრივ შესწავლას ახლავს. ამ ინტერესით არის გამოწვეული სვანური ენის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის ისტორიულ ასპექტში აღწერის აუცილებლობა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და თარგმნითი თუ

შედარებითი ლექსიკონების შედგენის საჭიროება“, ეს სიტყვები ქართული ლინგვისტური სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფუძემდებელს აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ეკუთვნის, რომელსაც მართლაც რომ ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის სვანური ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში. მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევები (*მონოგრაფიები, სტატიები...*) სწორედ სვანური ენის ფონეტიკისა (*უმლაუტი, რედუქცია, ბგერათმონაცვლეობა, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, აფრიკატიზაცია, დეზაფრიკატიზაცია და ა. შ.*) და გრამატიკის არაერთ საკვანძო საკითხს (*სახელის ბრუნება, ზმნის უღვლილება...*) შეეხება. ამ ნაშრომებში ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზის გამოყენებით შესწავლილ-გაანალიზებულია სხვადასხვა ფონეტიკური თუ გრამატიკული საკითხები, რიც საფუძველზეც აღნიშნული ენის გრამატიკას მეცნიერულად ჩამოყალიბებული სახე მიეცა.

როგორც ცნობილია, უმდიდრესი ლექსიკისა და გრამატიკული წყობის მქონე სვანური ენით, სვანების ძველთაძველ ტრადიციებთან თუ წეს-ჩვეულებებთან ერთად ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაინტერესდნენ მკვლევრები არა მხოლოდ ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. სვანური ენისადმი ესოდენ დიდი ინტერესი კი, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას აზრით, „გამოწვეულია მისი განსაკუთრებული ღირებულებით ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისა და ფუძე-ენის აგებულების რეკონსტრუქციისათვის. სვანურში დაცული არქაიზმები და მოგვიანებით მიღებული ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, სტრუქტურული სხვაობანი, დიალექტური თავისებურებანი, სხვა ენათა სუბსტრატის არსებობა და დიალექტთა ნარეობა ხელშესახებ მასალას იძლევა კერძო და ზოგადენათმეცნიერული საკითხების წამოსაყენებლად და გადასაჭრელად. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და გასაშუქებელი“. ვფიქრობთ, მისი ეს სიტყვები დღესაც ძალზე აქტუალურია, მისი შრომები კი ერთგვარი გზამკვლევი სვანური ენის ფონეტიკისა და გრამატიკის არაერთი კარდინალური საკითხის კვლევის საქმეში.

ვარლამ თოფურიამ სვანური ენის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის მეცნიერული შესწავლა დაიწყო სახელთა დაბოლოების ისტორიის გარკვევით („სახელთა დაბოლოე-

ბის ისტორიისათვის სვანურში“, 1927) და ნასესხებ და ნაწარმოებ სიტყვებზე, ასევე სვანურ პოეზიაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა. შემდგომი ნაშრომი, რომელიც სვანური ენის ფონეტიკური სისტემის მეტად საინტერესო და პრობლემურ საკითხად რჩება დღემდე, გახლდათ უმლაუტი, რომელსაც საგანგებოდ მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი „კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“ (1928). უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ნაშრომებში სრულიად ახლებურად იყო დასმული და გაშუქებული სვანური ენის მორფოლოგიისა და ფონეტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ფუნდამენტური ნაშრომი „სვანური ენა. I. ზმნა“, რომლის პირველი გამოცემაც 1931 წელს გამოვიდა, ხოლო მონოგრაფიის მეორე გამოცემა – 1967 წელს. ნაშრომში, რომელმაც ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა, სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემთა გათვალისწინებით სვანური ზმნის გამოწვლილვითი და საფუძვლიანი ანალიზია წარმოდგენილი, ზმნისა, რომლის სირთულეზეც თავად ავტორი პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „ქართულ-მეგრულ ზმნასთან შედარებით სვანური ზმნა უფრო რთულია, უკანასკნელს მეტი გააჩნია: S; და Oe ფორმები (§§ 1, 4), მყოფად-უსრული და -სრული (§§ 30, 31), თურმეობითი I და II (§§ 34, 35) სიტყვათწარმოების ზოგი მომენტი (§ 63) და სხვ.“ (გვ. XIX). ცხადია, ყველა ეს განსხვავებული (თუ ქართულ-მეგრულთან საერთო) ფორმა (*ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, მყოფადის ორგვარი წარმოება, დეფექტური ზმნები* და ა. შ.) სვანური ენის დიდძალი დიალექტოლოგიური სათანადო მასალების გათვალისწინებით სათანადოდ აისახა წარმოდგენილ ნაშრომში.

ეს წიგნი გახლდათ საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა სვანურის შესწავლის საქმეში, თუმცა მას არც ზმნასთან დაკავშირებული საკითხების ამომწურავად განხილვის შემდგომ შეუწყვეტია სვანური ენის მეცნიერული შესწავლა, რაზეც მეტყველებს სვანურისადმი მიძღვნილი არაერთი ისეთი ნაშრომი, როგორიცაა: „რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში“ (თსუ შრომები, XVIII, 1941), „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“ (სმამ, ტ. V, N 3, 1944) და „გარდამავალი დიალექტის საკი-

თხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით“ (თსუ შრომები, ტ. 114, 1965). გარდა ამისა, სვანური ენის მორფოლოგიისა და ფონეტიკის მრავალი საყურადღებო საკითხია განხილული აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ქართველური ენების შესახებ დაწერილ სხვადასხვა სახის გამოკვლევებში: „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“, რომელიც ხუთ ნაწილად გამოიცა („ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა“, I, 1926; „ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა“, II, 1930; „**ჟ** და **ხ** სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში“, III, 1927; „ბუნებრივი კომპლექსებისათვის“, IV, 1937; „**ვ** სონანტის გადასვლა **ღვ**, **გვ** და **ქვ**-დ“, V, 1941), „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში“, „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“ (1. „**ნე**-, **ნი**-, **ნა**- პრეფიქსებისათვის“, 1938; 2. „-**ედ**-, **-ურ**-, **რა**ფიქსებისათვის“, 1940; 3. „-**ენ**-, **მ**- -**არ**-, **სე**-, **-აქა** აფიქსებისათვის“, 1940; 4. „ხმოვანთავსართიანი სახელები“, 1947; 5. „კნინობითი ქართველურ ენებში“, 1946; 6. „კომპოზიტი“, 1959), „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“, „**ნ** და **ს** ფენებისათვის ქართველურ ენებში“ (მოხსენების თეზისები), „გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში“, „აფრიკატთა ცვლისა და შესატყვისობის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში“, „გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში“, „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, „უკანაენისმიერ თანხმოვანთა ცვლის პროცესებისათვის ქართველურ ენებში“, „ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები“ და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფონეტიკა-მორფოლოგიის საკვანძო საკითხების პარალელურად მკვლევარი თავის ცნობილ ნაშრომებში განიხილავს სვანური ენის სინტაქსის საკითხებსაც, რომელთაგანაც ზოგიერთი საკითხი იმ დროისათვის სათანადოდ შესწავლილი არ იყო სამეცნიერო ლიტერატურაში.

დიდი ვარლამ თოფურიას ღვაწლი სვანური ტექსტოლოგიური მასალების შეკრებისა და გამოცემის საქმეშიც. მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა, რომელიც ამ ენის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით სამეცნიერო მივლინებით იყო გაგზავნილი სვანეთში, მიუხედავად ხშირად არახელსაყრელი პირობებისა, როგორც თავად წერს „სვანური ზმნის“ წინასიტყვაობაში, შეძლო საკმარისი სვანური ტექსტებისა და ქართულიდან ნათარგმნი („პალიასტომის

ტბა“, „ელისო“ და სხვ.) მოთხრობების შეკრება. შემდგომ კი ავ. შანიძესთან ერთად დააარსა სვანური ტექსტების გამოცემის სერია და გამოიცა შემდეგი წიგნები: „სვანური პოეზია“. I. (1939); „სვანური პროზაული ტექსტები“ (I, ბალსზემოური კილო 1939; II, ბალსქვემოური კილო, 1957; III, ლენტეხური კილო, 1967 და IV. ლაშხური კილო, 1979), რომელთა საგრძნობი ნაწილი სწორედ ვარლამ თოფურიას მიერაა ჩაწერილი და რედაქტირებული.

ამასთანავე განუზომელია მკვლევრის ღვაწლი სვანურ ლექსიკოგრაფიაშიც, რაზეც მოწმობს მისი თანაავტორობით მისი გარდაცვალების შემდეგ (2000 წ.) არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული „სვანური ლექსიკონი“. აღსანიშნავია, რომ სწორედ ვარლამ თოფურიამ შეიმუშავა სვანური სალექსიკონო მასალის მოპოვებისა და სამტომეული თარგმნითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები. მისი ხელმძღვანელობით შეგროვდა და სათანადო მეცნიერული კვალიფიკაცია მიეცა დიდძალ სვანურ დიალექტოლოგიურ მასალას – 67000-ზე მეტ სალექსიკონო ერთეულს. ამავდარი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ კი მასწავლებლის მიერ წამოწყებული უაღრესად რთული და ძალზე შრომატევადი საქმე გააგრძელა პროფ. მ. ქალდანმა, თუმცა ლექსიკონის ბოლომდე მიყვანა მასაც არ დასცალდა.

ვარლამ თოფურიას ერთ-ერთი ბოლოდროინდელი შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომია „სვანური ენა“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში – „საბჭოთა კავშირის ხალხთა ენები“ (ტ. IV, მოსკოვი, 1967). ამ ნაშრომში მოცემულია სვანურის შესწავლის მოკლე ისტორია, განხილულია სვანური ენის დიალექტები და ამ დიალექტების გამოყოფის მთავარი ფონეტიკური საფუძველი. ფონეტიკის საკითხებთან ერთად გაანალიზებულია სახელისა და ზმნის მორფოლოგია, ფორმაუცვლელი და დამხმარე სიტყვები, ასევე სინტაქსის ესა თუ ის საკითხი (*წინადადების ტიპები, სიტყვათა შეკავშირება, მარტივი წინადადების წევრები, რთული წინადადება* და ა. შ.).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეცნიერის პირად არქივში შენახული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ და კავკასიურ ენათა განყოფილებების სტუდენტ-ასპირანტებისათვის მომზადებული „სვანური ენის სახელმძღვანელო (*გრამატიკული მიმოხილვა, საუბრები, სა-*

ვარჯიშობები, ტექსტები და მათსავე საფუძველზე შედგენილი მცირე ლექსიკონი“, რომლის დასრულებასა და გამოცემას ვერ მოესწრო თავად ავტორი. ამ წიგნის დასრულებასა და კორექტირებაზე, როგორც ცნობილია, დიდხანს მუშაობდა ცნობილი კავკასიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. თოფურია, თუმცა სახელმძღვანელოს პუბლიკაცია ვერც მან მოასწრო და საბოლოოდ წიგნის გამოცემის მთელი სიმძიმე თავის მოწაფეებთან ერთად იტვირთა პროფ. იზ. ჩანტლაძემ, რომლის უდიდესი ძალისხმევით 2008 წელს გამოიცა.

ფასდაუდებელია ღვაწლმოსილი მეცნიერის დანატოვარი – მდიდარი და მრავალფეროვანი მეცნიერული მემკვიდრეობა, ხოლო სვანური ენის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის კვლევა კი დღემდე წარმოუდგენელია მისი ამ მეცნიერული მემკვიდრეობის (მონოგრაფიების, სტატიების და მისთ.) გათვალისწინების გარეშე.

მ ა მ ი ა ფ ა ლ ა ვ ა

ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნის ერთი შემთხვევა ტაოურში

ტაოურ დიალექტში ხშირია, როდესაც უუ ხმოვანთკომპლექსის ნაცვლად ისმის უ. მოვიყვანთ მაგალითებს:

აუ>უუ>უ: დაუბუგებია>დუუბუგებია> დუუბუგებია:

[ბიჰს]... წყალი **დუგუბებია** (ხევკვი).

ანალოგიური ნიმუშებია:

უთქვიან [რუსებს] აქოვრობაში ხელთ არ **გურევთ** სულ (ელიასკევი); მასისზე თეთრი რამ **დუნახია** (დუგური); აქედამ ასკერი **გუგზანია**...(ელიასკევი); ხალხ ფაქა **დუჯერია** (დუგური); [გველეშაპს] ხალხი **ჩუნთქია** (ელიასკევი)...

იუ>უუ>უ: მიუცემია>მუუცემია>მუცემია:

[გოგო] ... არ **მუცემია** ერთ წელ... (ხევკვი).

ოუ>უუ>უ: მოუკტუნებია>მუუკტუნებია>მუკტუნებია:

...დეკაცები **მუკტუნებია** (დუგური).

ანალოგიური მაგალითებია:

რუ **მუყვანია** (დუგური); [ყველი] **მუჭირებდეს**, გაზრებოდეს (ელიასწვევი); [თამარას რუ] ... იმ თიდან **მუყვანია** (ფიშნარწვევი); შიშა **მუზიდია**... კილდეზე [ბიჭს] (ელიასწვევი)...

ელ>ულ>უ: შეუმშებენ>შუმშებენ>შუმშებენ:

ამას აღარ **შუმშებენ** ტბაში (ხევეკი).

ანალოგიურია:

იმ ქეშიშის ბიჭსა **შუხედნია** (ხევეკი); ვედრას **შუდგამ** (ელიასწვევი)...

დასტურდება ხმოვანთცვლილების უფრო რთული შემთხვევებიც: **Vუ>ულ>უ**:

გამოუვლიან>გამულუვლიან>გუმულუვლიან>გუმულვლიან:

ერთი აქ რუსებ **გუმულვლიან** (ელიასწვევი)...

შემოუქცევენ>შემულუქცევენ>შუმულუქცევენ>შუმულქცევენ:

[ძროხებს]... ჩობანს **შუმულქცევენ**... (ქუაბაგი)...

გადმოუვლიან>გადმულუვლიან>გადმულვლიან:

... მერე აქ **გადმულვლიან** დედესა... (ელიასწვევი)...

ჩამოუყვანია>ჩამულუყვანია>ჩუმულუყვანია>ჩუმულყვანია:

ერთ კაც უთხოვნია ისა, **ჩუმულყვანია** (ელიასწვევი).

შემოუყვები>შემულუყვები>შუმულუყვები>შუმულყვები:

იქიდან **შუმულყვები**, გომოხვალ... (ხევეკი).

გადაუყრიან>გადმულყრიან>გულდუყრიან>გულდუყრიან:

[რუსებს] ... კაცები **გულდუყრიან**... ქომოთკე (ქუაბაგი).

გადაუწურო>გადმულწური>გულდუწურო>გულდუწურო:

წყალი'ნა **გულდუწურო** (სავრიათი).

წამოუღიან>წამულღიან>წუმულღიან>წუმულღიან:

[თოვლი] ... **წუმულღიან**, დამდნარა (დუგური).

გამოუღეს>გამულღეს>გუმულღეს>გუმულღეს:

...ხელში რაცხა ქონდეს, **გუმულღეს**, ქოხები გახრაკეს (დუგური).

გადმოუხედია>გადმულუხედია>გულდმულუხედია>გულდმულხედია:

[ხეზრეთი აღის] ... იქიდან **გულდმულხედია** (ელიასწვევი)...

აღვნიშნავთ, რომ ტაოელთა მეტყველებაში პროცესი ყოველთვის კომპლექსის გამარტივებით არ სრულდება, ისმის უუც:

ორმოცი წლის უკან დედებს აჟდაა **დუუნახიან** (ელიასკევი); აქ ქვაა **დუურქმიან** (ქუაზაგი); ...წყალი **მუუყვანიან** (ელიასკევი); სა-ვრიათ წყალი თამარას **მუუყვანია** (სავრიათი)...

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, ვვიქრობ, საკმარისია. ტაოურში არსებული ვითარება ნათელია.

ყურადღებას მივაქცევ, რომ სხვა სამხრულ კილოებში – აჭარულში, შავშურსა და კლარჯულში რთული ზმნისწინების შემთხვევაში უ'ს შემცველ ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნა სრულდება მეორე საფეხურზე: **წამოულიან>წამუღიან...** უცხოა – **წუმუღიან**, ეს უკანასკნელი ოდენ ტაოურის მახასიათებელია.

ბუნებრივია დაისვას კითხვა: როგორ ავხსნათ ტაოურში დადასტურებული **უუ>უ**?

ვიდრე კითხვას ვუპასუხებდეთ, ყურადღებას მივაქცევ ქართულ ენათმეცნიერებაში გამოთქმულ რამდენიმე მოსაზრებას, კერძოდ:

ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნას აჭარულში გასული საუკუნის 30-იან წლებში სწავლობდა ჯ. ნოღაიდელი. მისი დაკვირვებით, „სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი ერთნაირი ხმოვანი ერთმანეთს ერწყმის და ისმის **დაყოვნებული გრძელი ხმოვანი**, რაც საერთოდ ახასიათებს აჭარულს” (ხაზი ჩვენია – მ.ფ.) და მოიყვანს მაგალითებს:

ა + უ> მ: მხსნა, მშვა...

და+უ>დმ: დმძახა, დმჟდა...

გა+უ>გმ: გმგზანა, გმთხარა...

ჩა+უ>ჩმ: ჩმწყო, ჩმგდია...

წა+უ>წმ: წმღო, წმთლეძია...

შე+უ>შმ: შმდგა, შმკრა...¹

¹ ყურადღებას მივაქცევ ზოტელთა (ღორჯომის თემიდან გადასახლებული მოსახლეობა) მეტყველებაში დადასტურებულ შემთხვევებს, კერძოდ, მორფმათა მიჯნაზე ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნის პროცესი აქ განსხვავებულად წასულა, ვიდრე ზემოთაა აღწერილი:

უუ>ოუ>ოგ: შეურიო>შოურიო>შოვრიო: ...პაწა პირპილაძნა **შოვრიო**;

აუ>ოუ>ოგ: დაუგო>დოუგო>დოგგო: [ბავშვს]... რაცხა'ნა **დოგგო**;

ოუ>ოგ: მოუყვანეს>მოყვანეს: ჩემ ხალაშვილს ისე **მოყვანეს** ქალი;

ზმნურ ფუძეზე რთული ზმნისწინების დართვისას პროცესი ასე განვითარდება:

მო+უ>მ: მმტანა, მმცდა...

ე.წ. გრძელი უ'ს გვერდით აჭარულში მკვლევარი ხედავს,

ა. გრძელ ა'ს: აა>: გაატანა>გმტანა, გააკეთა>გმკეთა...

ბ. გრძელ ე'ს: ეე>მ: შეეწია>შმწია (ნოლაიდელი, 1960:13).

შ. ძიმიგურმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ხმოვანთვომ-პლექსთა ცვლილებებს ქართულ კილოებსა და ზანურში. ამ შრომაში ავტორი, ჯ. ნოლაიდელზე დაყრდნობით (თუმცა ცნობილია, რომ თავადაც აკვირდებოდა ქობულეთურ მეტყველებას), აღნიშნავს, რომ აჭარულში ხმოვანთვომპლექსთა ცვლილება მთავრდება გრძელი ხმოვნის წარმოქმნით:

ა+უ>ო+უ>უ+უ>მ;

ა+ი>ე+ი>ი+ი>მ (ძიმიგური, 1946:26-27).

შ. ძიმიგურის აზრით, „კომპლექსების სახეცვლილებას მიყვანართ ერთხმოვნობამდის. რეგრესული დამსგავსების შემდეგ ორი ერთნაირი ხმოვანი ერთ გრძელ ხმოვანში გადაიზრდება“ (ძიმიგური, 1946:30). ბარემ აღვნიშნავ, რომ ე+ი აჭარულსა და სხვა სამხრულ კილოებშიც გვაძლევს არა იი'ს და აქედან მ'ს, არამედ ეა'ს (იხ. ფალავა, 2003:206).

დაკვირვება, რომ ეი>იი>ი'ს გაიზიარა შ. ნიჟარაძემ 1957 წელს გამოცემულ შრომაში (ნიჟარაძე, 1957:11), საილუსტრაციო მასალებიც კი შ. ძიმიგურის შრომიდან დაუმოწმებია. 1961 წელს დასტამბულ მონოგრაფიაში კი ექვქვემ დააყენა, და სამართლიანადაც, ხმოვანთვომპლექსთა გარდაქმნის აღნიშნული შემთხვევა (იხ. ნიჟარაძე, 1961:23). მოგვიანებით შ. ნიჟარაძე კვლავ დაუბრუნდა საკითხს და კვლავ გაიზიარა შ. ძიმიგურის ზემოაღნიშნული მოსაზრება. მოვუსმინოთ მკვლევარს: „მ.მ.მ.მ მიღებულია ორი იდენტური ხმოვნის შერწყმის შედეგად... აქ ბუნებრივი, ანუ ისტორიული წარმოშობის გრძელი ხმოვნები არა გვაქვს, არამედ ხმოვანთა პოზიციური სიგრძე მიღებულია ორი ერთნაირი ხმოვნის გაერთიანებით. **ხმოვნის პოზიციური სიგრძის წარმოშობის საფუძველია ასიმილაცია**“ (ზაზი ავტორისაა - მ.ფ.) და მოყვანილია ნიმუშები: მმმისი <მამამისი, მფერო<არაფერი, დმწერა<დაუწერა, რმყავ<რა უყავ (საეჭვოა აჭარულში

გადაუბერავ>გადოუბერავ>გოდოუბერავ>გოდოვბერავ: ჩოკვითხავ და გოდოვბერავ სამჯერ; შდრ. ციცას წინ გოდოვდგებოდენ...

ოუ კომპლექსი გვაძლევს ოვ'ს, შესაძლებელია, აქ უმარცვლო უ'ც ისმოდეს.

ასეთი ფორმის არსებობა - მ.ფ.)... მკვლევარი მსჯელობს გრძელი ი'ს მიღების გზაზე, მოიყვანს შ. ძიმიგურის მოსაზრებას მაგალითებითურთ და დაუმატებს: „გრძელი ი'ს მიღების დასახელებულ პროცესს უნდა დაემატოს სხვა გზაც, სახელდობრ, იგი ვითარდება სიტყვის ფუძეში რ თანხმოვნის გაუჩინარების შედეგად... ს[რ]ცხვილი, ყუ[რ]ისძ[რ]ში... (ნიჟარაძე, 1975:66-67). ვფიქრობთ, რ'ს დაკარგვის შედეგად (აჭარულსა და სხვა სამხრულ კილოებში, ასევე ს'ს დაკარგვაც იწვევს წინამავალი ხმოვნის დაგრძელებას: ი' კაცი) წინამავალი ხმოვნის დაგრძელება (სამაგიერო სიგრძე) და ასიმილაციით მიღებული ხმოვანთკომპლექსებიდან ე.წ. გრძელი ხმოვნის მიღება სხვადასხვა მოვლენაა და მათი ერთ კონტექსტში განხილვა არაა მართებული. მეორეცაა და რ'ს დაკარგვის შემდეგ გრძელდება (გრძლად ისმის) არა მარტო ი, არამედ ყველა ხმოვანი, რომელიც სიტყვაში პოზიციურად რ'ს წინ აღმოჩნდება (დაწვრილებით იხ. ფალავა, 2002:189-198).

შენიშვნა: აღვნიშნავთ, რომ დიალექტოლოგიური მასალის ჩამწერი შექმნილი ტრადიციით „ხედავენ“ გრძელ ხმოვნებს და აფიქსირებენ კიდევ (იხ. ფალავა, 2003:208-214). სანიმუშოდ მოვიყვანთ ზოგიერთ მასალას:

მნიშვნელოვანია თვალი გადავავლოთ, რა მდგომარეობა გვაქვს ე.წ. გრძელი ხმოვნების აღნიშვნის თვალსაზრისით ჩაწერილ დიალექტოლოგიურ მასალებში. წინასწარ ვიტყვით, რომ ჩაწერილ ტექსტებში სიჭრელეა, მკვლევართა ერთი ნაწილი აფიქსირებს გრძელ ხმოვნებს, მეორე – არა.

ჩამწერთ აღვნიშნავთ მ:

აჭარული: შვიდ ნახშირ **ჩღღებენ** შიან (ნიჟ., 1957.:165); ძალო, ჭიშკარი რომ **გმფიათე**, ვერ დმძრავ?! (იქვე); სხვების **დმზრუნა** სახში (ბსკიფს 26, 16); გააგზავნა **მმმისის** სახში (ჭვანა. ბსკიფს 18, 40). **შმრცხვინა** ღმერთმა შენისანა ვაჟიკაცი (ძიძ. 386); ქალი **წინმდექ** წევდა (ბსკიფს 26, 166)... პატარა ირმის ტყავში **გმხვია** (ბსკიფს 26, 44) ფადიშამ ეს გოგო უნდანა **გათხვოს** (ბსკიფს 8, 1)...

მაჭახელი: თექრენ მისცეს, მესამეთაც **გმქნია** და ბიჭმა ხელით დეჟირა (ბსკიფს 66,54); გოგომ კიდევ **გმქნია** ის ვაშლი (იქვე)...

ზოგჯერ ჩამწერი **A**'ს იქაც ვარაუდობს, სადაც მოსალოდნელი არაა: იქიდან წევდა მოსამსახურე **ხიზმეთქერი** (ბსკიფს 8, 33). აქ

ხიზმეთქარის მეორე ნაწილი **ქარი** ჩამწერმა, ჩანს, **ქარ**ში (<ქიარი, - მოგება) აურია.

ჩაწერილ ტექსტებში ხშირია შემთხვევები, როცა **აა** კომპლექსია აღნიშნული.

აქარული: ისე ფეხ არ **გაადგამდა** ჰადმე, თავის საცოლოს რომ არ შევითხოვოდა (ნიჟ. 1957.: 183); ქეჩხოს **გააგებდენ** და იმაზე დაწვებოდენ (იქვე, 150); ოჯალის გვერდით მუსანდარას **ჩაატანდენ** (იქვე)...

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში გრძელი ხმოვნები არ დაუფიქსირებია შ. ფუტკარამეს: რასაც იტყოდა... **გააგერჩეკებდა** (ჩვ. ქართ. 11);... ზედან წყალი **დაასხი**, ისიც **ჩააყარე**, გამუშურიე კოვზით (იქვე 21)...

გრძელი **ა** არაა დაფიქსირებული ნ. მარის მიერ ჩაწერილ იმერხეულ ტექსტებში:

მაწონს რომ **გააკეთებენ**, იმას შედღობენ (ქდ 379).

კლარჯული: ახლანა **გაათხვოს** ის გერი (მც. 1998.: 320).

მასალის ჩამწერმა ზოგჯერ არ იცის როდის დაწეროს **აა** და როდის **჊**, ამიტომაც ერთმანეთის გვერდით უხმარია ორივე დაწერილობა:

ოქრომს ბეჭედზეო სახელი გვარი **დააწერიო**. ერთი ზანდული **შეკერიე**, **გააკეთეო**, მამა ებნევა გოგოს (ბსკიფს 26, 19).

სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი კუთხის მეტყველებისათვის დამახასიათებელია სიტყვის ბოლო ხმოვნის დაგრძელება. ზოგიერთ ჩამწერს ასეთი ხმოვანი გრძელ ხმოვნად მიუჩნევია და აღუნიშნავს კიდევ: ძველათო, ...**მატერი჊ს** გაჭირვება იყოო და ლერწამას დავჩედიტო და მისი დრო რომ **შევიდოდ჊**, გავწმენდითო (მსშხი II2, 24); პირველათ რომ შენობას დეიწყეფ და ქვას **დად჊ფ**, იმას ჩვენ ვეტყვით ბინას (მსშხი III, 254; ...ომ **გეიმსებ჊**, მევტან და გიდელში ჩავყრი (იქვე, 68)...

შ. ძიმიგურს ასეთ შემთხვევაში **აა** დაუწერია: მეორე თვეზე რომ **მიუხუაალ**, კტარი არ დაგხთება (ძიმ., 384).

ვფიქრობთ, აქ ხმოვნის დაგრძელება ინტონაციის მოქმედების შედეგია და ჩაწერისას უნდა აღინიშნოს **ა', ე', ი', ო' უ'** და არა **჊, ჊, ჊** ან **აა, ეე, იი, ოო, უუ**.

დიალექტურ ტექსტებში აღნიშნულია **჊**, თუმცა არა ყოველთვის.

მაგალითები: **დღარჩეს'ნა** ეს ქალი (ბსკიფს 8,163); იყო ერთი ბე-გი, რომელსაც ცოლი, თქვენდა იმად, **გარდღცვალა** (ბსკიფს 7, 27)...

ჩანაწერებში დაფიქსირებულია **ეე**: მაყრებს **მეესალმებიან** (?), მიიპატიყებენ სტოლზე (ბსკიფს 29, 23); **წამეედვა** თემტზე კაბის ბოლო (ღორჯომი); **შეეკითხა** ერთი აფხანაკი (ქდ. 404)...

ზოგჯერ **ჲ** და **ეე** ერთ წინადადებაშიც გვხვდება: მეფეს უნდოდა, რომ ეს გოგვები ყველას **გმთხოვებია** და მიეცა იმფერი კაცის-თვინ, რომელიც მას **შეეფერებოდა** (ჩხუტუნეთი. ბსკიფს 49,82)..

ჩანაწერებში დაუფიქსირებიათ **ჲ**:

მამას უთხრობია შვილისთვინ, შენაო, სამი თვეა **დღარები** და მეოთხე თვეა მოხვედიო (ბსკიფს 6, 20); (ბავშვს)... მერე **გადღყვანებენ** აკვანში (ბსკიფს 29, 7); ეს **ეკლესჲს** მასალა გადმოტანილი ყოფილა თენარადან... (ბსკიფს 8,71)...

ჩანაწერებში გვხვდება **იი**, ბუნებრივი კომპლექსიც: ჩემს ქობ-ში სად **მიიყვანება** ამფერი ქალიო (ბსკიფს 7,13). მეფე დიდი პატი-ვით **მიიღებს** (იქვე, 29)...

სამხრული კილოების მასალებში მრავლად გვხვდება **ჲ||უუ**. უნდა ითქვას, რომ არავითარი წესი **ჲ**'სა და **უუ**'ს ჩაწერისას დაცული არაა.

ამ კლავებს პირს **ამღღეფ...** და შეკვრავ (მსშხი I, 419); ახლა სოფლის მიწები კოლექტივმა **დნრიგა** ხალხს (ქდ. 396); (ქორ-ხუსეი-ნი) ... **გუდღსახლებიან** თურქეთ და იქ **დღმარჯვან** (ნიჟ. 1961.: 75)...

აჭმევ, - ფურცელი ჟოლის **დღყრი** (ბსკიფს 67, 2)

ჩაწერილია **უუ**: მეც ისე გევეთხვე, ქმარს არ **დუუნახავარ** (ბსკიფს 27, 69); სამჯერ დაარტყა ყამჩი და **გუდღუუბტა** შიგნით (ბსკიფს 60, 39); იყდაილმა მიექნია კუდი და **გუუპარა**, **ჩუუქრო** ცე-ცხლი ფენერში (ბსკიფს 5, 2)...

გვხვდება შემთხვევები, როცა ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერ-თსა და იმავე პოზიციაში ჩაუწერიათ **ჲ** და **უუ**.

...ღურნეს **მღჩემეფ** ბორბალზე, მე(რ)ე **გამუუშვებ** წყალს (მსშხი III, 258)...

ზოგჯერ ჩამწერთ ე.წ. გრძელი **უ** იქაც შეუნიშნავთ, სადაც არ შეიძლებაოდა ყოფილიყო:

იქ **რმმ** ბრძოლა მომხდარა, სამ დღე და ღამეს სისხლი დენა არ შეწყვეტილა (ბსკიფს 20,2); **რმმ** მისულა ტყეში უნახავს 14-15 წლის ახალგაზრდა (იქვე)...

ასეთი მდგომარეობაა ჩაწერილ დიალექტოლოგიურ მასალებში...

ე.წ. გრძელი ხმოვნები აჭარულსა და სხვა სამხრულ კილოებში ხელოვნურია და არ აქვს ფონეტიკური საფუძველი.

დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს: რა კვალიფიკაცია უნდა მივცეთ ტაოურში ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნის საბოლოო შედეგს (უუ>უ)? ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ხმოვნის **დისიმილაციურ დაკარგვასთან**, სხვაგვარად, კომპლექსში ორი იდენტური ხმოვნიდან (უუ) ერთი იკარგება. დაკარგვის საფუძველი კი – დისიმილაციაა.

გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებანი

ბსკიფს – ბათუმის ტბელ აზუსერისძის (ნ. ბერძენიშვილის) სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდები, საქმე

მ.ც. – მერი ცინცაძე, აჭარული ტექსტები. ქესს, VII, 1998.

მსშხი – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის

ნიჟ. – შოთა ნიჟარაძე

ნიჟარაძე 1957 – შოთა ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი.

ნიჟარაძე 1961 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი.

ნიჟარაძე 1975 – შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი.

ნოლაიდელი 1960 – ჯემალ ნოლაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი.

ფაღავა 2002 – მამია ფაღავა, რ'ს დაკარგვა სამხრულ კილოებში. ბსუ კრებული, III, ბათუმი.

ფაღავა 2003 – მამია ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა (დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი), ბათუმი.

ქდ – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, 1961.

ჩგ. ქართ. – შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.

ძიძ. – შოთა ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბ. 1974.

ძიძიგური 1946 – შოთა ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურ-ში. იკე, I, თბ.

ჭ ა ბ უ კ ი ქ ი რ ი ა

არსებითი სახელის ბრუნების პარადიგმული მოდელები მეგრულში

ბრუნების ტიპების დადგენა არსებული განსხვავებული პარადიგმების დადგენას გულისხმობს. **იმდენი ტიპი არსებობს, რამდენი განსხვავებული პარადიგმაც გვაქვს.**

ქართულში ბრუნების ტიპებად სახელთა კლასიფიცირებას ფუძისა და ბრუნვის აფიქსთა ურთიერთმოქმედების წესები ედება საფუძვლად(იხ.: ჩიქობავა, 1998; შანიძე, 1980; კვაჭაძე, ...).

განსხვავებული (უნიკალური) მოდელი შეიძლება ერთმა ფორმამ შექმნას. ამის მაგალითია ქართ. **დრო**, რომელიც ნათესაობით-მოქმედებითში გვხვდება **დრო-ის/დრო-ით** ფორმებით და ამით განსხვავდება სხვა **ო-ფუძიანი** ფორმებისაგან; უნიკალური მოდელია **ღვინო**, რომელსაც ამავე ბრუნვებში აქვს **ღვინ-ის/ღვინ-ით** ფორმები: შდრ.*ნათ.-მოქმ.*: **ოქრო-ს/ოქრო-თი**.

მეორე მხრივ, ცხადია, შესაძლოა ამა თუ იმ მოდელში რამდენიმე, რამდენიმე ათეული, ათასობით ან ათიათასობით ფორმა იყოს წარმოდგენილი: რაოდენობა ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს. **მთავარია დადასტურდეს ფორმაცვალების უნიკალური ვერსია.** მოდელში, რომელსაც პირობითად შეიძლება დავარქვათ **კაც-ი** მოდე-

ლი, წარმოდგენილი იქნება ფორმები: **სახლი, ბავშვი, კერძი, თაფლი, სხვენი...** ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მოდელი მოიცავს **თანხმო-ვანფუძიანფუძეუკუმშველ საზოგადოსახელებს**.

არის თუ არა მხოლოდ მორფოლოგიური ფაქტორების გა-თვალისწინება საკმარისი იმისათვის, რომ **სრულად** მოვიცვათ არსე-ბით სახელთა ფორმაცვალების ყველა შესაძლო გზა და შემთხვევა?

რა თქმა უნდა, არა, – და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

არ არის საკმარისი იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში ყურადღე-ბის მიღმა რჩება ისეთი წმინდა მორფოლოგიური ხასიათის თავისე-ბურებები, როგორიცაა, თუნდაც **საკუთარი სახელებისთვის** დამახა-სიათებელი ფორმაცვალება, – მაგალითად, ის, რომ საკუთარ სახე-ლებს მრავლობითი რიცხვის ფორმები არ გააჩნიათ, სახელობით-მო-თხრობით-წოდებითის საკითხი და ა.შ. მხოლოდ ამ ნიუანსების გამოც ისინი ბრუნების განსხვავებულ პარადიგმას ქმნიან¹.

სახელებში ცალკე უნდა გამოიყოს არსებითი სახელები, სხვა სახელებს სპეციფიკური ბრუნება აქვთ და მათი განზოგადებული წარმოდგენა ერთ კლასში გაუმართლებელია (თუ, რასაკვირველია, არ გვაქვს გასუბსტანტივებული ზედსართავი ან რიცხვითი სახელი; რაც შეეხება ნაცვალსახელებს, ეს სულ სხვა სისტემაა და სხვაგვარ ანალიზს მოითხოვს).

კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: არსებითი სა-ხელები, როგორც ცნობილია, სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებშია გადანაწილებული. ბრუნებისას რელევანტური ჩანს საკუთარ და სა-ზოგადო სახელთა დიფერენცირება, რადგან მათი ბრუნებისას თავს იჩენს რიგისხვაობები.

რის მიხედვით განსხვავდება მეგრული არსებითი სახელები ბრუნებისას?

ი. ყიფშიძე სახელთა ბრუნების ორი ტიპის – **ბოლოთანხმოვ-ნიანთა** და **ბოლოხმოვნნიანთა** ბრუნებას გამოყოფს მხოლოდით რი-ცხვში.

„ბოლოხმოვნნიანებში, მართლაც, ერთი ტიპის ბრუნება გვაქვს“, – ეთანხმება მას ა. ლომთაძე (იხ. ლომთაძე, 1987, 124), თუმ-

¹ ბრუნების პარადიგმათა ანალიზს ქართულში ეხება ჩვენი სხვა ნაშრომი, რომელიც გამოსაცემად მზადდება.

ცა გასათვალისწინებელია ა-ფუძიანთა თავისებურება: ესენი მრავლობითში ფუძეკვეცადები არიან (ქართულის დარად); ანუ, დასაზუსტებელია არნ. ჩიქობავას დებულებაც: „ქართულისებური შეკვეცა და შეკუმშვა მეგრულმა არ იცის“ (ჩიქობავა, 1936, 57-58).

აქცენტის გაკეთება მხოლოდ მხოლოდითი რიცხვის მონაცემებზე მთლად გამართლებული არ ჩანს: სახელის ფლექსიური ცვლილება გულისხმობს ცვლილებას ორივე რიცხვის მიხედვით. სწორედ ამიტომ ითვლება იმავე ქართულში ფუძეკვეცადად ე-ფუძიანი სახელები: ისინი ხომ მხოლოდ მხოლოდითში იკვეცენ ფუძეს, მრავლობითში უკვეცელები არიან, მაგრამ მაინც კვეცადებში გადიან. ესე იგი, ფუძისთვის სათანადო კვალიფიკაციის მინიჭებისას ვაკვირდებით **მთლიან სისტემას** და არა მის რომელიმე ფრაგმენტს.

სწორედ ამიტომ ვერ ვეთანხმებით მხოლოდ მხოლოდითი რიცხვის მიხედვით გაკეთებულ დასკვნას: „მეგრულის მხოლოდით რიცხვში ფუძეთა მიხედვით გვაქვს ბოლოხმოვნიათა **ერთი ბრუნება** (ცირა, ცირა-ქ, ცირა-ს, ცირა-შ[ი], ცირა-თ[ი], ცირა-თ“ (ლომთაძე, 1987, 147).

საინტერესოა, რომ „კოლხური ენის მეგრულ დიალექტში ბოლოთანხმოვნიათა და **უ, ზ** ხმოვნებზე დამთავრებულ ფუძეებში (მარტივსა თუ რთულში) ვითარებითის ნიშნად **-ო** სუფიქსი გამოდის. ასეა ეს სენაკურ კილოკავშიც და ზუგდიდურ-სამურზაყანულშიც. კოჩ-ი („კაც-ი“ – კოჩ-**ო**, ჩილ-ი („ცოლი“) – ჩილ-**ო**... ჩხოუ („ძროხა“) – ჩხოუ-**ო**, კატუ („კატა“ – კატუ-**ო**, კიდუ (სენაკ.), კდგ (ზუგ.-სამ.) („კოდალა“) – კიდუ-**ო**, კდგ-**ო**; ტუ (სენაკ.), ტგ (ზუგ.-სამ.) „ცური“ – ტუ-**ო**, ტგ-**ო**...“ (ლომთაძე, 1987, 29).

რას ნიშნავს ეს? – იმას, რომ **ბრუნების ახალი სახეობა** ფიქსირდება.

თანაც, ეს კიდევ ერთი არგუმენტია, რომ ბოლოხმოვნიათებში ერთი ტიპის ბრუნება არ გვაქვს.

რაც შეეხება თანხმოვანფუძიან სახელებს: ა. ლომთაძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მეგრულის ბოლოთანხმოვნიან სახელებში ორი ჯგუფი გამოიყოფა. სახელობითის **-ი** ნიშანი ზოგჯერ გადაჰყვება ფუძეს (გარდა ვითარებითისა, ანუ გარდაქცევითისა) ისევე, როგორც ჭანურში და ქმნის მეორადფუძიან ბრუ-

ნებას, ზოგჯერ კი არ გადაჰყვება ფუძეს, მსგავსად ქართულისა და ბრუნება პირველადფუძიანია (ლომთაძე, 1987, 125).

ამ გარემოებების გათვალისწინებით ის სულ სამი ტიპის ბრუნებას გამოყოფს: **ბოლოთანხმოვნანებისა, სახელობითისნიშნაინ ბოლოთანხმოვნანებისა და ოდენ ბოლოხმოვნანებისა** (ლომთაძე, 1987, 127).

ო. ქაჯაიას „ძირითად ტაბულებში“ (იხ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2001, 30-34) საზოგადო სახელთა ბრუნების პარადიგმებია წარმოდგენილი; ერთი მხრივ გვაქვს თანხმოვანფუძიანთა („კოჩი“, „ნეძი“, „ოსური“), მეორე მხრივ, ხმოვანფუძიანთა („დიხა“, „ტყა“, „სუდე“, „კოტო“, „კატუ“, „ტე“) ფორმაცვალება. **კოჩ-ქ//კოჩი-ქ(ი,უ,გ), ნეძ-ქ//ნეძი-ქ(ი,უ,გ), ოსურ-ქ(ი,უ,გ)//ოსური-ქ** პარალელიზმები უკვე მეტყველებს პარადიგმულ არაერთგვაროვნებაზე; ვერც აქ საილუსტრაციოდ ნაბრუნებ ხმოვანფუძიან სახელებს მოვაქცევთ ბრუნების თვალსაზრისით ერთ მოდელში: **დიხა**ფუძეკვეცა-დია მრავლობითში, **ტყა** იმ მხრივ არის თავისებური, რომ მრავლობითში **ტყალ**-ფუძეს წარმოაჩენს, **ო**-ფუძიანებს მრავლობითში ბოლოკიდური **ო** უვიწროვდებათ (ეს არ ხდება რეგულარულად, სტაბილურად, მაგრამ ფაქტია, რომ ხდება): **კოტო>კოტუ**-ეფ-ი.

ყოველივე ეს (სხვა გარემოებებთან ერთად) გასათვალისწინებელია პარადიგმული მოდელების დადგენისას.

„მეგრულის ლინგვისტურ ანალიზში“ (იხ. კარტოზია, 2010, 117-122) არსებითი სახელის ბრუნების პარადიგმა მხოლოდ თანხმოვანფუძიანი („ორტვინი“, „ჯოგი“, „ხოჯი“) სახელების ფორმაცვალებითაა წარმოდგენილი და, ბუნებრივია, ვერ ასახავს იმ სურათს, რაც ამგვარ ფლექსიურ თავისებურებებს ახასიათებს მეგრულში.

„ლაზურ-მეგრულ გრამატიკაში“ ბრუნების სამი ძირითადი სახეობაა გამოყოფილი:

1. **ხმოვანფუძიანი ფუძეუკვეცელები** (სახელები, რომელთაც ფუძე უმთავრდებათ **ო-ზე, უ-ზე, ე-ზე**): ორქო... *შდრ.* ორქო-ეფ-ი... კატუ... *შდრ.* კატუ-ეფ-ი... *ფუდე... შდრ.* *ფუდე-ეფ-ი...*
2. **ხმოვანფუძიანი ფუძეკვეცადები** (-ა-ფუძიანები): დიხა, ცირა... *შდრ.* დიხ-ეფ-ი, ცირ-ეფ-ი...
3. **თანხმოვანფუძიანები**: ოსურ-ი „ცოლი“, ჩხომ-ი „თევზი“... ოსურ-ქ, ჩხომ-ქ..., ოსურ-ეფ-ი, ჩხომ-ეფ-ი...“

თანხმოვანფუძიან სახელებთან ერთად არის წარმოდგენილი ი-ჩანართიანი სახელებიც („ამ **ჯგუფში შედის ი-ჩანართიანი სახელებიც** (მოთხრობითსა და მიცემითში ფუძის ბრუნვის ნიშნის წინ წარმოდგენილი **-ი-** სახელის ფუძეში შედის):თუნთი „დათვი“, ჩიტი „ჩიტი“... თუნთი-ქ – ჩიტი-ქ... თუნთი-ს, ჩიტი-ს... შდრ.: თუნთ-ეფ-ი, ჩიტი-ეფ-ი...) (ქირია, 2015, 77).

მხოლოდ მორფონოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებითაც კი პარადიგმული მოდელების რაოდენობა მეტი გამოდის, ხოლო თუ ამას დავუმატებთ საკუთარ სახელების ბრუნებასთან დაკავშირებული თავისებურებებს, ცხადია, გაიზრდება ტიპიზაციის მასშტაბები.

აქვე დავაზუსტებთ, რომ ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნად პარადიგმაში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია **ი** ელემენტი, რომელსაც ფრჩხილებში სვამენ. ძირითადი პარადიგმისთვის ეს **ი** ზედმეტია, - ისევე როგორც ქართულის ძირითადი პარადიგმისთვის არის ნათესაობითში (**ი**) ზედმეტი: „**თავისთავადი**“ სახელების ბრუნებისას(ეს არის ბრუნების ძირითადი პარადიგმა) არ არის საჭირო. არ არის საჭირო მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას (ბუნებრივი ფორმებია: ოქროს ბეჭედი/ყიდვა... კუს ფეხი/ნაბიჯი... ორქომ ბეჭედი/ყიდირი... ძღაბიშ კაბა/გათხუალა... კუმ კუჩხი/ნაბიჯი... ორქოთ იგანს („ოქროთი იხდის“)... ძღაბით აფასენს „გოგოთი აფასებს“...).

ერთ პარადიგმაში ამ ერთი პარადიგმის მონაცემები უნდა იყოს ასახული და ის ვერ იქნება უნივერსალური და ყველა შესაძლო ცვლილების ამსახველი. „თავისთავად“ სახელებს საკუთარი პარადიგმა აქვთ და ის განსხვავდება პრეპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების პარადიგმისგან; განსხვავებულია ასევე პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის პარადიგმა.

არ არის ზუსტი პარადიგმა, სადაც **ო** და **უ**-ფუძიანი სახელების ნათესაობითში თუნდაც ფრჩხილებში წარმოდგენილია **ი**: „თავისთავადი“ სახელების ნათესაობითში (გოგო, გოგო-მ, გოგო-ს, გოგო-ს, გოგო-თი, გოგო-დ, გოგო(ვ)...**ი** ზედმეტია, ხოლო მსაზღვრელ-საზღვრულს (პოსტპოზიციურსა და პრეპოზიციურს) სულ სხვა სახის ფორმაცვალეა ახასიათებს და ეს ცვლილებები სათანადო პარადიგმებში უნდა აისახოს (პრეპოზიციური წყობის შემთხვევაშიც,

რაც სინქრონიულ დონის დომინირებული მონაცემია, **ი** ზედმეტია, – **ქართულშიც, ზანურშიც**).

როგორც ზევით აღინიშნა, არსებობს კიდევ ერთი **ი**, რომელიც არცთუ იშვიათად ჩანს არამხოლოდ სახელობითში. ამ შემთხვევაში მსჯელობენ სახელობითის მორფემის ფუძესთან შეხორცებაზე.

როდის გვაქვს მეგრულში **ი**-ს „შეხორცება“ ფუძესთან? – „მხოლოდით რიცხვში სახელობითის **-ი** მორფემას ყოველთვის ინარჩუნებს სახელი, თუ ის **ბ, ფ, პ, ძ, ც, წ, ჭ, გ, ქ, კ, ყ, ჭ, ვ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, ჰ** თანხმოვანზე ბოლოვდება“ (ლომთაძე, 1987, 129).

ტ თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძე, რომელიც მოთხრობითსა და მიცემითში **ი**-ს არ დაირთავს, არ იძებნება. ამდენად, ამ ჩამონათვალს **ტ**-ც უნდა დავმატოს (შდრ. ლომთაძე, 1987, 131): გვაქვს: ჩიტი – **ჩიტ-ი** და არა **ჩიტ-ი**, ბატი – **ბატ-ი** და არა **ბატ-ი**...

არის თუ არა ერთი და იგივე ოდენობა **-ი**, რომელიც სახელობითის ნიშანია და **-ი**, რომელიც სხვა ბრუნვების ფუძის ბოლოკიდულად გვეკვლინება?

ესენი სხვადასხვა ღირებულების ელემენტებია, სხვა არის **-ი**, რომელიც სახელობითის მარკერია და სხვა არის დანარჩენ ფორმებში წარმოდგენილი **ი**, რომლის მორფოლოგიურ ფუნქციაზე მსჯელობა შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ასეთი ფუნქცია არ გააჩნია.

სპეციალურ ლიტერატურაში მსჯელობენ ამ **ი**-ს გაჩენის ფონეტიკურ საფუძველზე (ასე ფიქრობენ: **ი**. ყიფშიძე, **ა**. ჩიქოვავა, **ე**. გიგინიანი, **ტ**. გუდავა, **თ**. გამყრელიძე, **კ**. დანელია, **ც**. ჯანჯღავა, **მ**. მადუაშვილი...).

რატომ ჩნდება **ი**? – მოთხრობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშნად გვაქვს თანხმოვნები: **-ქ** და **-ს**. თანხმოვნებს შორის **ი** ხმოვნის ჩართვით დაიძლევა არაკანონიკური, არაბუნებრივი კომბინაცია, – ამდენად, ამ **ი**-ს არაფერი აქვს საერთო სახელობითის **-ი**-სთან.

საიდან ჩანს ეს?

თანხმოვანთგამყარი **ი**-ს ჩართვა მხოლოდ ორ ბრუნვაში ხდება, – ეს ჩანს მრავლობითის პარადიგმასა (სადაც უნდა გვექონდეს **ბერგიეფი** და არა **ბერგეფი**) და თანხმოვანფუძიანთა ვითარებითი ბრუნვის ფორმაში; **ი**-ს ფუძესთან შეხორცების შემთხვევაში უნდა ყოფილიყო **ბერგით** და არა **ბერგო**: **ბერგიქ** || **ბერგის** ფორმებში **ი** ფონეტიკური ჩანართია, **ბერგიშ** || **ბერგით** ფორმებში კი – ბრუნვის ნიშ-

ნის ნაწილი და მორფოლოგიური ღირებულებისა (დანელია, 1986, 109-110).

ეს არგუმენტაცია სავსებით ლოგიკურია და მისაღები.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ამ ტიპის სახელების ბრუნება ცალკეა გამოსაყოფი, მათი პარადიგმა არ ემთხვევა სხვა თანხმოვანფუმიანი სახელების ბრუნებისას.

ამ მოვლენის საპირისპიროდ საკმაოდ ხშირად დასტურდება არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსის სუპერირების სხვა მიმართულებაც: ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის/თანხმოვნებისა და ბრუნვის ნიშნის (რომელიც ასევე თანხმოვანია) შეხვედრის შედეგად სახელის ფუძე მარტივდება: **კოჩ-ს > კო-ს, ქომონჯ-ს > ქომონ-ს...** ბუნებრივია, ეს მოვლენაც (რომელიც ისეთივე შემთხვევაა ბგერის/ბგერების დაკარგვისა, როგორც არის **კვეცა** და **კუმშვა**) აისახოს პარადიგმული ანალიზის დროს.

პარადიგმული სისტემის სრულად წარმოსაჩენად, როგორც აღინიშნა, საჭიროა დეტალური მორფოლოგიური და ამასთან ერთად, წმინდა მორფოლოგიური ანალიზიც, – ეს უკანასკნელი იმ თავისებურებების გათვალისწინებას გულისხმობს, რაც არსებითი სახელის ბრუნებისას ფონოლოგიური კომბინაციების შედეგი არ არის. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, საკუთარი სახელების ფლექსია იქცევს ყურადღებას.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, **ძირითადი** (არა ნანათესაობითარი) ბრუნვების მიხედვით შეგვიძლია ეს წარმოვადგინოთ ამგვარ პარადიგმულ მოდელებში¹:

ტიპი	ძირითადი ნიშან-მახასიათებლები	შენიშვნა
ჯოლორ-„მაღლი“	საზოგადო; თანხმოვანფუმიანი; ფუძეფუძვლელი; დაერთვის ბრუნვის ნიშანთა მი-	

¹ აქვე შევნიშნავთ, რომ ამ კლასიფიკაციის წარმოდგენისას ვერ ვიქნებით კატეგორიულები; შესაძლოა ახალმა გარემოებებმა, მასალის ახლებურმა გააზრებამ გარკვეული კორექტივები გამოიწვიოს (მდგომარეობას ართულებს ის, რომ მეგრული, საერთოდ, ზანური, არ არის ნორმატიულ ჩარჩოებში მოქცეული ენა, ასე რომ, აქ აქტუალური არ არის საკითხი ამა თუ იმ ფორმისა თუ ფორმათა ორთოგრაფიული სტატუსის შესახებ; ამდენად, პრაქტიკულად მხოლოდ არსებული გრამატიკული ფაქტების აღწერით უნდა შემოვიფარგლოთ). მთავარია ანალიზის საფუძველი, პარადიგმული მოდელების გამოყოფის ზოგადი პრინციპები იყოს შეჯერებული და მისაღები.

	რითადი ვარიანტები (-ი, -ქ, -ს, -იმ, -ით, -ო(თ)).	
ძღაბ- /ძღაბ-ი- „გოგო“	საზოგადო; თანხმომვანფუძიანი; ფუძეუც- ვლედი; დაერთვის ბრუნვის ნიშანთა ძი- რითადი ვარიანტები (-ი, -ქ, -ს, -იმ, -ით, - ო(თ)). მოთხრობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშნის წინ დასტურდება თან- ხმომვანთგამყარი ი.	ასევე იბრუნება პირთა სახელე- ბი: გიორგი, აკა- კი...
ჩხვინდ- /ჩხვინ- „ცხვირი“	საზოგადო; თანხმომვანფუძიანი; ფუძეცვა- ლებადი (ფუძის ბოლოს თანხმომვანმოკ- ვეცილი მოთხრობითსა და მიცემითში); დაერთვის ბრუნვის ნიშანთა ძირითადი ვარიანტები (-ი, -ქ, -ს, -იმ, -ით, -ო(თ)).	
დი- ხა/დიხ- „მიწა“	საზოგადო; ხმოვანფუძიანი; ფუძეცვალე- ზადი (ფუძეკვეცადი მრავლობითში); სა- ხელობითში ბრუნვის ნიშანია ნული ; ნა- თესაობითში ბრუნვის ნიშანია -შ ; მოქმე- დებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; ვითარე- ბითში ბრუნვის ნიშანია -თ ;	
და/დალ- „და“	საზოგადო; ხმოვანფუძიანი; სახელობით- ში ბრუნვის ნიშანია ნული ; ნათესაობით- ში ბრუნვის ნიშანია -შ ; მოქმედებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; ვითარებითში ბრუნ- ვის ნიშანია -თ ; მრავლობითის ფუძეში ჩანს -ლ- .	
კირდე „კლდე“	საზოგადო; ხმოვანფუძიანი; ფუძეუცვლე- დი; სახელობითში ბრუნვის ნიშანია ნუ- ლი ; ნათესაობითში ბრუნვის ნიშანია -შ ; მოქმედებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; ვი- თარებითში ბრუნვის ნიშანია -თ ;	
კატუ „კატა“	საზოგადო; ხმოვანფუძიანი; ფუძეუცვლე- დი; სახელობითში ბრუნვის ნიშანია ნუ- ლი ; ნათესაობითში ბრუნვის ნიშანია -შ ; მოქმედებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; ვი- თარებითში ბრუნვის ნიშანია -ო ;	ასევე იბრუნება გ- ზე დაბოლოე- ბული სახელები
კოტო/კო- ტუ „ქოთანა“	საზოგადო; ხმოვანფუძიანი; ფუძეცვალე- ზადი (მრავლობითში ო > უ) სახელობით- ში ბრუნვის ნიშანია ნული ; ნათესაობით-	

	ში ბრუნვის ნიშანია -შ ; მოქმედებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; ვითარებითში ბრუნვის ნიშანია -თ ;	
ჯოტო	საკუთარი; ხმოვანფუძიანი; ფუძეუცვლელი; სახელობითში ბრუნვის ნიშანია ნუ-ლი ; ნათესაობითში ბრუნვის ნიშანია -შ ; მოქმედებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; ვითარებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; მრავლობითი რიცხვი არა აქვს.	ასევე იბრუნება ა,ე,უ-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელები
გაგუა/გა-გუ-	საკუთარი; ხმოვანფუძიანი; ფუძეუცვლელი (ფუძეკვეცადი მრავლობითში); სახელობითში ბრუნვის ნიშანია ნული ; ნათესაობითში ბრუნვის ნიშანია -შ ; მოქმედებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; ვითარებითში ბრუნვის ნიშანია -თ ;	ასევე იბრუნება: -ია,-აგა-ზე დაბოლოებული გვარსახელები
შუმა „სმა“	საზოგადო; ხმოვანფუძიანი; ფუძეუცვლელი; სახელობითში ბრუნვის ნიშანია ნული ; ნათესაობითში ბრუნვის ნიშანია -შ ; მოქმედებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; ვითარებითში ბრუნვის ნიშანია -თ ; მრავლობითი რიცხვი არა აქვს.	

გამოყენებული ლიტერატურა

დანელია, 1986 – ვ. დანელია, სახელობითი ბრუნვის **ი-** ნიშნის ფუძესთან შეზღუდვის საკითხისათვის მეგრულ-ქანურში, თსუ შრ., ტ. 267 (ენათმეცნიერება), თბ., 1986.

კარტოზია, 2010 – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010.

კვაჭაძე, 1981 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა. ნაწილი I, თბ., 1981.

ლომთაძე, 1987 – ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბ., 1987.

ქალდანი, 1974 – ქალდანი მ., სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში; ქესს, IV; თბ., 1974;

ქაჯაია, 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

ქირია, 2015 – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრულის გრამატიკა. I., თბ., 2015.

ყიფშიძე, 1914 – Кипшидзе И. А. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1914.

შანიძე, 1980 – ავ. შანიძე, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1980.

მ ე დ ე ა ლ ო ნ ტ ი

საღვთისმეტყველო ლექსიკა ქართულ დიალექტებში

II. ხევს. უფერის („ავი სული, ეშმაკი“) ენობრივ-დიალექტური არჩევანი

❖ ხევს. უფერ-ის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდე:

წინამდებარე მოხსენებით კვლავაც დაისმის საკითხი ქართული დიალექტური საღვთისმეტყველო ლექსიკის განმაპირობებელი სემანტიკური მოტივის თაობაზე (იხ.: მ. ლლონტი 2015). ამ ჯერზე კონკრეტული საკვლევი საგანია პოლისემანტიკური ხევს. უფერი და მისი ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდე.

ქართ. ფერ-ისგან წარმოებული უფერი (< უ-ფერ < ფერ) დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად არ აისახება სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო ჩუბინაშვილის და ძველი ქართული ენის ლექსიკონებში (სულხან-საბა I-II; ი.აბულაძე 1973; ზ.სარჯველაძე 2001; ნ.ჩუბინაშვილი 1961). თუმცა, დავით ჩუბინაშვილი ქართ. უფერ-ს მხოლოდ ორი ლექსიკურ-სემანტიკური მონაცემით წარმოგვიდგენს: „უფერი – ზედ. შეუფერებელი, შეუმსგავსებელი, непристойный, несоответственный; ბერძნ. სამ. უფერი საქმე несподручное дело, უფერი კაცი человек не уживчивый, не по нраву, ქილ. 287“, და იქვეა: „უფერული – ზედ. შეუფერებელი, ფერ-მკრთალი, ფერ-მიხდილი, неприличный; безцветный“ (დ. ჩუბინაშვილი 1984).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ **უფერი** წარმო-
ჩნდება ქართ. **შეუფერებელის** სინონიმად: „**უფერ-ი** (უფერისა),
იხ. შეუფერებელი (საპირისპ. საფერი)“, შდრ.: **უფერული** „1. ფერ-
მკრთალი, ფერმიხდილი, ფერდაკარგული, უფერო. 2. გადატ. ერ-
თფეროვანი, უშინაარსო“, შდრ.: „**უფერულად** ზმნს. ერთფეროვნად,
უხალისოდ“ (ქეგლ 1960).

რაც შეეხება საკუთრივ პოლისემანტიკურ ძვ. ქართ. **ფერს**,
ლექსიკონებში იგი შემდეგი სემოერთეულებით აისახება: „ფერი; სა-
ხე; ხატი; გვარი, ნაირი; საღებავი“ (ი. აბულაძე 1973; ზ. სარჯველაძე
2001)¹.

ხევს. **უფერის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში აშკარად უპი-
რატესობს **უფერ-ის** შემცველი ორწევრა შესიტყვებანი, ხოლო ფშა-
ურში, მოხეურში, თიანურსა და ქართლურში ფრაგმენტულადაა სა-
კუთრივ **უფერ-ი**. ყურადღებას იქცევს საანალიზო ბუდის კუთვნილ
ლექსიკურ ერთეულთა უარყოფითი სემანტიკური ფუნქციონირების
მაღალი სიხშირე, რაც აღიბეჭდება **ფერ-ძირისგან** ოდენ უქონლო-
ბის **უ-**თავსართიანი მორფოწარმოებით, ხოლო სემანტიკურად –
ოდენ შებრუნებით-შექცევითი ნიშან-თვისების, ვითარებისა და
მსგავსების ამსახველი ყოვლისმომცველი ნეგატიური კონოტაციით,
შდრ.:

ლ ე ქ ს ი კ ა	ს ე მ ა ნ ტ ი კ ა / ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი ვ ე ლ ე ბ ი
ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი : უ ფ ე რ ი →	„ავი სული, ეშმაკი; უვარგისი; შეუფერებე- ლი; უხეირო; ცუდი“
უფრიანი →	„ეშმაკებიანი ადგილი“
უფერ გული →	„ავი გული“
უფრი პირით →	„ავი სიტყვით“
უფრის თვალი →	„ავი სულის თვალი“; ავითვალი (ს. მაკალა- თია)“
უფერზე შავარდების →	„ეშმაკებს, ავ სულებს გადაეყრება, რომლე- ბიც დაწყევლიან“

¹ შდრ. ახ. ქართ. **ფერი**: „1. შთაბეჭდილება. ინტენსივობა, – ფეროვნობა.
2. საღებავი (სახისა), საფერავი. 3. გადატ. ვისიმე ან რისამე მსგავსი. || [შე]საფერი,
საკადრი, სადარი. 4. გადატ. ნიშან-თვისება, ხასიათი, იერი, ნირი, თავისებურება,
სტილი. 5. კუთხ. (ფშ.). კარგი პირი (ქსოვილისა, ტანისამოსისა). 6. რთული ფშმის
მეორე შემადგენელი ნაწილი: არა-ფერი. ყველა-ფერი. მრავალ-ფერი“ (ქეგლ 1962).

უფრის სულწამაყრილი →	„ემმაკეებისგან დაწყველილი და დაავადმყოფებული“
უფრა[დ] →	„ცუდად“
უფრის აღღოსა →	„ცუდი ზნისა“
უფრა[დ] გაცდილი →	„ცუდი ზნე-ხასიათისა“
უფერას ჩამაგდებს →	„ცუდ საქმეს ჩაიდენს (იჩუბებს და სხვ.)“
უფერს დღეს აყრის/დააყენებს →	„ცუდ დღეს აყრის, მიძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს“
უფრის კელისა →	„ქურდი, ხელმრუდი“
უფერ სულ აქვის →	„მსუნაგია“
ფ შ ა უ რ ი: უ ფ ე რ ი →	„ბოროტი, ცუდი; უხეირო“;
უფრიანი →	„ტყიან-კლდიანი, მიუვალი ადგილი, სადაც ავსულნი ბუდობენ“
მ ო ხ ე უ რ ი: უ ფ ე რ ი →	„უკუღმართი; ცუდი“
უ ფ ე რ -უწერი →	„ყოველნაირად უწესრიგო“
თ ი ა ნ უ რ ი: უ ფ ე რ ი →	„გონჯი“
ქ ა რ თ ლ უ რ ი: უ ფ ე რ ი ს ი →	„ვინც ვისიმე შესაფერისი არ არის. – შეუფერებელი“

წინამდებარე მოხსენების კონკრეტული მიზანდანიშნულებიდან გამომდინარე, საგულისხმოდ გვესახება ხევს. **უფერ**-ის წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის სემანტიკურ ველთა ერთგვარი შემკრებლობითი დომინანტი სემოერთეულები (სემები):

„ა ვ ი“ (სული, სულები, სულის თვალი, თვალი, გული, სიტყვა, საქმე, ზნე-ხასიათი, დღე...), „ბ ო რ ო ტ ი“ და „ე შ მ ა კ ი“.

❖ ხევს. **უფერ**-ის ენობრივ-დიალექტური არჩევანის მოტივი:

პოლისემანტიკური ხევს. **უფერ**-ის საგანგებო სემანტიკური ფუნქციონირების მოტივის ნათელსაყოფად გასათვალისწინებელია ხევს. **უფერ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის გარეთ არსებული მსგავსი მორფოსტრუქტურისა და სემანტიკური ფუნქციონირების მქონე მრავალმნიშვნელოვანი ძველი ქართული ლექსიკური მარაგი (ოთხ ათეულამდე), შდრ.:

უ-ბანი „დაუბანელი; უწმინდური“, **უ-დები** „ზარმაცი; უკეთური; უსარგებლო“, **უ-რგები** „არმარგებელი; უხმარი“, **უ-რიდი** „ურცხვი“, **უ-რჩი** „უჯერო; არამორჩილი“, **უ-ზავი** „დაუზავებელი, უწესო, შეურიგებელი“, **უ-სმი** „ურჩი, გაუგონარი“, **უ-ქმი** „უსაქმო;

უვარგისი; ამაო“, **უ-მსგავსი** „უგვანი; უხამსი“ **უ-ძღები** „ხარბი, უწესო“, და სხვ., სახელდობრ, მათს სემოერთეულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თანხვედნილია ხევს. **უფერ-**ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის სემანტიკურ ველთან: „უწმინდური“, „უკეთური“, „უმსგავსი“, „უგვანი“, „უხამსი“, „უწესო“, „უჯერო, არამორჩილი“, „ურჩი, გაუგონარი“, „დაუზავებელი, შეურიგებელი“, „ურცხვი“, „უსარგებლო“, „უვარგისი“, „უხმარი“, „ამაო“ და სხვ.

მეორე მხრივ, რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპის მომარჯვებითა და ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება იმ კონკრეტული სარწმუნო საღვთისმეტყველო წანამძღვრების მოხმობა, რომელთა მეოხებითაც განისაზღვრება ხევს. **უფერის** (დომინანტი სემანტემებით – „ავი სული, ეშმაკი, ბოროტი“) ენობრივ-დიალექტური არჩევანის მოტივი, კერძოდ, მისი უარყოფითი კონოტაციის **ხატოვანი სემანტიკური ფუნქციონირების** განმაპირობებელი ფაქტორი.

უწინარესად გავიხსენოთ, რომ ზემთა-სახიერმა შემოქმედმა ღმერთმა ზეციერ ანგელოზთა დასები (**ანგელოზი** < ბერნ. „მაცნე, მოვლინებული ღვთისაგან“) არარსებობიდან არსებობაში შემოიყვანა და ისინი „ხატად თვსად“ შექმნა – **ბუნებით**, ვითარცა უხორცო, და **სულით**, ვითარცა ცეცხლი უნივთო.

განიმარტება, რომ ზეციერ ანგელოზთა ძალნი არიან: არსებანი გონისმიერნი (მოაზროვნენი), თვითუფლებრივნი (არჩევანის უფლებით მოსილნი), მარადის მოძრაენი, კეთილად მსახურნი ღმრთისა და მისი ნების მორჩილებით აღმსრულებელნი, უკვდავების მადლით მიმღებელნი „ბუნებასა შინა თვსსა“, რომლის არსობრივი სახე და საზღვარი მხოლოდ შემოქმედმა უწყის. მაგრამ მრავალმოწყალო შემოქმედის მიერ სიკეთისათვის ქმნილი, **ბუნებით კეთილი** ნათლის ანგელოზი „ვერ დამტევნელ იქმნა“ ამ ღვთივბოძებული საკვირველი ნათელმოსილებისა და პატივისა, არამედ მან საკუთარი ნებითა და არჩევანით თქვა უარი მასზე და – „**ბუნებითისა წესისაგან გარდაიქცა – გარეშედ ბუნებისა**“, ანუ მან დაკარგა ზეციერი შემოქმედისგან მონიჭებული **ხატისებრიობა** ღმრთისა.

ემზაკი, ეშმა (ძვ.ქართ. **მცდომი** „წინააღმდგომი“)¹ სწორედ ის პირველი **დაცემული ნათლის ანგელოზია**, რომელიც იყო „ზედამდგომელი ქუეყანიერისა წესისაჲ“ და ღვთისაგან მინდობილი ჰქონდა დედამიწის დაცვა, მაგრამ ღვთისგანვე მონიჭებული საკუთარი თვითუფლებრივი ნებითა და არჩევანით – იგი „განეყო კეთილსა“, ანუ გონისეულ **სიკეთეს**, და „იქმნა ბოროტსა შინა“, ანუ გარდაიქმნა გონისეულ **სიბნელედ**, რამეთუ: „**ბოროტი** სხუად არარად არს, თვნიერ **მოკლებად კეთილისაჲ**, – ვითარ-იგი არცა რად არს **ბნელი**, თვნიერ **მოკლებად ნათლისაჲ**“ (იხ.: ი.დამასკელი 2000, 75-81; 343-346).

მამასადაძმე, ზემოთ წარმოჩენილი ანტიპოდური **კეთილისა** და **ბოროტის**, **ნათლისა** და **ბნელის** მსგავსად, **ემზაკი**, იგივე დაცემული ნათლის ანგელოზი, საღვთისმეტყველო თვისებრიობით განირჩევა **ღვთის ანგელოზისგან** და, ამდენად, ორივე მკვეთრად ურთიერთდაპირისპირებულ – ანტიპოდურ წყვილს შეადგენს.

ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას ძვ. ქართ. **ფერის** დომინანტი სემანტიემები: „ს ა ხ ე; ხ ა ტ ი; გ ვ ა რ ი“ (ი. აბულაძე 1973); „ფ ე რ ი; ს ა ხ ე“ (ზ. სარჯველაძე 2001), ვითარცა სწორედ საგნის, მოვლენის, ვითარებისა და მსგავსების გამომხატველი სემოერთეულები, რომელთაგან სემანტიემები – „სახე“ და „ფერი“ – დადებითი **ხატოვანი** სემანტიკური ფუნქციონირებით წარმოჩნდება, შდრ. შესაბამისი ანტიპოდური (↔) სემომონაცემები:

ა) ძვ. ქართ. **სახე** „ბუნება; ნიმუში; მაგალითი; მსგავსი; ვითარება; თვისება; ჩვეულება; საქმე; წესიერება; მოწმობა; იგავი“ (ზ. სარჯველაძე 2001); „გამოსახულება; ფორმა, ნიშანი; შესახედაობა, «ხატი»“ და ძვ.ქართ. **სახიერი** „კეთილი; კეთილის მოქმედი; სასარგებლო“ (ი. აბულაძე 1973); შდრ.: ხევს. **ხთიშვილი** / **ხთის-ნასახი** „ანგელოზი, ხატი, წმინდა სული“ და ხევს. **ნასახი** „ნამიერი, გაჩენილი, ნაშობი“ (ალ. ჭინჭარაული 2005) ↔ ძვ. ქართ.: **უსახოჲ**, **უსახოებაჲ**,

¹ შდრ.: **ემშა, ეშმაკი** „დასაბამად კეთილისა არსებისაგან შექმნა უფალმან, არამედ აღზავნა და ამპარტავ(ა)ნებისა მიერ დაცვა და ბნელ იქმნ(ნ)ეს... ეშმაკი გამოითარგმანების შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ა დ, გინა ს ა წ უ თ ო დ, გინა ჟ ა მ ი ე რ ა დ, გინა მ ჭ მ უ ნ ა ვ ა დ (+ 4,1 მათე ZAA) ZAB... ხოლო რომელიმე ჰაერთა შინა ზე-ქვეობით იყოფებიან მგზავსად გულისთქმათა ზვაობისათა მათისა, ვითარ იყვნენ“ (სულხან-საბა I-II); „სატანა, სული ბოროტი, არაწმინდა (მათე 7,22 და 17,18; ფსალმ. 95,5)“ და **სატანა** (ძვ.ებრ. „მოწინააღმდეგე“); „მთავარი ეშმაკთა (მათე 4,10)“ – ნ. ჩუბინაშვილი 1961.

უსახური, უსახურად, უსახურება / უსახურობა, რომელთა სემანტიკური ველი („ბოროტი; უკეთური; ურჩი; თავისნება“) კვლავაც ნიშანდობლივ თანხვედნილია ღვთისაგან პირველგანდგომილი ნათლის ანგელოზის – „სიცრუისა მამის“ დაცემული ბუნების თვისებრივ მახასიათებლებთან (იხ. ზემოთ, გვ. 3).

ბ) ძვ. ქართ. საფერი „მისი შესაგვანი“ (სულხან-საბა I-II); „ზედ. შესაგვანი შესამსგავსი“ (დ. ჩუბინაშვილი 1984; ნ. ჩუბინაშვილი 1961); ძვ. ქართ. **შეფერება** „კეთილად მითუალვა, თვსებად ქონება“ (ნ. ჩუბინაშვილი 1961) და ხევს. **ფერი** „მსგავსი“, ხევს. **ფერ-გონ-**ი „ფერი, შესახედაობა“, ხევს. **დაფერება** „დამსგავსება“, ხევს. **ფერება** „მიმსგავსება“ ↔ ხევს.: **უფერი** „ე შ მ ა კ ი; ბ ო რ ო ტ ი; ცუდი; შეუფერებელი“; **უფრის თვალი** „ა ვ ი თვალი“; მოხ. **უფერ-უწერი** „ყოველნაირად უწესრიგო“ (ალ. ჭინჭარაული 2005), ძვ. ქართ. **ემმაკი** „ს ა ტ ა ნ ა, მაცთური, ბ ო რ ო ტ ი, ა ვ ი სული“ (ი. აბულაძე).

ასე რომ, ხევს. **უფერის** ენობრივ-დიალექტური არჩევანის განმსაზღვრელი ფაქტორი საძიებელია ქართ. **ფერის** დომინანტი კონოტაციის **ხატოვანებაში**, რაც აღსანიშნის ანტონიმური ბუნებიდან გამომდინარე (ღვთის ნათლის ანგელოზი → დაცემული ნათლის ანგელოზი (ბოროტი ემმაკი), **ფერ-ძირისგან ოდენ უქონლობის უ-**თავსართიანი მორფოწარმოებით ხორციელდება (ხევს. **უ-ფერი** „ემმაკი, ავი, ბოროტი, უწესრიგო, უკუღმართი, გონჯი“ ↔ ხევს. **ფერი** „სახე; ხატი; ბუნება; წესიერება; მსგავსი, შესახედაობა“).

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 1973.

გიგინეიშვილი... – ხევსურული დიალექტის ლექსიკონი. შემდგენლები: ი.გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ივ.ქავთარაძე. თბილისი, <https://www.ice.ge/liv/liv/>

დამასკელი 2000 – წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნე-

ბი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 2000.

ლოპუხინი 1904-1907 – Толковая Библия, А.П.Лопухина, I, Петербург, 1904-1907.

მაკალათია 1953 – ს. მაკალათია, ხევსურეთი. თბილისი, 1935.

მესხიშვილი 2006 – მერი მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები). რედ. ფილოლ.მეცნ.დოქტ. ალ ჭინჭარაული. თბილისი, 2006.

ნიუსტრემი 1985 – Библейский Словарь. Новое пересмотренное и исправленное издание с иллюстрациями. Торонто, Канада, 1985.

სარჯველაძე 2001 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. თბილისი, 2001.

სახოკია 1979 – თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1979.

სულხან-საბა I-II – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის სამიხედო დაურთო ილია აბულაძემ. I, 1991; II, 1993, თბილისი,.

ქეგლ 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ ჩიქობავას საერთო რედაციით, ტომი VI, **ო, პ, ყ, რ, ს, ტ, უ**. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960.

ქეგლ 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ ჩიქობავას საერთო რედაციით, ტომი VII, **ფ, ქ, ღ, ყ, შ**. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი. 1962.

ღლონტი 1984 – ქართულ კოლო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984.

ღლონტი 2015 – მედეა ღლონტი, საღვთისმეტყველო ლექსიკონი ქართულ დიალექტებში. I. ხევს. ხთის იასაული „ანგელოზი“: XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მასალები, ბათუმი, 2015 წლის 23-24 ოქტომბერი, ეძღვნება ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს. თბილისი, 2015, გვ. 68-69.

ლუღუშაური – ი. ლუღუშაური მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი. რედაქტორი როსტომ ჩხეიძე, თბილისი, <https://www.ice.ge/liv/liv/>

შანიძე 1984 – აკაკი შანიძე, თბილისი. ტ. 1. თბილისი, 1984.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.

ჩუბინაშვილი 1971 – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი I, თბილისი, 1971.

ჩუბინაშვილი 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961,

ჭინჭარაული 2005 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი. „ქართული ენა“, თბილისი, 2005.

ხორნაული – ფშაური ლექსიკონი. ავტორი გიგი ხორნაული, მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ღლონტი. თბ., <https://www.ice.ge/liv/liv/>

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ლაზური დოლო-ზმნისწინის მეგრული შესატყვისისათვის

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ლაზურ დოლო-ზმნისწინს მეგრულის მოქმედ პრევერბთა სისტემაში სათანადო შესატყვისი არ მოეპოვება [ყიფშიძე 1914; ჩიქობავა 1936; ასათიანი 1952; ქირია 2015]. მისი ძირითადი სემანტიკა არის ქართული ჩა-ზმნისწინის ფარდი ფუნქციის გამოხატვა: დოლოზვალუ „ჩახველება“, დოლოზვატუ „ჩაკვნეტა, ჩაჭმა“, დოლოზაკარაფა „ჩაფხეკა“, დოლოჭაფა „ჩაკერვა“, დოლოზცაფა „ჩაღობა“, დოლოჭკომაფა „ჩაჭმა“...სხვადასხვა კომბინატორული ცვლილებების წყალობით ამოსავალი დოლო-ტექსტებში დამოწმებულია დოლი-/დოლუ-/დულუ-/დელუ-/დოლი-/დილი- ვარიანტებით [ასათიანი 1952; ქირია 2015]: დოლოვობლავთ „ჩავყრით“, დოლუ ჯოხეს „ჩასძახეს“, დოლი ბიმქვიდით „ჩავიხვრჩეთ“, დოლო ბლაპტუ „ჩაყრიან“, ქო დულუ ჭკოდუ „ჩაუწყდა“,

ქო დილი ჯინენ „ჩაიშხლართება“... თავად ლაზურში დოლო- რთული შედგენილობის წინდებულად სამართლიანად არის კვალიფიცირებული, დოლო-ში მეორე ელემენტად -ლო-ს გამოყოფენ, და გამოწვევრებული -ლო- ისტორიულად -ლა-სგან მომდინარედ მიაჩნიათ, თითქოს განხორციელდა წინა ო ხმოვანთან ასიმილაცია [ასათიანი 1952, 372].

მითითებულ ალომორფებში გამოყოფილი ლა- ელემენტი გამოხატავს შიგნით მიმართულ მოქმედებას. თუმცა სხვა ზმნისწინებში ის აღნიშნავს მოქმედებას რადაცის ნაპირას, გვერდით ყოფნა/ქმედებას: ელა-/ელე-/ელუ-/ილუ-/ელვა-: ელა ხეტუ „იჯდა ნაპირას“, ელემობუნ „მობმული მაქვს“, ელუხედეს „უსხდნენ გვერდით“, ილუსუმერტუ „ჩაუჩურჩულებდა“... ეგვე -ლა- კომბინაციაში შედის მე-ლა- და მო-ლა- წინდებულებში: მე+ლა დგარე „მიადგამ შიგ“, მე+ლუბლუნ „შეყრილია შიგ“...მო+ლახ ენან „სხედან შიგ“, მო+ლო-ხუნეს „შიგასვეს“...

ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება ლაზური -ლა- ქვემოთა მიმართულების აღმნიშვნელ გე-ზმნისწინთან: გელა-/გელი-/გელუ-/ჯელუ-: გე+ლახთუ „ჩამოვიდა“, გე+ლუხენ „ჰყავს ჩამომჯდარი“, გი+ლუსუ „ჩამოუსვა“, ქოჯელიდუ „დაიღო“... სამაგიეროდ, -ლა- ელემენტის მეშვეობით გამოხატული სიტყვის სემანტიკა ნეიტრალიზებულია გო+ლა- ზმნისწინში, რომელიც ფუნქციით ქართული გადა-ზმნისწინის შესატყვისია: გო+ლახთუ „გადაიარა“, გო+ლუ ჰკადუნ „გადაჰედილია“, გო+ლი კორუ „გადაიკრა“... [ქირია 2015].

დოლო- ზმნისწინისგან არაერთი ახალი სიტყვაა ნაწარმოები ლაზურში, ასეთებად გვესახება: დოლო-ნ-ი „ერთი კვირა; a week“: „არ დოლონიშა ქელულუნ“ – ერთ კვირაში ამოვა [ყიფშიძე 1929 : 13525], დოლო-ხე „შიგნით“: „ნოღამისაოღამ დოლოხე მოლახენ“ – პატარძალი ოთახის შიგნით ზის [თანდილავა 2013], დოლო-ხე-ნ-ი „შიგნითა“: „დოლოხენინედი მუქ ქოჰკომუ“ – შიგნითა მარცვალი თვითონ შეჰამა [ყიფშიძე 1929 : 8424], დოლო-ხე-ნ-დონ „შიგნიდან“: „მეზარემ დოლოხენდონ მითხა ქიბგარს“ – საფლავის შიგნიდან ვიღაცა ტირის (ჩიქობავა 1936 : 93).

ლაზური დოლო-ზმნისწინის ფუნქციით მეგრულში დინო-გამოიყენება: დინოხორაფა „ჩასახლება“, დინონთხაფა „ჩავარდნა“,

დინორინა „შიგ დგომა“.., რომელიც დამოუკიდებელ სიტყვადაც გამოიყენება, შდრ. **დინო** „სახლეული; შინაურები; დიდი პაპის შთამომავლობა“, მისი ფონეტიკური ვარიანტია **დინი** „შიგნით“, რომელიც ზმნასთან კომბინაციაში არ შედის, ცალკე მდგომი ერთეულია, შდრ.: „ქიდგნაყოთეს დიდგქუა დინი“ – ჩააგდეს დიდი ქვა შიგნით [ხუბუა 3]; „ათე ჟირი ჯიმალენქ ბაწარი დ ი ნ ი ქედგნაოთეს“ – ამ ორმა ძმამ (ძმებმა) ბაწარი შიგნით ჩააგდეს [ხუბუა 6]; როგორც ლაზურის შემთხვევაში ვნახეთ, ისე მეგრულშიც დინო-სგან არაერთი ზმნისართი იწარმოება, შდრ. **დინო-ხ** „შიგ, შიგნით“, **დინო-ხ-ინ-ი** „შიგნითა; ჩადრმავეება“, **დინო-ხ-ო-ლე** „შიდ“, **დინო-ხ-ო-ლე-ნი-ი** / **დინა-ხ-ო-ლე-ნი-ი** „შიდა“, **დინო-ხ-გმ-ე** „შიგნიდან“... მეგრულისებური **დინო-** ლაზურისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი, რასაც ჩვენ მიერ მოძიებული ჯერჯერობით ერთადერთი ლექსემა ადასტურებს ლაზურში; ასეთად მიიჩნევა ლაზ. **დინოთქვაფე** „თქმულება“ სიტყვა, რომელიც ლაზური **თქვ-ალა** „თქმა“ ზმნისგან არის ნაწარმოები სწორედ **დინო-** პრევერბის მეშვეობით. საპირისპიროდ, ვადასტურებთ ლაზური **დოლო-** ზმნისწინის არსებობასაც მეგრულში; **დოლო-**ს საკმაოდ ფართო გავრცელება ჰქონია მეგრულშიც. იგი უფრო დილა-სახეობითაა ცნობილი და მას დღემდე შემორჩენილ იშვიათი გამოყენების სპეციფიკურ სიტყვებში ვხედავთ. ასეთებია: **დილა-ხუნა** „ქვეშ/შიგნით/გვერდით ჯდომა“, შდრ. **დინო-ხუნა**; **დილანგარა** „ქვეშ/შიგნით ტირილი“, შდრ. **დინო-ნგარა**; **დილა-ხორუა** „შიგნით/გვერდით სახლობა“, შდრ. **დინო-ხორუა**; **დილა-ბუნაფა** „ჩაბმა შრომით გაერთიანებაში“ [ქობალია 2010], შდრ. **დინო-ბუნაფა**... **დილა-**საგან არის ნაწარმოები ასევე იშვიათი გამოყენების **დილ-ე** „შიგნით; ქვეშ“ ზმნისართი მეგრულში. ამოსავალი ლაზური-სებური **დოლო-** სახეობის არსებობის კვალი ჩანს სამეგრელოში გავრცელებულ **დოლგ-მახორე/დოლ-მახორე** სოციალურ ტერმინში, რომელიც დღეს ცნობილია შემდეგი მნიშვნელობით: *მონა, რომელიც წარმოადგენდა ბატონის სრულ საკუთრებას; მოჯალაბე, ბატონის მამულში ან მის გვერდით მოსახლე, უმიწაწყო გლეხი, ყმა-მსახური, რომელიც უშუალოდ ბატონს ექვემდებარებოდა და ემსახურებოდა მის ოჯახს* [მაკალათია 1941: 164; ქობალია 2010]. ცხადია, **დოლგ-მახორე/დოლ-მახორე** უდრის *შიგნით/გვერდით მოსახლეს*, სადაც ლაზურისათვის დამახასიათებელი **ჩა-ში-** არქაული სემან-

ტიკა იკვეთება. შემთხვევითი არც ის არის, რომ **დოღ-მახორე/დოღ-მახორე** ტერმინებს აღმოაჩნდათ **დიღ-მახორე/დიღ-მახორე** ფონეტიკური სახეობები.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნისწინთა გამოყენების თვალსაზრისით არსებული სხვაობები მეგრულსა და ლაზურს შორის მეორეულ ვითარებას ასახავს, რაც კოლხური ენის ორი მსხვილი დიალექტის კონტაქტის არქონითა და დამოუკიდებელი განვითარებითაა შეპირობებული.

ლიტერატურა

ირინე ასათიანი, წინდებული მეგრულ-ჭანურში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 1952

ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, გამომცემლობა საარი, თბ., 2013

სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941

ჭაბუკი ქირია, ლალი ეზუგბაია, ომარ მემიშიში, მერაბ ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, მორფოლოგია, თბ., 2015

ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გამომცემლობა „არტანუ-ჯი“, თბ. 2010

იოსებ ყიფშიძე, Кипшидзе И. А, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем; С.-Петербург (Мат. по яфет. языкознанию, VII); 1914

იოსებ ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, წინასიტყვ. და [რედ.] არნ. ჩიქობავა; სსრკ მეცნ. აკად., საქ. ფილიალი, ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ., ტფ., 1929

არნოლდ ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936

სოფიკო ჭავჭავაძე

ლინგვისტური კვლევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1923 წლის საარქივო მასალების მიხედვით)

საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდში დაცულია მასალები, რომლებშიც ასახულია 1923 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ლინგვისტური მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ენათმეცნიერების ფაკულტეტი, ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიდან ჩანს, რომ ახლადშექმნილ უმაღლეს სასწავლებელში ლინგვისტური საკითხების კვლევა-ძიება მაღალ დონეზე იდგა. მაგ. ამავე წელს უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერ-მუშაკების ინიციატივით დაარსდა „საენათმეცნიერო საზოგადოება“ (თავმჯდომარე **გ. ახვლედიანი**), რომლის შესახებაც ინფორმაცია გამოქვეყნდა 1923 წლის გაზეთ „კომუნისტი“-ს სტატიის ავტორი **ვ. თოფურია** მკითხველებს აცნობდა ახალი სტრუქტურული ერთეულის დამფუძნებლებს, მის ნამდვილ წევრებს, შემუშავებულ წესდებას და იმ მოხსენებებს, რომლებიც წაიკითხეს ან მომავალში უნდა წარედგინათ საზოგადოების წევრებს [გაზ. „კომუნისტი“, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება ტფილისში, 30 მარტი, N71, გვ. 3]. იმავე გაზეთის 1 აგვისტოს ნომერში კი განთავსდა „საენათმეცნიერო საზოგადოების“ 1923 წლის მუშაობის ანგარიში [გაზ. „კომუნისტი“, ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში, N175, გვ. 3-4]. სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებლების მიერ ქართული უნივერსიტეტისთვის შემუშავებული სახელმწიფოებრივი ენობრივი სტრატეგია ყველაზე ნათლად წარმოჩენილია **ივ. ჯავახიშვილის** შემდეგ ციტატაში: „ქართველმა მოღვაწემ თავის მეზობლების სომხების, თურქების, სპარსელების ენა და ისტორია, მწერლობა და კულტურა უნდა იცოდეს. მათთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ქართველისათვის ბუნებრივი და აუცილებელიც არის. ერთა შორის სოლიდარობაც ამ ერთა გულის ნადების, მათი ენისა და მწერლობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია“ ... [სეა, უიცა, ფ. 471,

ა. 1, ს. 27]. აღნიშნული ენობრივი სამოქმედო გეგმა რეალურადაც რომ ხორციელდებოდა ქართულ უნივერსიტეტში, ამას მოწმობს ჩვენ მიერ მოპოვებული რამდენიმე საარქივო მასალაც, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ საკვლევ პერიოდში ქართველი მეცნიერები ერთნაირი მონდომებით იკვლევდნენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გავრცელებულ ენებს, დიალექტებს, ასევე, ჩვენი ქვეყნისა და მეზობელი სახელმწიფოების ისტორიას, მწერლობასა და კულტურას. მაგ. პირველი დოკუმენტის მიხედვით 1923 წლის სექტემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა განათლების სახალხო კომისარს დ. კანდელაკს სარეკომენდაციო წერილები გაუგზავნა, რომლებითაც ის განმარტავდა, თუ რატომ უნდა დაეტოვებინათ უნივერსიტეტში ერთი წლის ვადით ისტორიის, ენისა და ლიტერატურის მიმართულების ახალგაზრდა კანდიდატები, კერძოდ: „თანახმად თქვენი მომართვისა გაახლებთ პროფესორთა აზრს თუ რით ხელმძღვანელობდნენ ისინი, როცა სტოვებდნენ უნივერსიტეტთან საპროფესოროდ მოსამზადებლად შემდეგ პირთ: **თამარ ლომოურს, სიმონ ჯანაშიას, ვარლამ თოფურას, ბენედიქტე ჩიქობავას და გიორგი ჯაკობიას.**

თამარ ლომოურმა, რომელსაც ჯერ პეტერბურგის ქალთა უმაღლესი კურსები ჰქონდა შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფ-ტის საისტორიო დარგი გაათავა. ყველა მსმენელთა შორის საუკეთესო ცოდნა და ნიჭი გამოიჩინა და თანაბრად იყო დაწინაურებული, როგორც **ქართულში, ისევე არაბულში და სომხურში.** სადიპლომო თხზულებაც კარგი აღმოჩნდა, ამიტომ 1922 წ. იგი დატოვებულ იქმნა სომხეთის ისტორიის კათედრისთვის მოსამზადებლად. ამ ერთი წლის განმავლობაში მხნედ მუშაობდა არჩეულ დარგში და დამაკმაყოფილებელი გამოკვლევაც წარმოადგინა. ამიტომ განეგრძო მას დატოვების ვადა კიდევ ერთი წლით.

სიმონ ჯანაშია ყველა თავის ტოლ-ამხანაგებში თავისი ნიჭით, მკვირცხლი გონებითა და შრომის მოყვარეობით ირჩეოდა. სტუდენტობის დროსვე რამდენიმე კარგი მოხსენება დასწერა. საუკეთესოდ სწავლობდა როგორც **ქართულსა და სხვა ისტორიას, არაბულს, სპარსულს და სომხურსაც.** მისი სადიპლომო შრომაც კარგი გამოდგა. ამიტომ 1922 წ. ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებისთანავე დატოვებულ იქმნა სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრას-

თან. ერთი წლის განმავლობაში მუყაითად ემზადებოდა და პატარა-პატარა გამოკვლევანი დაწერა, ამიტომ დატოვების ვადა განეგრძო კიდევ ერთი წლით.

ვარლამ თოფურია დაჯილდოებულია ნიჭით დიდი შრომის უნარით და მუდმივი მუყაითობით. ეს თვისებანი მას სტუდენტობის დროს სხვა ამხანაგებისგან განარჩევდა და დატოვებულ იქმნა საპროფესოროდ ქართული ენის კათედრასთან, რადგან ენებს კარგად სწავლობდა და განსაკუთრებით **ქართული ენის** შესწავლით მიიპყრო ჩემი ყურადღება. დატოვების შემდეგ იგი განუწყვეტლივ განაგრძობდა საენათმეცნიერო საკითხების დამუშავებას **ძველი ქართულიდან და თანამედროვე კილოებიდან**. მის გომარეთში ყოფნად და **გომარული კილოს** შესწავლას მოჰყვა არქეოლოგიური საკითხების დამუშავება, სახელდობრ, შრომა ქვა-ჯვრების შესახებ და ეპიგრაფიული მასალების შეკრება. მოხსენებათა წაკითხვითა და ერთ დაბეჭდილ შრომაში ნათლად დაამტკიცა თავისი ნიჭი და გაამართლა მასზე დამყარებული ნდობა. ამიტომ აღძრულ იქმნა შუამდგომლობა განეგრძო მას უნივერსიტეტში დატოვება კვლავ ერთი წლით.

ბენედიქტე ჩიქობავა ნიჭიერი კაცია. ნიჭი დაეტყო ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, როდესაც იგი ჩინებულად სწავლობდა ენებს და სხვათა შორის **სანსკრიტულსა, სპარსულსა, არაბულსა და ძველ ქართულს**. მუშაობის დროს მუდამ ეტყობოდა სიდინჯე და სამეცნიერო საქმის სიყვარული, რაიცა მის ბეჯითობასთან ერთად მშვენი ერთი სამკაულია ახალგაზრდა კაცისათვის, რომელიც სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ემზადება. ამის გამო უნივერსიტეტის გათავებისას დატოვებულ იქმნა უნივერსიტეტში პროფესორობისთვის მოსამზადებლად ქართული ენის კათედრასთან. ერთი წლის განმავლობაში იგი ბეჯითად მუშაობდა და იკვლევდა სხვა და სხვა საკითხებს ქართული ენის შესახებ. სხვათა შორის შეისწავლა **მთიულური კილო და ფერეიდნული**, რომელთა შესახებ საყურადღებო მოხსენებანი წაიკითხა და ერთი შრომაც დაბეჭდა. ამ ჟამად იგი მუშაობს **გარეკახურის კილოზედ**, რომელსაც ახლო კავშირი აქვს ფერეიდნულთან. მისი მუშაობა საერთოდ ძველი ქართული ენის ძეგლებზე, რომლებიც წარმოდგენილია 9-10 საუკუნის ხელნაწერებით, და აგრეთვე **სადიალექტოლოგიო საკითხების კვლევა-ძიება** სავსებით დამაკმაყოფილებელია და ამიტომაც აღძრული იყო ჩემ მიერ შუამ-

დგომლობა, რათა მას განეგრძოს დატოვების ვადა ერთი წლით.

გიორგი ჯაკობია ტფლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოვიდა ხარკოვის უნივერსიტეტიდან და ჩაირიცხა სიტყვიერების დარგზე, სწავლობდა სპეციალურად **ქართულ სიტყვიერებას**, უნივერსიტეტში ყოფნისას გამოიჩინა საგანგებო ნიჭი, მუყაითობა და შრომის უნარი. სემინარში მისი მეცადინეობა სამაგალითო იყო, იქ მან წაიკითხა რამოდენიმე მოხსენება ქართული მწერლობის ისტორიიდან. ყველა ამის მიხედვით 1922 წელს უნივერსიტეტში კურსის დამთავრებისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, დატოვებულ იქმნა ქართული მწერლობის კათედრასთან ძველი საერო მწერლობის ისტორიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად. ერთი წლის განმავლობაში ჩვეულებრივი გულდადებით და ნაყოფიერებით მუშაობდა, მეცადინეობის დასამტკიცებლად უნივერსიტეტთან ყოფნის ვადა განეგრძო კიდევ ერთი წლით“[სეა, უიცა, ფ. 471, ან. 1, ს. N129, (?) IX. 1923 წელი, გვ. 6, 6ა, 9, 9ა, 14, 14ა, 19].

მაშასადამე, ზემოაღნიშნული საარქივო მასალით დასტურდება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრიორიტეტული იყო ჰუმანიტარული დარგების: ისტორიის, ენისა და ლიტერატურის სწავლება. ფუნქციონირებდა ქართული ენის, ქართული მწერლობის სომხეთის ისტორიისა და სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრები... ახალგაზრდა მეცნიერები სწავლობდნენ და იკვლევდნენ ძველ ქართულ ენას და უძველეს ქართულ ხელნაწერებს, ქართული ენის დიალექტებს (მათ შორის, ვერეიდნულსაც), სომხურს, სპარსულს, არაბულს და ა. შ. პროფესორების მიერ შედგენილ მოკლე დახასიათებებში ყურადღება გამახვილებულია საპროფესოროდ მოსამზადებელთა პიროვნულ თვისებებზეც, მათ შრომისმოყვარეობაზე, სამეცნიერო საქმისადმი სიყვარულსა და გულისხმიერებაზე. სამაგალითოა ივ. ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტში მოღვაწე სხვა მეცნიერების ამგვარი საქციელი, ვინაიდან ასეთი მხარდაჭერით ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ახალგაზრდა კადრების მოზიდვას, მათ დაინტერესებასა და პროფესიულ განვითარებას. მით უფრო, რომ შერჩეული კანდიდატები შემდეგი თაობის აკადემიკოსები და თავიანთი დარგის წამყვანი სპეციალისტები გახდნენ.

და, რომ მრავალმხრივი და მეტად მნიშვნელოვანი ლინგვისტური კვლევები მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტში, ცხადყოფილია პროფ. ავ. შანიძის მიერ შედგენილი 1923 წლის მუშაობის ამსახველი მოკლე ანგარიშითაც, რომელიც მან ქართული ენის კათედრას წარუდგინა: „1922 წლის გასულს, დეკემბერში, განსახკომის დავალებით გაგზავნილ იქმნა მოსკოვსა და პეტერბურგში და მონაწილეობას იღებდა იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა, განეხილა საკითხი მოსკოვსა და პეტერბურგის მუზეუმებში დაცული ქართული სიმკვლეების საქართველოსადმი გადმოცემის შესახებ. პეტერბურგიდან დაბრუნდა 1923 წლის მარტის დამლევს და განგრძო თავის ჩვეულებრივ მოვალეობათა შესრულება: რედაქტორობდა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეს“ და ლექციებს კითხულობდა შემდეგ საგნებში: ძველი ქართული ენის გრამატიკა (სისტემური კურსი 2 საათი), ქართული პალეოგრაფია (2 საათი), ქართული დიალექტოლოგია (1 საათი), სვანური ენა (2 საათი) და არაბული ენა (6 საათი). ამას გარდა აწარმოებდა სემინარულ მუშაობას ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებზე (1 საათი) და ვეფხის ტყაოსანზე (ტექსტუალური კრიტიკა, 2 საათი) ხელმძღვანელობას უწევდა კათედრასთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებულთა **ბ. ჩიქობავას და ვ. თოფურიას** სამეცნიერო მუშაობას და ამას გარდა ერთ ჯგუფს სტუდენტებისას კერძოდ ამეცადინებდა ძველ სომხურ ენაში (2 საათი). იმოგზაურა არქეოლოგიური მიზნით **(ბ. ჩიქობავასა და თოფურიასთან** ერთად) სამშვილდისა და ბოლნისის მიდამოებში. ამას გარდა ზაფხულში იყო ლინგვისტური მიზნით სვანეთში, სადაც იკვლევდა ბალს-ქვემოურსა და ლენტეხურ კილოს. შეისწავლა და გამოიკვლია ჰაემეტი პალიმფსესტი, რომლის პირვანდელი ტექსტი წარმოადგენს დაახლოებით მე-8 საუკუნის ძეგლს. მონაწილეობას იღებდა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მოქმედებაში, სადაც ასრულებდა თავმჯდომარის ამხანაგის მოვალეობას და სადაც წაიკითხა შემდეგი მოხსენებანი: 1. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ძეგლების შესახებ XI საუკუნის მწერლობაში. 2. ჰაემეტობა ადიშის სახარებაში. 3. დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები. 4. პროფ. ალ. ცაგარელის მოღვაწეობა და მნიშვნელობა ქართული ენათმეცნიერებისათვის. 5. ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. დაბეჭდა: 1. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პირის პრეფიქსის ხმა-

რამ თუ დაერთო რომელსამე თანხმოვანს, მას მნიშვნელობას გამოუცვლის. ამ ოთხი დამატებითი ნიშნის დახმარებით სრულიად ადვილად შეიძლება აფხაზური თანხმოვნების ყველა ვარიაციების გადმოცემა ქართული ანბანის საშუალებით. ვშუამდგომლობ, რომ ქრესტომათია დაიბეჭდოს ცხრაას ცალად უნივერსიტეტის ქაღალდზე და ეხლავე აღიდრას შუამდგომლობა, რომ გაკეთებულ იქმნეს ყალიბები და ჩამოსხმულ იქმნეს დამატებითი საჭირო ასოები. აქვე უნდა დავსძინო, რომ ბარემ ამასთანავე ერთად ჩამოასხან სვანური-სათვის და ოსურისათვის დამატებით საჭირო ასოები: **ჲჲჲჲჲ დამატებითი ასოების ჩამოსხმის შემდეგ საშუალება გვექნება ვაწარმოვოთ დიალექტოლოგიური ტექსტების ბეჭდვა.** 8. III. 1922 წელი. პროფ. ა. შანიძე“ [სეა, უიცა, ფ. 471, ან. 1, ს. 120, გვ. 1]. იმავე წლის 13 მარტს აღნიშნული მიმართვას პასუხად უნივერსიტეტში ასეთი ცნობა დაიწერა: „სახ. უნ-ტის გამგეობას. სიბრძნ. მეტყვ. ფა-ტმა ა. წ. 8 მარტს დაადგინა: ეთხოვოს გამგეობას მიიღოს ზომები, რათა ჩამოსხმულ იქმნეს სათანადო ნიშნები აფხაზური ენისთვის და დაბეჭდილ იქმნეს აფხაზური ქრესტომათია თანახმად პროფ. ა. შანიძის შუამდგომლობისა. მდივანი **გ. ახვლედიანი**, 13. III. 1922 წელი“ [სეა, უიცა, ფ. 471, ან. 1, ს. 120, გვ. 5].

როგორც ვხედავთ, ქართველი ენათმეცნიერები ქართულ და სხვა ენებთან ერთად იკვლევდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოძმე ერების მშობლიურ ენებსაც (აფხაზურსა და ოსურს). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მომავალ აკადემიკოსებს აკ. შანიძესა და ს. ჯანაშიას ქართული ანბანის საფუძველზე პირველად შეუდგენიათ სატრანსკრიფციო სისტემა, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო არა მარტო აფხაზურისთვის, არამედ სვანური და ოსური ენებისათვისაც. ამასთანავე, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ დამატებითი ნიშნების ჩამოსხმის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი სხვა დიალექტოლოგიური ტექსტების გამოქვეყნებაც. გ. ახვლედიანის მიერ მყისიერად გაცემული პასუხი და მიმართვა უნივერსიტეტის გამგეობისადმი იმის შესახებ, რომ ჩამოესხათ შესაბამისი დამატებითი ნიშნები აფხაზური ენისათვის და ამავდროულად, დაებეჭდათ აფხაზური ქრესტომათია, კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ სწორ დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალებითა და

საქართველოს ეროვნული არქივის სხვადასხვა ფონდებში დაცული არაერთი მასალით დასტურდება, რომ ახალი საბჭოური რთული პოლიტიკური რეალობის, მძიმე სოციალური ფონისა და გადაადგილებასთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, ქართველი მეცნიერები მაინც ახერხებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ გავრცელებული ცალკეული ენებისა და დიალექტების შესწავლას, ლინგვისტური ფუნდამენტური კვლევების განხორციელებას, სამეცნიეროექსპედიციებში მონაწილეობას და მნიშვნელოვანი ინფორმაციების მოპოვება-დამუშავებას. ზემოაღნიშნული საქვეყნო საქმეების ხელმძღვანელობით ან მონაწილეობით, ჩვენ მიერ დასახელებული და სხვა არაერთი ახალგაზრდა თუ ღვაწლმოსილი მეცნიერი ხელს უწყობდა ქართველოლოგიისა და ზოგადად, ენათმეცნიერების, როგორც სამეცნიერო დარგისა პოპულარიზაციასა და განვითარებას.

გამოყენებული წყაროები

- გაზ. „კომუნისტი“, 30 მარტი, N71;
- გაზ. „კომუნისტი“, 1 აგვისტო, N 175;
- სეა, უიცა, ფ. 471, ა. 1, ს. 27;
- სეა, უიცა, ფ. 471, ან. 1, ს. N129, (?) IX. 1923 წელი;
- სეა, უიცა, ფ. 471, ან. 1, ს. N120. 1923 წელი.

ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი მ ზ ი ა , ც ე ც ხ ლ ა ძ ე ნ ა ნ ა

ზოგი ზმნური ერთეულის თავისებურებანი აჭარულში

ენის ლექსიკური ფონდი ამოუწურავი და ცვალებადია, ის მუდმივად მოითხოვს მკვლევართა ყურადღებას. კიდევ უფრო სწრაფად იცვლება დიალექტური ლექსიკა, ის წარმოაჩენს ენის, როგორც სისტემის, თავისებურებებსაც და სინქრონიულსა თუ დიაქრონი-

ულ ცვლილებებსაც. დიალექტების ლექსიკონების შევსება-განახლებისთვის საჭიროა არსებული მონაცემების გაციფრება, ახალი ენობრივი მასალების მოძიება, მაქსიმალური სიზუსტით აღნუსხვა, თანამედროვე მეთოდებით დამუშავება და კვალიფიციური ანალიზი. ენობრივ მონაცემთა დიგიტალიზაცია-არქივირება 21-ე საუკუნის ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. სწორედ აღნიშნულ მიზნებს ემსახურებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო პროექტი „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“ (**LinCuDiGi №DI 2016-4**), რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა. დღეისათვის არსებული მდიდარი დიალექტური ლექსიკონები ვერ იძლევა სრულყოფილ სურათს ინტერდისციპლინური კვლევებისათვის, მაშინ, როცა საქართველოში აღნიშნული პროექტით დაინერგა ენობრივი რესურსების მოპოვების, სტრუქტურირების, შენახვისა და მართვის პროგრამული პაკეტი: ELAN-ი და FLEx-ი, რომელთა შესაძლებლობებიც უპრეცედენტოა.

„ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“ (Digiarchiv) ემსახურებოდა საქართველოში თანამედროვე კვლევების განსახორციელებლად დოკუმენტისტიკის ძირითადი პრინციპების დანერგვას, დოკუმენტირება-არქივირების თანამედროვე ჩარჩოსტანდარტის შექმნას ELAN-ისა და FLEx-ის ფორმატებში. პროგრამული პაკეტი „FLEx-ი უნიკალური ინსტრუმენტია ლექსიკონის შესაქმნელად: ELAN-იდან FLEx-ში ანოტირებული და ინტერლინიალიზებული სიტყვები ლექსიკონში (Lexicon) ავტომატურად აისახება. ცალკეული სიტყვის შესახებ გროვდება მრავალფეროვანი ინფორმაცია: ანთროპოლოგიური კატეგორია, ჟანრი (მონოლოგი, ბიჰევიორული ტექსტი, ნარატივი, წყაროები, მკვლევრები, ლოკალიზაცია, მოქმედები და ა.შ.). ლექსიკონი ასევე შეიცავს სიტყვათა სიას გრამატიკული ინდექსებითა და განმარტებებით, რაც შესაძლებელს ხდის ენობრივი მასალების სინქრონიულ და დიაქრონიულ ანალიზს“ (Tandashvili, Khalvashi... 2020:36).

აჭარული დიალექტის შესახებ არსებობს სამეცნიერო ნაშრომები, მაგრამ დღესდღეობით კვლავაც აქტუალურია **ამ კილოს ლინგვისტიური პორტრეტის სრულყოფის საკითხი**: გრამატიკული თავი-

სებურებების კვლევა, არსებული მონაცემების შევსება, საამისოდ კი პირველ რიგში საჭიროა **სალექსიკონო მასალების მოძიება**.

ნაშრომის მიზანია აჭარული დიალექტის ზოგი სპეციფიკური ზმნური ერთეულის აღნუსხვა, სემანტიკის დაზუსტება-შევსება და ანალიზი, ასევე მასალების თანამედროვე მეთოდებით დამუშავების უპირატესობების ჩვენება. ზოგი მათგანი დარგობრივი ლექსიკის ნაწილია: უკავშირდება მეცხოველეობას, მემცენარეობას, ყოფა-ცხოვრებას და ა.შ. ესენია: **მოგანვება, მოფერება, წიკვა, აწევა, დაბეწვა, სხრიკება**.

მოგანვება იშვიათი ლექსემაა: მერე ეს ძე მოვწველე, შევედი, ხბოები **მოვაგანვე**, მოვწველე საქონელი (შუახევი, ზინურ ქარცივაძე, 80 წლის).

აგანებს სიტყვა მოხეურ დიალექტშიცაა. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, **მოგანუება** არის ძროხის მოწველის წინ ჩვილი ხბოს ძუძუზე მიშვება იმ მიზნით, რომ ძროხას რძე ჩამოეყარა და მოწველა გაადვილებულიყო (გვ. 354). მიაჩნიათ, რომ „ზემო აჭარულში ეს სიტყვა ზანურიდანაა შესული, ისევე როგორც იმერულში სიტყვა განვა. მეგრ. გენ-ი//გინ-ი (**მოგანუ**: „ხბომ მოწოვა მოწველამდის“ (კობერიძე, 2011:52). სიტყვა **გენი** (ლაზ.-ხბო) ლაზურშიც დასტურდება (თანდილავა, 2013).

საანალიზო ფორმა ნასახელარი უნდა იყოს. შ. ნიჟარაძის ლექსიკონში დასტურდება **მონაგვება** – მცირე ხნით ხბოსათვის, თიკნისა და მისთ. ძუძუს მოწოვინება წველის დაწყების წინ, მოგერისება (ნიჟარაძე, 1971). ჩვენი აზრით, ეს იდიოლექტი, ინდივიდუალური მეტყველების ნიმუშია და მასში მეტათეზისი გვაქვს.

მკვლევარი ნაწული ნოლაიდელი **მოგანება//მოგანვება** ფორმათა ვარიანტად **მოგანურებასაც** ასახელებს, სემანტიკა ზუსტად იგივეა: მოწველის წინ ხბოს მიშვება ძროხასთან ძუძუს მოსაწოვად: ხბოს ოთხივე ძუძუზე პირს მოავლებიებენ- **მოაგანებენ**. ძროხა თუ არ **მოაგანე**, ისე რძეს არ მოქცემს (ნოლაიდელი, 2013: 172).

ქართულ დიალექტსა და ქსნის ხეობის მეტყველებაში აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება **მოგერისება**, რომელიც შემდეგნაირადაა ახსნილი: ძროხას ხბოს რომ მოაშორებენ და და რძეს აღარ იძლევა, წინ ხბოს ტყავის გუდას დაუდებენ, როცა მას უყურებს ძროხა რძეს იძლევა (ღლონტი, 1974: 369).

ამ მეტად საინტერესო ლექსიკური ერთეულის შესახებ თანამედროვე მეთოდებით დამუშავებული ინფორმაცია იგზავნება Elan-ში, სადაც მედიაფაილი გაიხსნება FLEx-იდან ექსპორტირებული შესაბამისი, შრეებად დაშლილი მონაცემებით. შესაბამისად, მრავალფეროვანი (სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი, რელიგიური და ა.შ.) რესურსი ინტერდისციპლინურია. „რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის საფუძვლად დაედება ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევებს, რადგან მასში ასახულია სხვადასხვა ტრადიცია, კერძის მომზადება, რომელიმე დარგისთვის ფასეული ინფორმაციაც და ვიდეოგამოსახულებაც (Tandashvili, Khalvashi... 2020:34). ამგვარი მასალა ვალიდურია და ფასეული ეთნოლოგების, ეთნოგრაფების, ლინგვოკულტუროლოგებისათვის, რაც მეტად მნიშვნელოვანი სიახლეა. აქვე შესაძლებელია სპეციალური ლიტერატურის და სხვა წყაროების მითითებაც.

ლექსემა **მოფერება** აჭარული დიალექტის მიხედვით **მოხერხება, მოგვარებაა**. **აფერებს** - ახერხებს, ართმევს თავს (ნიჟარაძე, 1971). მოვიყვანთ სათანადო მასალას: მისი ხელი მალამო იყო მოტეხილობას აკეთებდა, ისე ბაღნებს უწამლიდა უშვილობას უწამლიდა ყველაფერი იცოდა... ახლა ჩემი ექსი გოგო მყავს, არცერთს არ აინტერესებენ მიწაში ნა ჩევტანო და მეზობლებს თლათ ვასწავლი ჰო, მარა ვერ **აფერებენ**, ვერ **აფერებენ** იმა **მოფერება** რათ უნდა?! (მახო, ხატიჯე მსხალაძე, 78 წ.).

იგივე მნიშვნელობა რეალიზდება შემდეგ მაგალითებშიც: იმა-სა რა უნდა, ანაი-ბაბოი თავზე ყავს დამდგარი, ყველამფერი **მუუფერდება** (*ჰილმიე*) ანამისმა **მუუფერა** ყუელამფერი (*ინეგოლი*); ფეთიმ ბაღვსა ვინ'ნა **მუუფეროს** ქალი მოყუნა?! (*ბახჩაყაია*, ფუტკარაძე, 1993: 518).

შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულში“ მოცემულია შემდეგი განმარტება: **მოფერება** (Msd) მუუფერებს (V: 3 Fut Trns), მუუფერა (V: 3 Aor Trns), მუუფეროს (V: 3 Trns), მუუფერდება (V: 3 Fut). **იხილეთ: მომფერო** (მოხერხებული).

ქდვ-ში დასტურდება ამ ფუძის შემდეგი სიტყვები: **აფერებს, დააფერებს, მიაფერებს, შააფერებს: 1. ფერებაა** (Msd) აფერებს (V: Sg 3) მიმსგავსება ვისამ ვახედვოთა ცხვარი უდერაჟი, ვისამ **გაფეროთა**, ლაზათის ჭირიმე (ქდვ, თუშური ლექსიკონი, ცოცანიძე, 2012); 2.

აფერებს (V), ამსგავსებს, მიამსგავსებს (ქდვ, ხევსურული; **3. აფერებს** (ქდვ, მოხეური ლექსიკონი).

ვაფერე ჩემსა მძობილსა ხოლიგათ თათარასაო (გ. დოლ. 72, 3); ძუნძულთ ბეკიას **ვაფერებ**, კაცმ რომ უყურას სახესა (*ვაჟა*, 133, 23); შაგზდება ჭირის პატრონი, **გაფერებს** ქისტის ყმასაო (*ხევს. პოეზ. 208, 17*); ახლა გამისხორიგდი, მსახურს **გაფერებ** სხვისასა (*ხევს. პოეზ. 42, 2*); რაში **აფერე** ერთუცსა ჳევსური არხოტელია? (*ბ. გაბ. 255, 2*)

თუ დავაკვირდებით, აჭარულ დიალექტში ამ სიტყვის მნიშვნელობა მოხერხება, მოგვარებაა (მოაფერა მან იგი), სხვა დიალექტებში – მიმსგავსება (მოაფერა მან მას ის), აჭარულისგან განსხვავებით თუშურში, მოხეურსა და ხევსურულში ობიექტად ვინ ჯგუფის სახელი იგულისხმება.

სიტყვა **წიკვა** ზიდვის მნიშვნელობით გავრცელებულია სხვადასხვა დიალექტში (იმერ. ლეჩხ. გურ.) (დლონტი, 1974). აჭარულში ნიშნავს ზიდვასაც, წაღებასაც, აწევასაც (მძიმე საგნისა) (ნიჟარაძე, 1971).

ეს თურქეთში რომ დადიოდენ, **კონტრაბანდს წიკავდენ** და... წევდოდენ და იქიდან ყველაფერს ყიდულობდენ და მოქონდენ და იქ ყიდდენ (ხელვაჩაური, ხატიჯე მსხალაძე), – ვკითხულობთ დიგიტალური არქივის მასალებში.

წიკავს (V) **იხ.** წიკვა: ზიდავს, ეზიდება, გადააქვს-გადმოაქვს: ამით სიმინდ წიკავთ? (*იმერხევი*); აღარ **ვწიკავთ** ყაბებ (*უბე*) (ჩვენებ., შავშ.).

2. წიკავს (V) **იხილუ:** აიწიკავს, ზიდულოფს, იწიკება, უწიკავს: ზიდავა შეუძლია, საზიდავს ერევა, ცოტა წეილე, ბიჭო, მაგდენს ვერ **წიკავ!** **წიკავს** (V)–ტვირთს ეზიდება; შემას **წიკავს** ტყიდან.

პოლივექტ გაჩეჩილაძესთან „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალაში“ მოცემულია ამ ზმნის შემდეგი განმარტება: **აიწიკავს** (V) *ეიწიკავს*, **იხილუ:** წიკავს, იწიკება, გაწიკვა, აზიდავს: თავისთვის **ეიწიკა** სახში სარჩო; **ეიწიკა** ტომარა და შეიდავა ზურგზე. მოკლედ, იმერული დიალექტის მიხედვითაც **აწიკავს** (V) **ზმნა** ნიშნავს იწიკება, ასწევს, აიღებს, აზიდავს, ძლივს **აწიკა** ერთი ხელით. სიმინდი ნალიაში **აწიკეს** (გაჩეჩილაძე, 1976).

წიკვა ზიდვის მნიშვნელობით გამოიყენება ლექსურშიც; დიდგანი კასრულები'ნა აწიო, ათრიო, შენ მასხრობა ხომ არ გგონია?! (ქდკ, ქართული დიალ. 1961).

აჭარულში ომონიმური **წიკვა** ზმნის მნიშვნელობაა **ჩანისკარტება**: კვერცხს ჭუჭული **წიკავს** თვითონ (ნოლაიდელი, 2013: 248).

მოკლედ, **წიკვა** ზმნა იმერულში, ლექსურში და გურულში უკავშირდება ზიდვას, აჭარულში ემატება მნიშვნელობები: გადატანა-გადმოტანა, მძიმე საგნის აწევა, წაღება, ომონიმურია **ჩანისკარტება**.

განვიხილოთ მომდევნო ლექსიკური ერთეული **აწევა**: აჭარულში გაფართოებულია ამ ზმნის მნიშვნელობებიც. ქდკ-ში მოცემულია სამხრული კილოების მონაცემები: **1. აწევა** (Msd) რომელიმე ტრადიციული წესის, ჩვეულების მოშლა: დოდოფალ ფულ აჩუქებენ, ახლა ის **აწიეს**, აღარ იჯებიან (*ჩაქველთა*); **2. აწევა** (Msd) აღება, გადაღება კერძისა, მაგალითად, ხორცის ნაჭრებისა; **აწიე**, მიდი, აწიე, აწიე! (*სანათისი*); **3. აწევა** (Msd) აწიონ (V: PL3) **აყრა ხალხის**: ახლა კიდე იქიდან'ნა მოვდოს გზაო, იძახიან, აწიონ'ნა ის ხალხიო (*სანათისი*) (ფუტკარაძე, 1993: 571).

აჭარულში **აწევის** მნიშვნელობად მიცვალებულის გასვენებაც გვაქვს: სანამ კტარს **აწევდენ**, ჭამდენ ჭო, საქმელს (ხელვაჩაური, ხატიჯე მსხალაძე, 78 წლის).

ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონის მიხედვითაც **აწევა** მიცვალებულის დაკრძალვაა. ...ამ დღის ჭირისუფლები, ისე როგორც მეზობლები, განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. დაკრძალვას **აწევა**, ხოლო დაკრძალვის დღეს ტირილი ეწოდებოდა (გვ. 59).

შ. ნიჟარაძესთან ამ სიტყვის მნიშვნელობაა **აღება, ალაგება**: **აწევა** – ყანის აწევა, მოსავლის აღება, მოწევა (ნიჟარაძე, 1971).

„ჩვენებურების ქართულში“ ვკითხულობთ: აწევს: ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა: 1. შეძლებს, რაიმე სახის ტრანსპორტით წაიყვანს. მათი ოჯახი ამხელა საქმეს ვერ **აწევს** (ინეგოლი); მუა ახლა არაბად და **ამწევს** აქედან (ჰილ.); რომ გადმოხვალ ჰუდუდზე, ტელეფონი დიმიკარ, მუალ და **აქწევ** ამსოლოდში (ჰილ.) (ფუტკარაძე, 1993:387).

აჭარულში „ასწია“ გამოიყენება სიტყვის მასალადაც: მაი, შვი-
ლოზდა ბინის ყიდვას აპირებდა, მარა ასწია და მოკტა.

აწევა თუშურში ზიდვას უკავშირდება: აწევა (N) იხილუ: ამო-
საზიდი (ქდკ, თუშური ლექსიკონი, ცოცანიძე, 2012). **ინგილოურში**
გვაქვს ამ სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები: **აწევა (Msd) ჰწევს (V:**
Sg 3 Prs) **გაძლება, ატანა, მოთმენა:** ზოგ ხედ გატუსას ვეს **ჰწევს,**
ტყრბვ (ზოგი ხე გატრუსვას ვერ უძლებს, სკდება). ე გადად ხუმრო-
ვას ვერ **ჰწევს,** მალე ჟავროვს (ეს ვაჟი ხუმრობას ვერ იტანს, მალე
ბრაზდება); მე აქამრ ჰაერ ვერ **ოჰწივ,** ავად გოჯ (მე აქაური ჰაერი
ვერ ავიტანე და ავად გავხდი) (ქდკ, ინგილოური კილოს ლექსიკონი,
დამბაშიძე, 1988).

მოკლედ, **აწევა** ზმნის მნიშვნელობები მრავალფეროვანია. ესე-
ნია: **ზიდვა, მალლა ატანა; აღება, მოსავლის აღება-ალაგება, ტრან-**
სპორტით წაყვანა, ხალხის ასახლება, გაძლება, მოთმენა, რაღაცა ჩვე-
ულების მოშლა, მიცვალებულის დაკრძალვა, სიტყვის მასალა.

იმვითი სიტყვაა **დაბეწვა დაბეწ(ც)ნაც** – დანის დასმით ბეწვე-
ბის გაცლა (კარაქში), გაწმენდა (ნიჟარაძე, 1971). ქიზიყურში გვაქვს
აბეწვა: 1. აბეწვნა (Msd) ბეწვის გამორჩევა კარაქიდან დანის პირით
ჩვილ კარაქს დანის პირს უსვამენ, ბეწვი თუ აქვს შეყოლილი, დანის
პირს გამოსდევს და აცლიან (ქდკ, ქიზიყური ლექსიკონი, მენტეშაშ-
ვილი, 1943).

სუფთა ნადულს ვჭუჭკავდით დიდ ბოჭკებში, მერე იმას ასე
დავბეწვავდით, რომ ბეწვი, რამე არ შეყოლოდა, დიდხანს ბეწვა უნ-
დოდა იმას, ძალიან რთული გასაკეთებელია (შუახვევი); ხო, აბა?
ცალკე-ცალკე გობებში ასე **ვბეწვავდით, ვბეწვავდით,** მერე აე კარ-
გათ ხელებს დავაიმასვიზამდით, მერე კიდეც **ვბეწვავდით,** კიდეც
ვბეწვავდით და ის სუფთად სულ, რამე თუ ბეწვი ქონდა იმას პატარა,
ოდნავ პატარაც, ეს დანა (შუახვევი, შექერ ფუტკარაძე, 91 წლის).

აბეწვნა, ამობეწვნა იმერულშიცაა: **1. აბეწვნა (Msd).** აბეწვნის
(V: Sg 3 Fut); რაიმე წვრილ-წვრილის სათითაოდ აკრეფა წვრილი
ლურსმნის, წვრილი ფიჩხის და ა.შ. – **აბეწვნი, ბებია, აბეწვნი,** არ და-
რჩეს რამე, თვარა გაგვიწყრებიენ!

ამობეწვნა (Msd) ბეწვების ამოგლეჯაცაა: გოგომ **ამეიბეწვნა** ბა-
ლანი ლოყებზე. **ამეიბეწვნი** მაგ ბალანი კანჭებზე, გოგო ხარ, რათ
გინდა! (შარაშენიძე, 2008).

მოკლედ, **დაბეწვა** (აჭარ.) და **აბეწვა** (კახ. იმერ.) უკავშირდება ბეწვის ამოდებას, თუმცა აჭარულში დარგობრივი ლექსიკის კუთვნილებაა, სხვა დიალექტებში – არა.

სხრიკება ზემოაჭარულში დასტურდება. მისი მნიშვნელობებია: **გადევენა, ფეხდაფეხ მიყოლა; გამოკიდება, მცდელობა; გათხოვება, განდევნა.** გვხვდება **სხრიკება** - ზმნის სხვადასხვა ზმნისწინდართული ფორმა: **წასხრიკება (Msd), გამოსხრიკება (Msd), წამოსხრიკება (Msd), წამომესხრიკა (V:1Aor), მესხრიკება (V:1Prs),** ძალი წამესხრიკა; შექერამ რომ **გამეგესხრიკა** ზოფაით, ის აღარ გახსოვს? (შუახევი, ნ. ფუტკარაძე); მათი ციცამ **გამეესხრიკა** ჩუენ ბაღვსა, სუჩი (თურქ. დანაშაული) არ გუაქ (*ინეგოლი*) (ჩვენებ.).

მეტად საინტერესოა ჩვენებურთა მეტყველებაში დაცული მეორე მნიშვნელობა: **2. ესხრიკება:** დაეძებს, ცდილობს ჩემი ციცი რას **ესხრიკება** იცი?! (*ჰაირიე*);

კიდევ უფრო იშვიათია **განდევნის** სემანტიკა: **წამოსხრიკება: გააქცია, განდევნა, მოიგერია:** მაგენი აქიდან რამითი ხანია წამეისხრიკიეს (შუახევი, ეთერ დიასამიძე, 56 წლის); ძუნანები **წამეისხრიკია** ქემალ ფაშამ (*თუფექი ქონაქი*) (ჩვენებ.1993).

გამოსხრიკება ზმნის მნიშვნელობა ცოლად გაყოლაგა მშობლების ნებართვის გარეშე: ამის პრატი იმის ბიჭ გამოსხრიკებია (შუახევი, ეთერ დიასამიძე, 56 წლის).

ამრიგად, აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალის სრულყოფა გადაუდებელი საქმეა. ამით შეივსება ამ კილოს ლინგვისტური პორტრეტი, რაც მოგვცემს სხვა დიალექტებთან შედარების შესაძლებლობას. ეს აუცილებელია იმის ნათელსაყოფადაც, ჩვენებურთა შთამომავლების მეტყველებაში ლექსიკურმა ერთეულებმა რა სემანტიკური ცვლილება განიცადა, ჩანს თუ არა თურქული ენის გავლენა. ამგვარი შესწავლა პერსპექტიულია ენის ისტორიის თვალსაზრისით და ქართველურ ენებთან მიმართების დასადგენადაც. მასალების თანამედროვე მეთოდებით დამუშავება მულტიდისციპლინური კვლევების საფუძველი გახდება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, რედაქტორები: ა. კიზირია, მ. ქალდან; გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1976;

გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1961;

თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა), თბილისი. 2013;

კობერიძე მ., ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი. 2011;

მენტეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი. 1943

ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი, საბჭოთა აჭარა, ბათუმი. 1975;

ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, თბილისი. 1971;

ნოღაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, აჭარული დიალექტის ლექსიკური მასალების მიხედვით, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი, ბათუმი. 2013;

ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული ლექსიკონი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი. 1993;

ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი, ბათუმი. 2019;

ღამბაშიძე რ., ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, განათლება, თბილისი. 1988;

ღლონტი, ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. წ. 1, 2. განათლება, თბილისი. 1974.

შავშეთი, 2011 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მათა ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, შავშეთი, გამომცემლობა ჰოროსი XXI. თბილისი.

შარაშენიძე ნ., საჩინოური ქართული, ქვემოიმერული კილოს ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით, თბილისი. 2008;

ცოცანიძე გ., თუშური ლექსიკონი, მე-2 შეესებულებული და შესწორებული გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი. 2012.

Tandashvili M. , Khalvashi R., Beridze Kh., Khakhutaishvili M., Tsetskhladze N., Modern Program Packages (FLEx and Elan) of the Language Data Management and the Prospects of Their Usage (Co-author), International Journal of Multilingual Education, 16-th volume, 2020. pp. 32-43, DOI *ijme.2020.16003*, ONLINE.

<http://multilinguaeducation.org/storage/uploads/articles/+16-sruli.pdf>

ლ უ ი ზ ა ხ ა ჭ ა კ უ რ ი ძ ე

მარხვასთან დაკავშირებული ტერმინებისათვის დასავლეთ საქართველოში

ექსპედიციებში ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებსა და გამოცემულ ეთნოგრაფიული ტექსტებში ჩვენი ყურადღება მიიქცია მარხვასთან დაკავშირებულ ტერმინთა სიუხვემ. ერთმანეთისაგან განსხვავდება რელიგიური და ხალხური მარხვის ასპექტები.

რელიგიურ ლიტერატურაში მარხვის წესი ჯერ კიდევ ძველ აღთქმისეულ ეპოქაში იყო, პირველი მარხვა უფალმა ადამს და ევას სამოთხეში დაუდგინა, როცა უამრავი ხილიდან ერთადერთის ჭამა აუკრძალა. სახარებაში მოთხრობილია ფარისეველზე, რომელიც ამბობს, რომ ორჯერ იმარხავს კვირაში; იოანე ნათლისმცემელმა მარხვაში გაატარა მთელი თავისი ცხოვრება; ქრისტემ 40 დღის მანძილზე იმარხულა უდაბნოში. საქმე მოციქულთაში არაერთი ადგილია, სადაც კონკრეტულად მოციქულთა მარხვის შესახებ არის საუბარი. მარხვა ქრისტიანულ ცხოვრებაში შედის ისე, როგორც მოწამეობისათვის მომზადება.

მარხვას თავისი ისტორია აქვს. მაგ., მრავალდღიანი მარხვები მხოლოდ IV საუკუნეში ჩნდება. მანამდე ქრისტიანები ისე მარხულობდნენ, როგორც დღეს იუდეველები და მუსლიმები მარხულობენ, ანუ, ასეთ შემთხვევაში ადამიანი მარხულობს, უფრო სწორად შიმშილობს, მთელი დღის განმავლობაში. მრავალდღიანი მარხვები ჩნდება მართლმადიდებელ ეკლესიაში, მაგრამ იმ ხანებში უკვე ჩნდება მცდელობა, რომ გამოიყოს სამარხვო და არასამარხვო საკვები. ბიბლიაში არ არსებობს რაიმე მინიშნება სამარხვო საკვების შესახებ. IV საუკუნეში უკვე არის მცდელობა, რომ გამოცდილებით გზით განირჩეს, რა არის სამარხვო და რა არასამარხვო (კურაევი <https://www.palamacentre.com>).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (როგორც გამოქვეყნებული, ასევე ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან) ირკვევა, რომ ადამიანები ოდითგანვე მარხულობდნენ დაავადების გამომწვევები სხვადასხვა ღვთაების გულის მოსაგებად და ოჯახის ბარაქისათვის (საქონლის მტაცებლისაგან დაცვა, მოსავლის კეთილნაყოფიერება...). შემდეგ ეს რიტუალი ქრისტიანული წმინდანების მიმართ გადმოვიდა; მარხულობდნენ მიცვალებულთა სულის საპატივცემულოდ და მგლოვარების ნიშნად, მარხულობდნენ აღთქმის დადების გამოც. ყოველივე ეს განაპირობებს მარხვის აღსანიშნავ ტერმინთა მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, რომ ამ მრავალგვარობას უფრო მთა ინარჩუნებს, ბარში კი დღესდღეობით ერთეული ტერმინი გვხვდება.

ყველა დაავადებას თავისი „გამომწვევები სალოცავი“ ჰყავდა და ამიტომაც კონკრეტული ავადმყოფობის დროს მას ევედრებოდნენ მშვიდობით გადარჩენას. შესაწირს შეუთქვამდნენ გარკვეულ დღეებს. ეს დღეები უქმედ ცხადდებოდა, მარხვით აღინიშნებოდა, ან ამ დროს სრულდებოდა რაიმე რიტუალი ყოველწლიურად „სამუდამოდ“ ან გარკვეული წლების მანძილზე, აღნიშნულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით. ამ ტრადიციას საქართველოს ყველა კუთხეში ვხვდებით, მაგრამ, შეიძლება ითქვას, შეთქმული დღეების სიუხვით სვანეთი და რაჭა გამოირჩევა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეთქმული დღეები არ ემთხვევა სალოცავების ძირითად რელიგიურ დღესასწაულებს.

ჩვენი მასალების მიხედვით, დღეს რაჭასა¹ და სვანეთში დაავადებებისაგან განკურნებას სთხოვენ დიდ ღმერთს (უფალს), „დედახთვისას“, წმინდა ბასილს, წმინდა ბარბარეს. „გაზაფხულზე, თებერვალის ბოლო დღეს, უფრო ხუთშაბათობით ოჯახის დედა ან ბავშვები, უმეტესად გოგონები თორმეტი წლის ზემოთ, სადილის მერე და მეორე დღის ბოლომდე მარხულობენ ანუ **დაიურწყებდნენ**, დღესაც **პირურწყობის** დღეს ვეძახით. რაჭაში **ურწყობდნენ** მაშინაც, როდესაც შესთხოვდნენ ბატონებს, აეცდინათ სახადი - ყვავილი“. შდრ. **ურწყ** (სვან.) – მმარხველი ჭირის დროს.

ბალს ზემოთაც ამ დღეს მლოცველი მარხულობს ანუ **მეტმე** (მოშიმშილე). „სვანეთში და რაჭაში სახლში გამოცხვარ პურებსა (**ლეტურე** - სვან., **ქადიანი** – რაჭ.) გაატნევდნენ ბავშვს, სალოცავში, გასამრჯელოდ ბავშვი სალოცავში 2-3 ლემზირს თუ ქადიანს დატოვებდა. დანარჩენს სახლში წამოიღებდა, აქ ყველანი თავიანთ წილ **ჭკვტ**-სა და ლემზირებს შესჭამდნენ, ამის შემდეგ კი **მეტმე** პირს აიხსნიდა“ (ბარდაველიძე 1941). **მეტმე** (სვან.) – „მოშიმშილე“.

თუკი ადრე აღნიშნულ რიტუალს სალოცავში კვერების მიტანითა და ლოცვით აღნიშნავდნენ, დღეს სვანეთშიც და რაჭაშიც სახლში ტარდება და მასში მხოლოდ ოჯახის წევრები მონაწილეობენ. ოჯახში შესრულებული ლოცვები, როგორც წესი, გვიან ღამით ტარდება, უცხო არავინ უნდა დაესწროს. ამ ღამეს სვანეთში **ლაღჩა ლეთ**² ანუ „დამცველი ღამე“ ეწოდება (სვანეთი, 2015), ხოლო რაჭაში **პირურწყობა** ჰქვია. ორივე შემთხვევაში რიტუალის შემსრულებლები მარხულობენ, უფრო ზუსტად შიმშილობენ.

სამეგრელოში დღეს შემორჩენილი ტრადიციებიდან ძირითადად „ბატონების“ დაავადების დროს მარხულობენ: „თურქი ბატონებია, თუ ვერ მოუარე, არ დაგინდობს. ამ დროს მარხვის დაცვა არ შეიძლება, ქალი ბატონების დროს შეიძლება იმარხვო, ჩვენ **პიჩვანს** ვეძახით. ხორცი და რძის პროდუქტი არ უნდა ჭამო, სანამ არ გადააბრძანებ ბატონებს“ (შავიანიძე 2015: 191).

¹ მასალა ჩავიწერეთ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ ზარზმაში ზემო რაჭიდან (სოფ. ღები) ჩამოსახლებული რაჭველებისგან

² [ლაღჩა / ლიღჩე - თავის მოვრთხილება / დაცვა](#) (ენციკლოპედიური ლექსიკონი 2006)

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სამეგრელოში დიდ-მარხვის წინა დღეს იხსენებდნენ ღვთებას **ჟინი ანთარი** (დღეს უკვე აღარავის სწამს). ამ დროს ოჯახი **იპიჩვანს** „მარხულობს“. მეორე დღეს ქალი კვერებს დააცხოზდა, მამაკაცი სანთელს აანთებდა და ლოცვას ადავლენდა, რომ ღვთაებამ ნადირს კბილი შეუკრას და გარეთ დარჩენილი საქონელი უვნებელი დარჩეს (აბაკელია 1983).

იმერეთში საეკლესიო მარხვის დაწყების დღეს **დაურწყებას** უწოდებდნენ, ხოლო მარხვას – **პირურწყებას**: „**დაურწყება** დღეს ჩემი დედამთილი ტაბლას გახეხავდა, დამდულრავდა, ასევე ჭურჭელს, თითონ მარტო მარხულობდა და თავისი ჭურჭელი და ტაბლა ქონდა. პირნათალდ იცავდა მთელ პირურწყობას“ (ქუთაისი); „შემოდგომაზე მოსავალს რო დავაბინავებდით და ღვინოს დავწურავდით, ბოლოს ვიცოდით „შემოდგომის საკურთხი“; საკურთხობის წინა დღეს **ვურწყობდით**, სანამ საკურთხს არ წავდგამდით, პირში არაფერი უნდა ჩაგედვა, ამას **ურწყობას** უძახოდით და წადგმის მერე ვიხსნილებდით. ასე უფრო მიუვაო მიცვალებულს საკურთხი, ბებიაჩემი მასწავლიდა“ (სოფ. ნახახულევი; აწსუ ქართველოლოგიის ცენტრის მასალა).

სვანეთში ჭირის დროს მიცვალებულთათვისაც მარხულობდნენ და მას **ლიურწყვი**, ასეთ დროს მმარხველს კი **ურწყ** ეწოდება. „როცა ოჯახში მიცვალებული გყავს, დასაფლავებამდე ოჯახის წევრები და ახლობლები მარხულობენ, ამას ჩვენ **ლიურწყვს** ვეძახით. ხორცს, კვერცხსა და რძის ნაწარმს არ ვჭამთ. ადრე უფრო შიმშილობდნენ, ახლა ასეა და მერე საკლავის დაკვლისას ვიხსნილებთ“ (სოფ. ბეჩო, 2015). საეკლესიო მარხვას **ლიუჭმი** ეწოდება. თუ სხვა შემთხვევებში მარხულობა ძირითადად ერთდღიანი იყო და შიმშილობდნენ, ამ დროს მართლმადიდებლური წესის თანახმად მხოლოდ გარკვეული საჭმელი იკრძალება.

დღეს საეკლესიო მარხვის აღსანიშნავად სვანეთში გვხვდება ტერმინი **ლიუჭმი**, სამეგრელოში – **პიჩვანი**, ხოლო რაჭასა და იმერეთში არსებული ძველი ტერმინი **ურწყობა** „მარხვამ“ ჩაანაცვლა.

როგორც განხილული მასალები მოწმობს, მარხვასთან დაკავშირებულ ტერმინთა დიფერენციაციას განაპირობებდა მარხვის ხასიათი, ანუ, რას ეძღვნებოდა ეს მარხვა. ამავე დროს უდავოა ის

ფაქტი, რომ მარხვის უძველესი სახე საქართველოშიც შიმშილი იყო ისე, როგორც უხსოვარი დროიდან ვიდრე IV საუკუნემდე, როცა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შიმშილობა გარკვეული აკრძალვებით შეცვალა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბაკელია 1987 – აბაკელია ნ., ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში, „ღვთაება ჟინი ანთარი“; მაცნე, 1983, #2.

ბარდაველიძე 1941 – ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941.

ბურდული 2010 – ბურდული მ., ქართული ტრადიციული სამედიცინო ცოდნა, ახალციხე, 2010.

ენციკლოპედიური ლექსიკონი 2006 – უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 3 ტომად; შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. პირველი გამოცემა, თბილისი, 2006.

კურაევი – დიაკონი ანდრეი კურაევი, მარხვის წესებისა და სექსუალური ურთიერთობის შესახებ – წმიდა გრიგოლ პალამას სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ცენტრი <https://www.palamacentre.com>

მაკალათია 1987 – მაკალათია ს., მთის რაჭა, თბილისი, 1987.

მინდაძე 1981 – მინდაძე ნ., ქართული ხალხური მედიცინა, თბილისი, 1981.

შავიანიძე 2015 – შავიანიძე დ., სამეგრელო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, ქუთაისი, 2015.

წერედანი 2006 – წერედანი ნ., სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, თბილისი, 2006.

აწსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მასალა.

სვანეთსა (2015) და ადიგენში (2017) სამეცნიერო ექსპედიციების პერიოდში ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა.

ნანა ხოჭოლავა - მაქავარიანი, დავით ქელიძე

სახელ „ნაჟვი“-ს მნიშვნელობა და მისი ადგილი „მცენარეთა სახელების კრების თესიკონში“

ძველ თესიკონებში დასტურდება ფიტონიმები, რომელთა ბუნდოვანი ან მცდარი განმარტებები ართულებს, ხშირად შეუძლებელსაც კი ხდის მცენარეთა ამოცნობას, რაც, როგორც ჩანს, განაპირობებს ამ სახელთა უგულებელყოფას, ან მათ არაზუსტ განმარტებას შემდგომი პერიოდის თესიკონებსა თუ სხვა სახის ნაშრომებში.

„მცენარეთა სახელების კრების თესიკონში“ ამ რიგის ფიტონიმთათვის კუთვნილი ადგილის მისანიჭებლად აუცილებელია დაზუსტდეს მათი მნიშვნელობები, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია.

ერთ-ერთი ასეთი სახელია **ნაჟვ/ნაჟვი**. ის რამდენიმე ადგილას დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“: **1. „ნაჟვ – (ნაჟვი BCbqDE) (ხე). (2 ნემტ. 9, 27) ხულია ფიჭვივით Z. (ხე) (2 ნემტ. 9, 27) AB. (ხე) CbqDE“; 2. „ნაჟვი – ნ. ნაჟვ“; 3. „ბუსტული – (ხე) ხულია ნაჟვსავით, დიდი ბელეკონი Z.(ხე) AB; 4. სახელი ნაჟვი ჩანს ხულის განმარტებისას და ის „ქერქ-მაგართა“, „კმელთახილთა“ რიგშია... „ვითარცა ნუშთა, ნიგოზთა, წაბლთა, ნაჟვთა...თხილთა, წაბლთა... ბუსტულთა და მისთანათა“; 5. „ნაჟვ – თ. ჯალღუზა“ (საბა 1991, 1993). მეტად ზოგადი და მწირია ნაჟვის განმარტება ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ თესიკონში“, შდრ., „ნაჟვი – (ხე)“ (ჩუბინაშვილი 1961), ხოლო დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული თესიკონში“ განმარტება ასეა წარმოდგენილი: „ნაჟვი – მცენ. **пихта, сосна**, ბუნ. ლ. 958“ (ჩუბინაშვილი 1985). მოსალოდნელი იყო ნაჟვის დასტურება იოანე ბაგრატიონის „საბუნებისმეტყველო განმარტებით თესიკონსა“ (ბაგრატიონი 1986) და რაფიელ ერისთავის „ქართულ-რუსულ-ლათინურ თესიკონშიც“ (ერისთავი 1984), თუმცა ეს სახელი აქ არ ჩანს.**

ნაჟვი დასტურდება „სახელმწიფო კარის გარიგებაშიც“, რომლის მიხედვითაც, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს, „გარეჯის უდაბნოს სანახავ ძღვნად მეფისათვის, სხვათა შორის, „ნუში, ნაჟვი,

თუთუბო, ალარდენი და ბროწეული“ უნდა მიერთმიათ (გვ. 15, 29, სტრ 343 - 344). მამასადამე, ნაჟე უცნობი, მწიგნობრული სიტყვა კი არ ყოფილა, არამედ საქართველოში არსებული XIVს. დამდეგამდე მიღებული ხილის სახელი ყოფილა“ (ჯავახიშვილი 1986: 707).

სახელი **ნაჟე** არ ჩანს ძველი ქართული ენის ლექსიკონებსა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ქართული ენის დიალექტთა ლექსიკონებში, ალ. მაცაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ (მაცაშვილი 1961). ის ვერ დავადასტურეთ დიალექტურ ტექსტებსა და ჩვენ მიერ მოძიებულ ფიტონიმთა მრავალფეროვან მასალაშიც.

ამგვარად, **ნაჟე/ნაჟე** სახელით აღნიშნული მცენარის ამოცნობა უნდა მოხერხდეს ოდენ ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების გაანალიზებითა და შეჯერებით.

ამ პროცესში მეტად საგულისხმო დეტალია „სიტყვის კონაში“ **ნაჟეის** განმარტებისას საილუსტრაციოდ მოხმობილი ადგილი „ძველი ალთქმიდან“ (2 ნეშტ. 9, 27), რომლის მიხედვითაც მცხეთურ ხელნაწერში დასტურდება ხემცენარე „ნაძვი“, შდრ.: „და მოსცა მეფემან ოქრო და ვეცხლი, ვითარცა თქუა, იერუსალჴმდ და **ნაძვ**, ვითარცა ლელუსულელი ველისა სიმრავლეად“ (მცხ.). ამავე ადგილას ბიბლიის ახალ ქართულ თარგმანში (ბიბლიის 1989 წლისა და ყველა სხვა ახალი გამოცემა) გვაქვს „**კედარი**“, შდრ.: „ვერცხლი ქვეს გაუთანაბრა მეფემ იერუსალიმში, ხოლო კედარი სიკომორის ხეს, დაბლობში რომ იზრდება“. შესაბამის ადგილას სწორედ **კედარი** დასტურდება ჩვენ მიერ მოძიებულ უცხოენოვან ტექსტებშიც. იგივე სურათია სხვა ეპიზოდებთან დაკავშირებითაც, მაგ.: „და მისცა ვეცხლი ქვისმდეღელთა და ხუროთა სასმელი და საჭმელი და ზეთი სიდონელთა და ტმრელთა, და მოაქუნდა **ნაძმს ძელი ლიბანიით** ზღმით იოპეთ...“ (მცხ., ეზრ. 3,7); „დაურიგეს ვერცხლი ქვისმთლელებს და ხუროებს, საჭმელ-სასმელი და ზეთი ციდონელებს და ტვიროსელებს, რომ მოეზიდათ **კედარის ძელები ლიბანიდან** ზღვით იაფოში...“ (ბიბლ. ეზრ. 3,7) და სხვ.

ძველ ქართულში „**ლიბანის ნაძვი**“ იგივე „**ლიბანის კედარი**“ *Cedrus libani Barrel.*, ხოლო სიტყვა „**კედარი**“ სულ სხვა მნიშვნელობისაა. ეს სათანადოდ აისახება კიდევ ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, შდრ.:

„კედრონი „ნამძოვანი“; ნამძებანი ადგილი“ (აბულაძე 1973)¹;
„კედარ-ი კედარი (მცენარე); სიბნელე“ (სარჯველაძე 1997),
თუმცა ამავე ავტორის მოგვიანებით გამოცემულ ნაშრომში განმარ-
ტება იცვლება („კედარი – ბნელი; ჩრდილოეთი“) და არსად ჩანს
„კედარი (მცენარე)“ (სარჯველაძე 2001);

„კედარი – (+ 119, 5 ფსალმ. ZA) ბნელისა ჭმუნავი ZABC. ბნე-
ლი DE“ (საბა 1991).

წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუ-
დოთ, რომ ხემცენარე კედარი *Cedrus* (კონკრეტულად, სახეობა **ლი-
ბანის კედარი *Cedrus libani***) ძველ ქართულში, გარდა „**ლიბანის
ნამძ**“-სა, აღინიშნებოდა სახელით **ნაჟვ/ნაჟვი** და, ალბათ, ამიტომაც
არ ჩანს ამ ცნობილი წიწვოვანი ხემცენარისათვის სხვა სახელი საბას
„სიტყვის კონაში“.

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წიწვოვან მცენარეთა სა-
ხელების ანალიზისას მთელი რიგი სირთულეები იჩენს თავს (მე-
ტადრე, ბოტანიკურ სამეცნიერო კლასიფიკაციამდე მასალაში),
რადგან დაბინდულია, აღრეულია, დაკარგულია დენდრონიმთა
თავდაპირველი მნიშვნელობანი. ამას ზემოთ მითითებულ ლექსი-
კონებში სათანადო მასალის გაცნობა მშვენივრად ცხადყოფს. იგივე
სურათი იხატება სხვა ენათა მონაცემების მიხედვითაც. აღნიშნულ
ვითარებას არაერთი მიზეზი განაპირობებს, რაც სპეციალურ კვლე-
ვას საჭიროებს. ვფიქრობთ, მართებული შენიშვნაა, რომ „წიწვოვან-
მცენარეთა სახელების ფუძეთა ზუსტი რეკონსტრუქცია გამწვანებუ-
ლია ამ სახეობათა მსგავსების გამო. ამას ადასტურებს ტიპოლოგიუ-
რი მონაცემებიც“ (ივანიშვილი 2010).

ამგვარად, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, **ნა-
ჟვი** არის: **1.** ერთ-ერთი „ხულთაგანი“, „ქერქმაგარი“, „ხმელი ხილი“,
ანუ საჭმელად ვარგისი ნაჭუჭიანი ნაყოფი; **2.** ფიჭვის გირჩისა
(„ჯალღუზას“) და ფსტას ხის ნაყოფის მსგავსი რამ²; **3.** წიწვოვანი

¹ ი. აბულაძის ლექსიკონში (აბულაძე 1973) სიტყვა **კედარს** განმარტება არ
ახლავს, არამედ მოხმობილია მხოლოდ ილუსტრაცია, რომლის მიხედვითაც ვერ
დასტურდება დენდრონიმის აღნიშვნა ამ სახელით, შდრ.: „დავემკმდრე მე მყოფთა
(საყოფელთა)თანა კედარისათა“- ფს. 119,5“.

² შდრ.: „ჯალღუზა [სპარ.] – იგივეა, რაც გირჩა“ (ქეგელი); „ფსტა – (ხე)
თურქთ(ა) ენაა, ქართულად ბუსტული ჰეჟიან“ (საბა).

ხემცენარე (კედარი, სოჭი, ფიჭვი)¹; 4. ძვირფასი რამ, რომელიც სხვა საკვებ მცენარეებთან ერთად, სამეფო ძღვენს განეკუთვნებოდა.

რას უნდა აღნიშნავდეს **ნაჟვი/ნაჟვ** და სად არის მისი ადგილი „მცენარეთა სახელების კრების თეზისით ლექსიკონში“?

ივანე ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომში („საქართველოს ეკონომიური ისტორია“) ეხება ამ საკითხს და მიიჩნევს, რომ **ნაჟვ/ნაჟვი** „თუთისა“ და „ჟოლას“ ძველი ქართული სახელია. მეცნიერი თვლის, რომ საბა გვაძლევს მის არასწორ განმარტებას (ჯავახიშვილი 1986, 703-707), რასაც ვერაფრით გავიზიარებთ. „სიტყვის კონაში“ საბა მკაფიოდ განმარტავს, რომ **ნაჟვი** ფიჭვისა და ბუსტულის მსგავსი ხელია, ხოლო ხული გარკვეული ნიშან-თვისებების მქონე ნაყოფთა ზოგადი სახელია (სპეციალურ ლიტერატურაში დღეს მას „ნაჭუჭიანებს“ უწოდებენ). საბა წერს: „**ხილი** ეწოდების წალკოტა მყოფთა ხილთა ხეზე სხმულთა, ქერქ-რბილთა, ვითარცა ვაშლთა. ბროწეულთა, ყურძენთა, ლიმოთადამისთანათა; ხოლო ხული – ქერქ-მაგართა, ვითარცანუშთა, ნიგოზთა, წაბლთა, **ნაჟვთა** და მისთანათა; ხოლო ხმილი – ბალახთაზედამობმულთა, ვითარცა ნესვთა, მელსაპეკონთა, მარწყვთა, კიტრთა და მისთანათა; ხოლო ხიჩატელი – ველურთა ტყეთაში განუმუშავოდ მოსულთა ხის ნაყოფთა“ – საბა).

რაკი ივ. ჯავახიშვილი **ნაჟვის** ნაჭუჭიანობას უგულებელყოფს და მას ჩვეულებრივ ხილს მიაკუთვნებს, ბიბლიიდან მითითებულ ეპიზოდშიც დასახელებულ და შეპირისპირებულ ორ მცენარეთაგან („ნამძვი//კედარი“ და „ლეღვსულელი//ჟოლა“) მას წიწვოვან ხემცენარესთან (**ნამძვი//კედარი**) კი არ აკავშირებს, არამედ ოდენ „ჟოლასთან“ (//ლეღვსულელი, სიკომორი), რაც შემდგომი არასწორი ვარაუდების საფუძველი ხდება. სწორედ ამიტომაცაა რომ მეცნიერი ბიბლიის მითითებულ პასაჟს (ბაქარის გამოცემა) ამგვარად განიხილავს: „დაბადების ზემოდასახელებულ ადგილას ბაქარის გამოცემაში არაფერი ამ სიტყვის მსგავსი არ მოიპოვება. იქ სწერია: „**კედრი** ვითარცა „ჟოლა“, რომელი იშვების ველთა ზედა სიმრავლე“-ო. ცხადია, რომ ორბელიანს დაბადების ქართული თარგმანის სხვა რედაქცია ჰქო-

¹ დ. ჩუბინაშვილის მიერ განმარტებისას მოხმობილი რუსული სახელები „**пихта**“ „**сосна**“ – ამ ხეთა გირჩსაც უნდა გულისხმობდეს, როგორც ეს გვაქვს არაერთი ხემცენარისა და მისი ნაყოფის აღნიშვნისას, მაგ., „**რკი** - (ხე)...კრკო, მუხა“ (საბა).

ნია, რომელშიც „ჟოლა“-ს მაგიერ ამ ადგილას „ნაჟვ“ ყოფილა ნახმა-რი“ (ჯავახიშვილი 1986, 707). არადა, საბას მიერ მითითებულ ტექსტში **ნაჟვი** კედრის ადგილასაა და არა ჟოლას! შემდეგ მეცნიერი არკვევს **ნაჟვით** აღნიშნული მეცენარის „ბოტანიკურ რაობას“ და ამ შემთხვევაშიც სწორედ ლელვსულელის (სიკომორის) რაობასა და მის ეტიმოლოგიაზე მსჯელობს: „უეჭველი ხდება, რომ „ნაჟვ-ს“ ხილთა-ნაც არაფერი საერთო არა ჰქონია და მით უმეტეს, რასაკვირველია ფიჭვთან. სახელოვანი ლექსიკოგრაფი, უეჭველია, კედრს შეუცდენია და რაკი კედრზე ნათქვამია, ვითარცა ნაჟვი იყო, ამიტომ უფიქრია, რომ ნაჟვიც კედრის, ანუ ფიჭვის მაგვარი ხე უნდა ყოფილიყო“. ამ მსჯელობის საფუძველზე მეცნიერი ასკვნის: „ნაჟვი“ „ჟოლა“-სა და „თუთის“ ძველი ქართული სახელი ყოფილა, რომელიც XIV ს.-შიც უხმარიათ. ამ დასკვნას კარგად უდგება ის გარემოებაც, რომ ნაჟვი გარეჯის უდაბნოს ჰქონია ძღვნად დადებული, რადგან ცნობილია, რომ კახეთი განთქმული იყო თავისი თუთის ხეების სიმრავლით“ (ჯავახიშვილი 1986: 708).

ჩვენი დაკვირვებით, **ნაჟვი არის წიწვოვანი ხემცენარე და მისი გირჩი**, მაგრამ კონკრეტულად რომელი ხემცენარე?

საკითხის გარკვევისას გადამწყვეტად მივიჩნევთ საბას იმ მითითებას, რომ **ნაჟვ/ნაჟვი** „ხმელი ხილია“, ე.ი. ის საჭმელად ვარგისია! წიწვოვან ხემცენარეებთან ასეთი შეიძლება იყოს გარკვეული სახეობის ფიჭვის, სოჭის და კედრის გირჩის თესლი. შესაბამისად, **ნაჟვი** უნდა იყოს: 1. რიგ წიწვოვან ხემცენარეთა (კედარი, სოჭი, ფიჭვი) გირჩი, უფრო ზუსტად, გირჩის ე.წ. ქერქლში მოთავსებული თესლი, რომელიც იჭმევა; 2. საზოგადოდ, ამ ხემცენარეთა სახელი.

ვინაიდან ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით ჭირს სახეობების დაკონკრეტება, ვფიქრობთ, სახელი **ნაჟვი** უნდა დადასტურდეს აღნიშნულ ხემცენარეთა გვარის აღმნიშვნელ ერთეულებთან. „მცენარეთა სახელების კრებვით ლექსიკონში“ ის ასეა წარმოდგენილი:

1. კედარი Cedrus

საბა**ნაჟვი**, **ნაჟვ** (ხე; გირჩი, თესლი - ნ.ხ./დ.ჩ.);

ნ.ჩ., დ.ჩ. **კედარი** („кедр“);

დ.ჩ. **ნამვი** („кедр“);

ზ.ყ. **კედრონი**.

2. სოჭი Abies

მთ.-რაჭ. ჩიხრი (ალ.მ.);
დ.ჩ. ნაყვი („пихта“, „сосна“);

3. ფიჭვი *Pinus*

ხევს. გირჩიკელა („გირჩი, ფიჭვის ნაყოფი“), ფიჭვის ყუნა („ტოტები, ფიჩხი“) (ა.ჭ.);

თუშ. ჟინაში (ალ.მ.), ჟინა („ქაცვები, წიწვი, ტოტი“ – ა.შ.), ჟინაში („ახალგაზრდა ფიჭვი“ – პ.ხ.) (პ.ხ., გ.ც.), მარანაში, მარნაში („ნორჩი ფიჭვი“ – გ.ც.), გირჩა („ნაყოფი“) (ა.შ.), მაცუცაში („ყვავილი“), მელცუცაში („ნაყოფი“) (პ.ხ.), მალცუცაში („მტვრიანი კვირტები“) (გ.ც.);

მოხ. ჩირალისხე (ალ.მ.), კოკორაის ხე, კოკორაი (ი.ქ.), კოკორაი („გირჩი“ – მლ);

მთიულ. ჩირალდნის ხე (ნ.ხ./დ.ჭ.);

ქართლ. მესხ., ჯავახ., იმერ., აჭარ., იმერხ. კატარი („ნორჩი ფიჭვი“ – მ.მ., „ნამვი“ – გრ.ბ.) (მ.მ., გ.ზ., ა.მ., გრ.ბ., ალ.მ., შ.ფ.);

მესხ. ბიჭიყი („ნორჩი ტოტი“) (ა.ლ.);

ზ.-იმერ. წიწა („გირჩა“), ხუხურო („ყვავილი“) (ქ.მ.);

იმერხ. კოკოლა, კუკული („გირჩი“), ჩამი (შ.ფ.);

საბა, ნ.ჩ., რ.ე. (ქართლ.-კახ., იმერ., გურ.; „*Pinus sylvestris* L.“ – რ.ე.), დ.ჩ., ზ.ყ. ფიჭვი;

საბა ფიწვი, ფიჭუ, პიტუნი, პიტუინი („ახალნერგი ნამვი...“ – საბა);

საბა, დ.ჩ. კატარი („ცუდი ფიჭვი“ – საბა);

საბა, ნ.ჩ., რ.ე. (ალ.მ.), დ.ჩ. პიტო (ქართლ.-კახ., იმერ., გურ.; „*Pinus sylvestris* L.“ – რ.ე.);

ნ.ჩ. პიტუ;

ნ.ჩ., დ.ჩ. ახალნერგი, პიტვი („сосна“, „пихта“ – დ.ჩ.);

დ.ჩ. ნაყვი („пихта“, „сосна“), ჯალგუზა („зерна сосновых шишек“, თესლი – ნ.ხ./დ.ჭ.), ბიჭიყი („ნორჩი“);

ბ.ფ. ხალცუცა („მამრობითი გირჩა“).

კვლავაც საკვლევი და გადასაჭრელია რიგი საკითხებისა: 1. სად არის ნ. ჩუბინაშვილის მეტად მწირი განმარტებით წარმოდგენილი („ნაყვი – ხე“) მონაცემის ადგილი „მცენარეთა სახელების კრებისით ლექსიკონში“? 2. როდიდან მკვიდრდება ნასესხები დენ-

დრონიმი კედარი ქართულში? 3. ჩუბინაშვილების ლექსიკონების შემდეგ რატომ არ ჩანს ნაჟვ/ნაჟვი სხვა ავტორებთან?

გამოყენებული ლიტერატურა

ბაგრატიონი 1986 – ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.

ბიბლ. – ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.

ერისთავი 1884 – რ. ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან, თბილისი, 1884.

ივანიშვილი 2010 – მ. ივანიშვილი, მცენარეთა სამყაროს პროტოქართველური და პროტოინდოევროპული სახელები,

<https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/05/>

მცხ. – მცხეთური ხელნაწერი, თბილისი, 1982.

საბა 1991, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1991, 1993.

სარჯველაძე 1997 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართლი ენა, თბილისი, 1997.

სარჯველაძე 2001– ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი, 1964.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი 1984.

ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.

ჯავახიშვილი 1986 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბილისი, 1986.